

ნანა ხმეზურიანი

**ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია
და ენათა უპირისპირებითი ანალიზი**

**გამომცემლობა „ნეკერი“
თბილისი
2009**

წიგნში წარმოდგენილია ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შეპირის-პირებით პლანში მოდულირების ცლა ქართული, ინგლისური და ესპანური ენების უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის მასალაზე.

შეპირისპირებითი კვლევის შემოთავაზებული მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენათა სხვა კატეგორიების კვლევის დროსაც.

წიგნი შეიცავს საინტერესო მასალას ლექციებისათვის შესწავლილი ენების კომუნიკაციურ გრამატიკასა და ტიპოლოგიაში, ზოგადი ენათმეცნიერების სპეცკურსებისათვის, უცხო ენების სწავლების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის, რომელიც სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება იქნეს გამოყენებული პირველი და მეორე უცხო ენის სწავლებისას.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **შაია ნათაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მადონა მეგრელიშვილი**

© ნანა ხეცურიანი, 2009

მეორე გამოცემა

გამომცემლობა „ნეკერი“, 2009

ISBN 978-9941-416-05-7

წინასიტყვაობა

წიგნი ეძღვნება ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შეპირისპირებით კვლევას, რომელიც განხორციელდა ქართული, ინგლისური და ესპანური ენების უარყოფის კატეგორიის ანალიზით. უარყოფა განხილულია ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის რანგში. უარყოფის შესწავლა ამ კუთხით გამართლებულად ჩაეთვალებოდა იმის საფუძველზე, რომ ნებისმიერი სხვა აზროვნებითი კატეგორიის მსგავსად, ისიც რთული კომპლექსური მოვლენაა, რომელშიც ენისა და აზროვნების ურთიერთ-ჩახლართული მიმართება ვლინდება.

გამოკვლეულია უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ენაში არსებობის ფორმები სისტემური ურთიერთმიმართებების კუთხით, რამაც მიიღო ფუნქციურ-სემანტიკური ველის სახე. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გაგებულა, როგორც ენის ყველა დონის (მორფოლოგიურის, სინტაქსურის, სიტყვათმწარმოებლურის, კონტექსტურის) მომცველი კატეგორია.

ქართული, ინგლისური და ესპანური ენების უარყოფითი კონსტრუქციების გამოკვლევისას ნაშრომში ანალიზის მასალად გამოყენებულია ძირითადად XX საუკუნის ქართველ, ინგლისელ და ესპანელ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები დედანში და ამ ნაწარმოებთა მხატვრული თარგმანი შესაპირისპირებელ ენაზე, აგრეთვე ინფორმანტები.

მიღებული დასკვნები წარმოაჩენს იმ ფუნქციურ-სემანტიკურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს, რომლებითაც საკვლევი ენების იზოთუ ალომორფულობა დგინდება.

კულტურათა შორის დიალოგის მიმდინარე პროცესის ფონზე, უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შესწავლის დროს, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩავეტარებინა ქართული ენობრივი მოვლენების პირველი სინქრონული ანალიზი გავრცელების ხარისხისა და არეალის მიხედვით მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ინგლისურ და ესპანურ ენებთან.

გესურს უდიდესი მადლიერებით მოვიხსენიოთ ის მეცნიერები, რომელთა საუბრებმა და კონსულტაციებმა გაგვიწიეს დიდი დახმარება და განსაზღვრეს ნაშრომის მიმართულება და ძირითადი შინაარსი აკადემიკოსი თ. გამყრელიძე, პროფესორები: მ. ნათაძე, მ. მეგრელიშვილი, მ. ქურდიანი, გ. ვლებანიძე, ნ. კირვალიძე, შ. შაბურიშვილი, ფილ. მეცნ. დოქტ. ნ. ცქიტიშვილი, დოცენტები: ტ. ბუკია, ნ. ძოწენიძე და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის პროფესორი მ. ზივლერი (ატლანტა, ჯორჯია, აშშ).

ნანა ხეცურიანი

სარჩევი

შესავალი	7
§1. უარყოფის კატეგორია <i>ენაში</i>	7
§2. უარყოფის კატეგორია <i>ლოგიკასა და ფსიქოლოგიაში</i> . . .	11
§3. <i>ორგანი უარყოფა (მეგანტიკა და სტრუქტურა)</i> . . .	13
§4. <i>უარყოფა და პროლოგა</i> . . .	17

თავი I. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია	
ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში . . .	19
§1 <i>უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია</i>	
<i>ქართულ ენაში</i>	19
ა) უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და უარყოფის გამოსატვის ბირთვულ საშუალებათა სისტემა ქართულ ენაში	19
ბ) უარყოფის გამოსატვის პერიფერიული საშუალებები ქართულ ენაში	36
§2 <i>უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია</i>	
<i>ინგლისურ ენაში</i>	47
ა) უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და უარყოფის გამოსატვის ბირთვულ საშუალებათა სისტემა ინგლისურ ენაში	47
ბ) უარყოფის გამოსატვის პერიფერიული საშუალებები ინგლისურ ენაში	67
§3. <i>უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია</i>	
<i>ესპანურ ენაში</i>	80
ა) უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და უარყოფის გამოსატვის ბირთვულ საშუალებათა სისტემა ესპანურ ენაში	80
ბ) უარყოფის გამოსატვის პერიფერიული საშუალებები ესპანურ ენაში	93

თავი II. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური	
კატეგორიის შუამდგომლობითი ანალიზი	
ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში.	..101
§1. უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და	
უარყოფის გამოსატვის ბირთვულ საშუალებათა	
შუამდგომლობითი ანალიზი ქართულ, ინგლისურ	
და ესპანურ ენებში	.101
ა) ნაწილაკები106
ბ) ნაცვალსახელები.111
გ) ზმნიშედები...	.116
დ) კავშირები.	..117
ე) წინადადების სინტაქსური ეკვივალენტები.	.119
§2. უარყოფის გამოსატვის პერიფერიული საშუალებები	
ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში.	.120
ა) უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნები.	.120
ბ) პრეფიქსები და სუფიქსები.	.121
გ) კონტექსტური საშუალებები.	..122
დასკვნა	128
რეზიუმე...	.130
ბიბლიოგრაფია.	..133

შესავალი

წ. უარყოფის კატეგორია ენაში

ადამიანის აზროვნების ერთ-ერთი უნივერსალური კატეგორია არის უარყოფა. აზროვნება, კერძოდ ლოგიკური აზროვნება, მხოლოდ ცნებითა, ე.ი. არ არსებობს ცნებებით ოპერირების გარეშე. ცნება კი თავისთავად ენის გარეშე არ არსებობს, აქვს მხოლოდ სიტყვიერი ფორმა.

ენას, როგორც ცნობილია, არაერთი დონე გააჩნია. ბუნებრივია, რომ უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კატეგორია, შეიძლება მოქმედებდეს (ან არ მოქმედებდეს) ენის სხვადასხვა დონეზე.

ენაში უარყოფას აქვს გამოვლენის არა ერთი ფორმა, არა ერთი სფერო (ვლინდება არა მარტო ერთ რომელიმე დონეზე), არა ერთი დისტრიბუცია (უზუალური თუ კონტექსტური), მაგრამ ყველგან და ყოველთვის ერთ ძირითად ფუნქციას ინარჩუნებს (ნიუანსები, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება), ანუ ერთი სემანტიკური დატვირთვა აქვს. ამიტომ ეს კატეგორია შეიძლება განიხილებოდეს როგორც ენის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედებს. უარყოფის განხილვა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის რანგში, რომელიც ველის პრინციპით ხორციელდება, წარმოადგენს ნაშრომის ამოსავალ თეორიულ დებულებას.

ენის, როგორც სისტემის, კვლევის პლანში აუცილებლად მივიჩნით უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური ველის კომპლექსური შესწავლა. ამ პლანს სისტემის ელემენტების ინვენტარიზაციის გარდა ეკუთვნის აგრეთვე უზუალური დისტრიბუცია. შესწავლის სისრულე გულისხმობს, რა თქმა უნდა, ამ პლანში შესწავლასაც.

მეორე პლანი ნებისმიერი ენობრივი მოვლენის, მათ შორის ჩვენი კვლევის ობიექტის შესწავლისა, არის მისი შესწავლა კონტექსტში, კომუნიკაციის პროცესში. ამრიგად, კვლევა ვაწარმოეთ როგორც სისტემური, ასევე ფუნქციურ-სემანტიკური კვლევის მიმართულებით.

უარყოფის გამომხატველ ლექსიკურ საშუალებათა მიმართება ენაში ქმნის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს. იქმნება აგრეთვე უარყოფის მოქმედების ველი, რომელიც მოიცავს კონტექსტში უარყოფის გამომხატველი ელემენტის მოქმედების არეს, მიმართულებას და ხასიათს.

ველი არის კონკრეტული შინაარსის მქონე სისტემა, რომლის შემადგენელი კომპონენტებიც ინტენსიურობის ხარისხის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან. სტრუქტურულად ველი მოიცავს ბირთვს, ცენტრს და პერიფერიას.

ველის მახასიათებლად მიჩნეულია:

- კომპონენტთა ურთიერთკავშირი;
- არაერთგვაროვნება (ბირთვი, ცენტრი, პერიფერია);
- კომპონენტთა ურთიერთგანპირობებულობა.

ი. ტრირის და ლ. ვაისგერბერის ველის ლექსიკურ-სემანტიკურ თეორიაში (Trier 1931, Weisgerber 1963) სიტყვა მიჩნეულია მიკროსისტემის ნაწილად და მისი მნიშვნელობა განიხილება ველის სხვა წევრებთან ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

ჩვენ შევადგინეთ უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური ველი, რომელშიც შევიტანეთ უარყოფის გამომხატველი ყველა სისტემური ელემენტი. ამ ველს ვუწოდეთ ველი 1. აგრეთვე აღვწერეთ და დავახასიათეთ სხვა ტიპის მიმართებაც, რომელსაც უარყოფის მოქმედების ველი, ველი 2 ვუწოდეთ.

უარყოფის მოქმედების გავრცელება, რომელიც მიმართულია მარცხნიდან მარჯვნივ (Baker 1989, Whitley 1986, Ференц 1972), შეიძლება გამოიხატოს ლინეარული სტრუქტურით (ველი 2).

უარყოფის გამომხატველი ველი 1 და ველი 2 შეიძლება წარმოვადგინოთ სქემების სახით (სქემა №1, №2, გვ. 9).


ველი 1-ის სქემა საერთოა ჩვენს მიერ შესწავლილი სამივე ენისათვის (მცირე ვარიანტული განსხვავებებით). გარდა ამისა, შევადგინეთ კონკრეტული შინაარსის ველები თითოეული შესასწავლი ენისათვის. ამრიგად, ველი 1 მოიცავს გრადუალურ სტრუქტურას, ხოლო ველი 2 – ლინეარულს. ველი 2-ით ვგულისხმობთ კონტექსტში უარყოფის გამომხატველი ელემენტის მოქმედების არეს, მიმართულებას და ხასიათს.

ფუნქციურ-სემანტიკური ველის ნაწილს შეადენს ბირთვი.

უარყოფის ბირთვი შეიძლება განიმარტოს, როგორც წინადადების შემდგენელი ნაწილი, რომელშიც კონცენტრირებულია უარყოფის მთავარი, კონტრასტული მნიშვნელობა, რომლის გარეშეც წინადადება წართქმითად შეიძლება იქნეს გაგებული.

სქემა №1

ველი 1



სქემა №2

ველი 2



- სიმბოლო ● უარყოფის გამომხატველი ერთეული
- ➔ უარყოფითი შინაარსის გავრცელების მიმართულება

უარყოფის შესწავლისას აზრთა სხვადასხვაობას იწვევს უარყოფის კატეგორიის სხვადასხვა კუთხით განხილვა. უარყოფის კატეგორიას ზოგი ენათმეცნიერი (Poutsma 1918, Kruisinga 1932, Мачаџели 1954 და სხვა) განიხილავს როგორც ლექსიკო-გრამატიკულ კატეგორიას და მთავარ ობიექტად უარყოფით სიტყვას მიიჩნევს. ენათმეცნიერთა მეორე ჯგუფი უარყოფას სინტაქსურ კატეგორიად მიიჩნევს და კვლევის ძირითად ობიექტად უარყოფით წინადადებას აღიარებს (Пешковский 1956, Трофимов 1952, Шендельс 1957 და სხვა). ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ამ კატეგორიის ტექსტის დონეზე განხილვა და მის ფარგლებში უარყოფის საზღვრების დადგენა.

როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული უარყოფის კატეგორია, ობიექტურ სინამდვილეს ერთი და იგივე კუთხით ასახავს, მაგრამ მოცულობით ენობრივი უარყოფა უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე ლოგიკური. (Leech, Svartvik 1983, Sapir 1986, Greenberg 1963, Palmer 1979, Есперсен 1958, Veit 1986).

ლინგვისტები განასხვავებენ სრულსა და ნაწილობრივ უარყოფას. სრული უარყოფა უარყოფით ხასიათს აძლევს მთელ წინადადებას, ხოლო ნაწილობრივი განეკუთვნება წინადადების ცალკეულ წევრებს. მაგალითად: “You don’t know anything about it” – Connor said (AH).

“In winter no one but a maniac or an experienced hunter won’t venture into forest”. (ibid).

ე.შენდელსმა პირველმა ჩამოაყალიბა სრულყოფილად უარყოფის, როგორც გრამატიკული კატეგორიის არსი (Шендельс 1959, 139). მისი განმარტებით, ლოგიკური უარყოფისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ უარყოფით მსჯელობებს გადმოგვცემს, გრამატიკული უარყოფა გვხვდება ისეთ წინადადებებში, რომლებიც გამოხატავენ მსჯელობებს (მარტივ, შერწყმულ და რთულ თხრობით წინადადებებში) და ამავე დროს ისეთებშიც, რომლებიც მსჯელობებს არ გადმოგვცემს (კითხვითსა და ბრძანებითში). გრამატიკული უარყოფა გაცილებით მეტის მომცველია, ვიდრე ლოგიკური, რადგან გარდა უარყოფითი მსჯელობებისა, უარყოფის ლინგვისტური კატეგორია გამოხატავს ნაწილობრივ უარყოფას, აკრძალვას, მტკიცებას, დაპირისპირებას და ა.შ. ე.შენდელსის განმარტებით, უარყოფის ლინგვისტური კატეგორია ხასიათდება როგორც ცნებათა შორის არსებული ნეგატიური კავშირების გამოხატვა ენობრივი საშუალებების მეშვეობით (Шендельс 1959, 129).

ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა აზრს, რომლებიც უარყოფას განიხილავენ როგორც ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას (Greenbaum, Quirk 1992, Шендельс 1959, Смирницкий 1959, მეგრელიშვილი 1980 და სხვები). მათი თვალსაზრისით, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია არის გაგებული როგორც კომპლექსური კატეგორია, რომელიც ენის სხვადასხვა დონის ელემენტების მონაწილეობით ყალიბდება, როგორც შინაარსისა და გამოხატულების პლანთა რთული ერთობა. გამოხატულების პლანი მოიცავს არა მარტო მორფოლოგიურ და სინტაქსურ, არამედ ლექსიკურ, სიტყვათმწარმოებლურ დონეებსაც და ენის ერთეულთა სხვადასხვა კონტექსტურ კომბინაციებს. მაშასადამე, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია კომპლექსური, ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი კატეგორიაა (მეგრელიშვილი 1986, 221).

უარყოფის ლინგვისტური კატეგორია ხორციელდება საშუალებებით, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება. უარყოფა ენაში უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიით გადმოიცემა, რომელსაც ყოველ ცალკე აღებულ ენაში თავისი კონკრეტული გამოხატულება აქვს მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და კონტექსტური საშუალებების სახით.

§2. უარყოფის კატეგორია ლოგიკასა და უსიქლოგიაში

უარყოფა ლოგიკური ოპერაციაა, რომლის ძირითადი არსი ტემპარითი გამონათქვამის მცდარ გამონათქვამთან დაპირისპირებაში მდგომარეობს ან პირიქით. ამ ოპერაციის შედეგად ელბულობო ახალ, რადიკალურად განსხვავებულ გამონათქვამს. ამდენად, ლოგიკური და გრამატიკული უარყოფა ასახავს ობიექტური სინამდვილის ანალოგიურ ფაქტებს. კონსტრუქციულ ლოგიკაში უარყოფის სამ ჯგუფს გამოყოფენ: პირდაპირი უარყოფა, გაძლიერებული უარყოფა, რედუქციული უარყოფა (Кондаков 1975, 423).

ამერიკელმა ლოგიკოსებმა გამოყვეს აზრობრივ დასკვნებზე დაფუძნებული უარყოფის განსხვავებული სახე. მაგალითად:

- თუ მე ვარ კალიფორნიაში, ესე იგი ვიმყოფები ჩრდილოეთ ამერიკაში.
- მაგრამ მე არ ვარ კალიფორნიაში, ესე იგი არ ვიმყოფები ჩრდილოეთ ამერიკაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ლოგიკური უარყოფის კატეგორიის კვლევა, რადგანაც, როგორც ითვლება, ლოგიკა არის ჭეშმარიტი და მცდარი მსჯელობების შესწავლა. მეცნიერები განასხვავებენ ლოგიკის ორ სახეობას: ფილოსოფიურ და ფორმალურ ლოგიკას (Wolfram 1989, 164). ლოგიკური უარყოფის კატეგორია ძირითადად ფილოსოფიურ ლოგიკაში განიხილება. საერთოდ, ფილოსოფიის ნებისმიერ სფეროში წამოიჭრება პრობლემები, რომლებიც არა მხოლოდ ფილოსოფიის კონკრეტული სფეროს, არამედ ფილოსოფიური ლოგიკის პრობლემადაც მიიჩნევა. ამის ერთ-ერთი მაგალითია უარყოფის კატეგორია (Бахарев 1980). ლოგიკური უარყოფის თანახმად, თუ ერთი წინადადება ჭეშმარიტია, მეორე, მისი საპირისპირო შინაარსის მატარებელი, იქნება მცდარი და პირიქით. მაგალითად:

Ann sings well.

Ann doesn't sing well.

ლოგიკოსები ისტორიულად განასხვავებენ გამონათქვამის ორ ფორმას - მტკიცებითს და უარყოფითს.

თანამედროვე ლოგიკაში მტკიცებითი და უარყოფითი ფორმების განხილვისას სამი ძირითადი შემთხვევა გამოიყოფა:

1. **ზოგიერთი** გამონათქვამი შეიძლება გამოხატული იქნეს როგორც მტკიცებითი, ისე უარყოფითი ფორმით.
2. **ყველა** გამონათქვამი შეიძლება გამოხატულ იქნეს როგორც მტკიცებითი, ისე უარყოფითი ფორმით.
3. **ზოგიერთი** გამონათქვამი არ შეიძლება დახასიათდეს როგორც მტკიცებითი ან უარყოფითი, რადგანაც როგორც უარყოფით, ისე მტკიცებით კომპონენტებს შეიცავს (Wolfram 1989, 1).

უარყოფის ცნება ფსიქოლოგიაშიც განიხილება. უარყოფა ფილოსოფიური, ფორმალურ-ლოგიკური, ლინგვისტური, იშვიათად კი ფსიქოლოგიური კატეგორიაა (Желеско, Роговин 1985, 3). გინეკენი უარყოფას განიხილავს როგორც წინააღმდეგობის, აკრძალვის ან სურვილის უქონლობის გამოხატვის საშუალებას (Ginneken 1907, 205). უმეტეს შემთხვევაში კი ის უარყოფის ძირითად ფუნქციას მხოლოდ გრძნობის გამოხატვაში ხედავს (Ginneken 1907, 208).

როგორც აღვნიშნეთ, ლოგიკაში გამოყოფენ დადებით და უარყოფით მსჯელობებს. ფსიქოლოგიაში კი ადგილი აქვს გრძნობების დაჯგუფებას დადებითად და უარყოფითად (ნათაძე 1977, 631). ამის შესაბამისად, გამოყოფენ ადამიანთა დადებითი და უარყოფითი გრძნობებისაკენ

მიდრეკილ ტიპს. ფსიქოლოგიაში, გარდა გრძნობებისა და ემოციებისა, დადებითად და უარყოფითად ჯგუფდება ადამიანის აზროვნებასთან და გრძნობებთან დაკავშირებული ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობა.

ვ. ბონდარენკო (Бондаренко 1983, 76) უარყოფას განიხილავს, როგორც ობიექტური კავშირების არარსებობის გამოხატულებას. მისი აზრით, უარყოფის ფსიქოლოგიური კონცეფცია არის ადამიანის ფსიქიკის გამოვლენა და ამა თუ იმ ფსიქიკურ რეაქციათა ასახვა.

პ. ჟელესკო და მ. როგოვინი აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგიური ანალიზისათვის ამოსავალია ის გარემოება, რომ უარყოფითი ინფორმაციის ათვისება უფრო ძნელად ხდება, ვიდრე დადებითის (Желеско, Роговин 1985, 27). მათი განმარტებით, უარყოფა რთული და ნაირფეროვანი ფსიქოლოგიური პროცესების მოქმედების შედეგია (აზროვნების, მეხსიერების, აღქმის, გადაწყვეტილების მიღების და სხვა). მათი აზრით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უარყოფა შეიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებულ ასპექტს:

- უარყოფის როლი სხვადასხვა დონის ლინგვისტურ, ლოგიკურ და საკუთრივ ფსიქოლოგიურ პროცესებზე.
- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ემოციურობის მაღალი ხარისხი.

ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით, უარყოფის აქტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ემოციურ და აფექტურ მომენტებს. უარყოფის კატეგორია ემოციურად და აფექტურად მოქმედებს არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა მოვლენებთან კავშირში და კომუნიკაციურ ჯაჭვში ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს (Дондуа 1967, 272, Бродский 1973, 6).

§3. ორმაგი უარყოფა (სემანტიკა და სტრუქტურა)

თანამედროვე ენათმეცნიერებაში უარყოფის ლინგვისტური კატეგორიის შესწავლისას ორმაგი უარყოფის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციების არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი უზუსტობა კომუნიკაციის პროცესში.

საერთოდ ინგლისელი და ამერიკელი გრამატიკოსები უარყოფის პრობლემას მეტად აქტუალურად მიიჩნევენ. ამ მხრივ საინტერესოა

ერნესტ გაუერსის ნაშრომი *The Complete Plain Words* (Gowers 1987). ე.გაუერსი გვიჩვენებს, წინადადებას უარყოფითი ხასიათი არ მიეკუთვნება (განსაკუთრებით მოვერდილოთ მრავალჯერადი უარყოფის ხმარებას), თუ იგივე აზრის მტკიცებითი წინადადებით გადმოცემა შეიძლება. ამის დასასაბუთებლად ის ორმაგი უარყოფის კატეგორიას განიხილავს ფრიად საინტერესო კუთხით. ე.გაუერსი უარყოფს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ორი უარყოფა ანეიტრალურებს ერთმანეთს და ვლებულობთ მტკიცებით მსჯელობას. ის უსაფუძვლოდ მიიჩნევს ამ მტკიცებას და მაჩნია, რომ ეს ვარაუდი სიმართლესთანაა ახლოს მხოლოდ მათემატიკის $(-(-X)=X)$ და არა გრამატიკის დონეზე. ამის დამადასტურებლად იგი განიხილავს ნაწყვეტებს შექსპირისა და ჩოსერის ნაწარმოებებიდან, რომლებშიც ისინი ორმაგ უარყოფას მხოლოდ უარყოფის ემფატიზაციის მიზნით იყენებენ.

ჩვენ საკვებით ვეთანხმებით ერნესტ გაუერსის (Gowers 1987, 147) მოსაზრებას, რომელიც კატეგორიულად უარყოფს, რომ წინადადება *He didn't say nothing* არ გამოხატავს იმავე აზრს, რასაც წინადადება *He said something*. თუმცა ის გამოხატვისას არ უარყოფს. ამ მხრივ აღსანიშნავია გაკვირვების გამომხატველი ზმნების ხმარება ორმაგი უარყოფის შემცველ წინადადებაში:

I shouldn't wonder if there wasn't a storm.

საინტერესოა მაიკლ სუონის მოსაზრება ორმაგ უარყოფაზე (Swan 1993, 187). მისი აზრით, ზოგიერთ ენაში უარყოფითი ტიპის სიტყვები იხმარება უარყოფით ფორმაში მდგომ ზმნებთან ერთად. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ორმაგი უარყოფის ასეთი ფორმით გამოხატვას ინგლისურ ენაში თითქმის არ ვხვდებით, ქართულ და ესპანურ ენებში კი ჩვეულებრივი მოვლენაა.

თანამედროვე ინგლისურში *nobody, nothing, never*-ის ტიპის უარყოფითი სიტყვები წინადადებას უარყოფით ხასიათს ზმნის უარყოფითი ფორმების გარეშე ანიჭებს (Flowers, Sitko, 1989, 701). მაგალითად:

- *Nobody will think anything if you want to get out of here.* (AH).

ო.დესპერენსის აზრით, ორი უარყოფა აბათილებს ერთმანეთს, როცა ისინი განეკუთვნება ერთსა და იმავე სიტყვას (Jespersen 1917, 63). ხოლო, როცა წინადადებაში რამდენიმე წევრია უარყოფილი, მაშინ უარყოფითი აზრი კი არ ბათილდება, არამედ ადგილი აქვს უარყოფის ემფატიზაციას. მაგალითად:

There's nothing Council hasn't tried and we've located no spy and no method of espionage. (AH).

საინტერესოა მ.სტიენმანის მოსაზრება ორმაგი უარყოფის შესახებ (Steinman 1995, 112). ის ორმაგ უარყოფად განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი უარყოფა გამოხატულია სრული უარყოფითი კონსტრუქციით, ან სიტყვით, მეორე კი მხოლოდ უარყოფის გამაძლიერებელი ფუნქციის მატარებელია. მაგალითად:

ორმაგი უარყოფა	{ don't like nobody can't hardly scarcely none	იგივე აზრი გადმო- ცემა ერთი უარყოფითი (ან ნახევრადუარყოფითი) სიტყვით	{ don't like anybody can hardly scarcely any
----------------	--	---	--

საინტერესოა კუთხით ამუქებს უარყოფის გამომხატველ სიტყვებს რ.ელიოტი (Eliot 1997, 227). ის უარყოფის გამომხატველ უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს (ძირითადად უარყოფით ნაწილაკებსა და ზმნიზედებს) აერთიანებს ჭეშმარიტი უარყოფითი სიტყვების ჯგუფში (not, no, never და ა.შ.), ხოლო უარყოფით მნიშვნელობის გამაძლიერებელ, მაგრამ ფორმით მტკიცებით სიტყვებს (hardly, scarcely, barely და ა.შ.) ნაკლებად ჭეშმარიტად მიიჩნევს. მაგალითად:

- Indeed, he is almost as good as the puppets, only, of course, not quite so natural. (OW).

- I had never seen anyone so pale. (ibid).

ჩვენც ვიზიარებთ ელიოტის მოსაზრებას ამ საკითხზე, რადგანაც ზემოთ ხსენებული სიტყვების ერთ ჯგუფში გაერთიანება ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული.

მ. სუონი აღნიშნავს, რომ ორმაგი უარყოფა ბევრ ინგლისურ დიალექტში იხმარება, მაგრამ არც ამ შემთხვევაში ხდება უარყოფის განეიტრალება და მტკიცებითი შინაარსის გადმოცემა (Swan, 1993, 183). მაგალითისათვის მას მოჰყავს ლონდონური დიალექტის (კოჩნის) გამონათქვამი: I don't want nothing. იგივე აზრი შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: I want nothing ან I don't want anything.

ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციებისაგან უნდა განვასხვავოთ ორმაგი უარყოფითი სიტყვის ხმარება იმ შემთხვევებში, როცა: 1) უარყოფილია წინადადების შემადგენელი რამდენიმე ერთგვარი წევრი (კოორდინაციის გამოხატვისას), 2) რთული წინადადების შემადგენელ

ცალკეულ წინადადებაში გვხვდება უარყოფა, 3) წინადადებაში გამოიხატება გაკვირება.


I'd never had and never wanted to have it (კოორდინაციის გამოხატვა)

I can never go and visit her, as I don't have her address (რთული ქვეწყობილი წინადადება).

No, I could't even think of it! (გაკვირება).

რამდენიმე უარყოფითი სიტყვის ხმარების ძირითადი შემთხვევები შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინოთ (სქემა №3):

სქემა №3



ჩატარებული ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე გამოვყავით ორი სახის ორმაგი უარყოფა. მათი საერთო მახასიათებელია ერთსა და იმავე წინადადებაში ორი ან მეტი უარყოფითი ელემენტის გამოყენება.

პირველ შემთხვევაში უარყოფითი შემასმენელის მქონე წინადადებებში დამატებით იხმარება სხვა უარყოფითი სიტყვები (უარყოფითი ნაცვალსახელები, კავშირები, ზმნიზედები), რომელთა გარეშეც წინადადებას უარყოფითი შინაარსი ისედაც აქვს და მათი ხმარებით მხოლოდ უარყოფის ემფატიზაციას აქვს ადგილი. მაგალითად:

ვარ ვწერ ვერაფერს (ორმაგი უარყოფა).

I cannot write anything (ერთმაგი უარყოფა).

No puedo escribir nada (ორმაგი უარყოფა).

მეორე შემთხვევაში, ორი უარყოფითი სიტყვის ხმარება უკავშირდება უარყოფითი ელემენტების ისეთ ურთიერთმოქმედებას, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს უარყოფის განეიტრალებას. ასეთ შემთხვევაში ორივე უარყოფითი სიტყვა წინადადების ერთსა და იმავე წევრს განეკუთვნება. მაგალითად:

არ ვარ გაუნათლებელი. = განათლებული ვარ.

I'm not uneducated. = I'm educated.

No soy ineducado. = Soy educado.

მაშასადამე, ორი უარყოფა ურთიერთს მხოლოდ მაშინ აბათილებს, როცა ორივე უარყოფითი სიტყვა ერთსა და იმავე წინადადების წევრს განეკუთვნება. თუ ორი ან მეტი უარყოფა წინადადებაში სხვადასხვა სიტყვასთან გვხვდება, მაშინ არა თუ ბათილდება უარყოფითი შინაარსი, არამედ ხდება უარყოფის ემფატიზაცია.

§4. უარყოფა და მოდალობა

უარყოფის კატეგორიის კვლევის პროცესში ლინგვისტების აზრთა სხვადასხვაობა უარყოფის მოდალობის კატეგორიასთან მიმართებამ გამოიწვია. ზოგიერთი ენათმეცნიერი მიიჩნევს, რომ უარყოფა შეიძლება გაერთიანდეს მოდალურ ურთიერთობათა ჯგუფში (Poutsma 1918, Kruisigna 1932, Ilyish 1965). შენდელსის აზრით კი უარყოფა სცდება მოდალურ ურთიერთობათა საზღვრებს (Шенделъс 1959, 139).

უარყოფის კატეგორიას მოდალობასთან აიგივებდა ჰ.ს.უიტიც. ის ერთ-ერთი პირველი ენათმეცნიერი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე (Sweet 1898, 90-91). ის უარყოფისა და მოდალობის გაიგივების ძირითად არგუმენტად ასახელებდა იმას, რომ მოდალობა ენაში ინდივიდის სხვადასხვა სუბიექტური განცდის გამონატვასთან არის დაკავშირებული. ლინგვისტური საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ჰ.ს.უიტი და მისი თანამოაზრენი უარყოფას მოდალურ კატეგორიებს აკუთვნებდნენ, ენაში უარყოფის ფუნქციის ისეთი გაგებაცაა, რომლის მიხედვითაც წინადადებაში ორი უარყოფა სხვადასხვა სიტყვასთან არა თუ აბათილებს ერთმანეთს, პირიქით, უარყოფის ემფატიზაციას ახდენს. ჩვენ ვეთანხმებით ორმაგი უარყოფის, როგორც უარყოფის გამამდიერებლის ფუნქციას, მაგრამ არ ვიზიარებთ იმ მკვლევართა აზრს, რომლებიც ამის საფუძველზე უარყოფას მოდალობასთან აიგივებენ (Prior 1968, Frodesen, Eyring 1993, Master 1996).

სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ე.შენდელსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მოდალობა მოსაუბრის სინამდვილისადმი დამოკიდებულებას

გამოხატავს. მტკიცებითი და უარყოფითი ფორმები ყველა სახის მოდალობასთან გვხვდება, თუმცა მასზე არ მოქმედებს (Шенделъс 1959, 141).

ფ.პალმერი მოვლენების უარყოფელი უარყოფითი ფორმების გარდა მოდალობის უარყოფელ ფორმებსაც აღნუსხავს (Palmer 1979, 26).

mustn't - უარყოფს მოვლენას

needn't - უარყოფს მოდალობას

სავსებით ვეთანხმებით ფ.პალმერის მოსაზრებას, რომლის თანახმად, მოდალური ზმნები მტკიცებით ფორმაში უარყოფის გამოხატველი ერთ-ერთი კომპონენტის ფუნქციას ინარჩუნებს, თუ მათ უარყოფითი სიტყვები never, no one, nobody, nothing და ა.შ. ახლავს. მაგალითად:

You must never do that.

ნაცვლად - You mustn't ever do that.

You need never do that.

ნაცვლად - You needn't ever do that.

განხილულმა მაგალითებმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ უარყოფის და მოდალობის კატეგორიების ურთიერთქმედების სინტაქსურ ერთეულად გვევლინება წინადადება, რომელშიც ძირითადად გადმოცემულია მოლაპარაკის დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

ქართული ენათმეცნიერებიც ანალოგიურად განსაზღვრავენ მოდალობის არსს. ლ.კვაჭაძე მოდალობას ანუ რაგვარობას უწოდებს გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, რაც წინადადებაში სხვადასხვა საშუალებებით გადმოიცემა (კვაჭაძე 1966, 31). წინადადების მოდალობის გამოხატვის საშუალებად ლ.კვაჭაძე მიიჩნევს: ზმნის კილოს ფორმას, ინტონაციას, მოდალურ სიტყვებს და ნაწილაკებს, წინადადების კონსტრუქციას (კვაჭაძე 1966, 47). ქართულ ენაში ლექსიკური შედგენილობისა და ინტონაციის საშუალებით მოლაპარაკეს შეუძლია გადმოსცეს სხვადასხვა ნიუანსი: კატეგორიული ბრძანება, თხოვნა, მუდარა, აკრძალვა. ინგლისური და ესპანური ენები კი მსგავსი მოდალური ნიუანსების გამოსახატავად სპეციალურ მოდალურ ან სრულმნიშვნელოვან ზმნებს იყენებს.

თავი I.

უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში

§1. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ ენაში

ა) უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და უარყოფის გამონათვის ბირთვულ საშუალებათა სისტემა ქართულ ენაში

ქართულ ენაში უარყოფის ველი 1 შეიცავს როგორც უარყოფის გამომხატველ, ისე მის გამაძლიერებელ საშუალებებს. ძირითადად წინადადებაში უარყოფის ველის საზღვრების დადგენა უარყოფის გამომხატველი ელემენტის მიერ უარყოფითი შინაარსის გავრცელების სივრცის მიხედვით ხდება. ქართულ ენაში უარყოფის ველი 2 მოიცავს ყველა იმ სიტყვას, რომელზეც ვრცელდება უარყოფის გამომხატველ საშუალებათა მიერ გამოხატული უარყოფითი შინაარსი. უარყოფის ველის შემადგენელი სიტყვები ძირითადად უარყოფითი სიტყვების შემდეგ იხმარება. ე.ი. უარყოფის მოქმედება ვრცელდება მარცხნიდან მარჯვნივ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში, რთულ წინადადებაში უარყოფის ველი დამოკიდებული წინადადების ზოგიერთ წევრზე, ან მთელ დამოკიდებულ წინადადებაზე ვრცელდება. მაგალითად:

არ გირჩევთ, რომ მათ ყველაფერი უაშბოთ.

ქართულ ენაში უარყოფის სინტაქსური ველის საზღვრების დადგენისას უნდა დავიცვათ ის დადგენილი ნორმები, რომლებიც უარყოფითი სიტყვების წინადადებაში ხმარებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. უარყოფა შეიძლება იყოს როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური. ძირითადად უარყოფითი სიტყვა ზმნის წინ იხმარება, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც უარყოფილია წინადადების ცალკეული წევრი.

უარყოფითი აზრი შეიძლება გამოიხატოს ზეპირ საუბარში ინტონაციის საშუალებით. მაგალითად:

თვითონ კი იცის, რომ მე მასწავლის?!.

ქართულ ენაში უარყოფის კატეგორიის განხილვისას საჭიროდ მივიჩნით უარყოფისა და მოდალობის ურთიერთობის საკითხის განხილვა. ქართულ ენაში სპეციალური მოდალური სიტყვების უქონლობის გამო უარყოფითი მოდალობა მსგავსი ელფერის მქონე უარყოფითი ნაწილაკებით გადმოიცემა. ასეთი ნაწილაკებია: არ, არა, აღარ, ვერ, ვეღარ, ნუ, ნუღარ, როდი. ისინი მოდალობის სხვადასხვა სახის გამომხატველებია. მათ შემდეგ მდგომი სიტყვები მოქცეულია უარყოფის ველის საზღვრებში.

უარყოფის კატეგორიის მოქმედების საზღვრების დადგენაზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ წინადადებაში უარყოფა შეიძლება გამოიხატოს ერთზე მეტი უარყოფითი სიტყვით. როგორც ეთოფურია მიუთითებს, “ორმაგი უარყოფა ისტორიული თვალსაზრისით ქართული ენისათვის დამახასიათებელი და საგულისხმო სინტაქსური მოვლენაა. იგი, როგორც ენის ევოლუციის პროცესში მიღებული ფაქტი, აზროვნების ფსიქოლოგიისა და ევოლუციისათვის საკმაოდ საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს” (თოფურია 1924, 74).

ისტორიულად ძველ ქართულში უკუთქმითი მსჯელობა მუდამ ერთმაგი უარყოფით გადმოიცემოდა და ერთმაგი იყო უარყოფა როგორც ქართულ ენაზე შესრულებულ ნაწერებში, ისე თარგმანებში (თოფურია 1923-24, 83).

ქართულ ენაში ორმაგი უარყოფის ხმარებას ვ. თოფურია ხსნის დროთა ვითარებაში მიმდინარე ენობრივი ცვლილებებით, წინადადებაში უარყოფითი ნაცვალსახელების ფუნქციის შეცვლით და ურთიერთობის ძალის დაკარგვით, რის გამოც ენაში შეიქმნა უარყოფის გამოსახატავად მორე უარყოფითი ელემენტის გამოყენების აუცილებლობა. (თოფურია 1923-24, 90).

თუ ორმაგი უარყოფა XIX ს. 50-60-იან წლებში იშვიათი მოვლენა იყო ქართული ენისათვის, XX ს. 20-იანი წლებიდან ხშირ ხასიათს ღებულობს. ქართველი ენათმეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებით ხსნიან ორმაგი უარყოფის წარმოშობის აუცილებლობას ქართულ ენაში.

თედო სახოკიას აზრით, ქართულ ენაში ორმაგი უარყოფა რუსული წინადადების პირდაპირი თარგმნით აიხსნება (ქართული სახალხო გაზეთი, 1911, №348). იგივე აზრს იზიარებს პ. კვიციარიძე (კვიციარიძე

1888, 152). მათი მოსაზრებით, ორმაგი უარყოფა ქართულში არ აბათილებს უარყოფით შინაარსს, არამედ უფრო განამტკიცებს მას.

ვ.თოფურია ორმაგი უარყოფის წარმოშობა-განვითარებაში ითვალისწინებდა ფსიქოლოგიურ მომენტსაც. მისი აზრით, ორმაგი უარყოფის აუცილებლობა გამოწვეულია მთქმელის ცნობიერებაში ქვემდებარესა და შემასმენელს შორის უარყოფითი მიმართების ნათელი ფიქსაციის მოთხოვნილებით. ვ.თოფურია მიუთითებს ორმაგ უარყოფაზე, როგორც უარყოფის გამაძლიერებელზე, რაც რთულ წინადადებაში უარყოფის შესუსტების დროს მეორე უარყოფითი სიტყვის მიშველებაში გამოიხატება (თოფურია 1923-24, 105). ასეთ შემთხვევაში უარყოფის ველი ვრცელდება როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ წინადადებაზე. როცა ორმაგი უარყოფა განეკუთვნება ერთსა და იმავე წევრს, ორივე უარყოფითი სიტყვა მოქცეულია უარყოფის ერთსა და იმავე ველის ფარგლებში, მაგრამ ქართულ ენაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორი ან მეტი უარყოფითი სიტყვა იხმარება რთული წინადადების შემადგენელ თითოეულ მარტივ წინადადებაში, ასეთ შემთხვევაში ყოველ მარტივ წინადადებას თავისი უარყოფის ველი აქვს.

ქართულ ენაში ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციების მქონე წინადადებებში, რომლებშიც ქვემდებარე უარყოფითი სიტყვით გამოიხატება, შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკის გამოტოვებისას ხდება უარყოფითი აზრის შენარჩუნება, მაგალითად:

არავინ არ მელოდა = არავინ მელოდა

იმ შემთხვევაში, თუ უარყოფითი სიტყვა განსაზღვრების ან გარემოების როლში გამოდის, ქვემდებარესა და შემასმენელს შორის უარყოფითი ურთიერთობის გამოსახატავად აუცილებელია შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკის ხმარება. მაგალითად:

სტუმრებმა ამ ამბისადმი არანაირი ინტერესი არ გამოხატეს.

* **სტუმრებმა ამ ამბისადმი არანაირი ინტერესი გამოხატეს.**

ასეთ შემთხვევაში, ორმაგი უარყოფის გარეშე წინადადება უარყოფით შინაარსს ვერ გამოხატავს, რადგანაც უარყოფითი განსაზღვრების შემთხვევაში უარყოფა არ ეხება ზმნას და უარყოფითი სიტყვა გამოხატავს საგნის თვისებას და არა მოქმედებას.

* აღნიშნავს არასწორ კონსტრუქციას

როგორც აღნიშნეთ, ქართულ ენაშიც ორმაგი უარყოფა ორ განსხვავებულ მოვლენას მიესადაგება (გვ. 16).

ქართულ ენაში ქვემდებარისა და შემასმენლის უარყოფითი ურთიერთობის გამოსახატავად საჭიროა უარყოფითი სიტყვის ხმარება. იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარე უარყოფითი სიტყვით გამოიხატება, აუცილებელი არ არის ზმნის წინ უარყოფითი ნაწილაკის ხმარება. თუ ასეთ შემთხვევაში უარყოფითი ნაწილაკი ზმნის წინ მაინც დგას, მხოლოდ უარყოფის განმტკიცებას აქვს ადგილი, წინადადების აზრი კი იგივე რჩება, რაც უარყოფითი სიტყვით გამოხატული ქვემდებარის შემცველ წინადადებაშია. მაგალითად:

- ვერავენ მიხვდა მის ნათქვამს.

- ვერავენ ვერ მიხვდა მის ნათქვამს.

ქართულ ენაში უარყოფა გამოიხატება ლექსიკური, ფრაზოლოგიური და სინტაქსური საშუალებებით. უარყოფის გამომხატველი საშუალებები, კელი 1-ის სტრუქტურირების პრინციპზე დაყრდნობით, ორ დიდ ჯგუფად იყოფა – ბირთვულად და პერიფერულად. უარყოფის გამომხატველ ბირთვულ საშუალებებად გვევლინება უარყოფითი ნაწილაკები.

ნაწილაკები: არ, ვერ, ნუ

„ნაწილაკი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას, ბგერათა კომპლექსს, თუ სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით“. (შანიძე 1973, 607). ზოგი ნაწილაკი იმ სიტყვის წინ იხმარება, რომელსაც ის ახლავს, ზოგიერთი კი მის შემდეგ. ქართულ ენაში სამი ძირითადი უარყოფითი ნაწილაკია: არ, ვერ, ნუ.

ქართული ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა შინაარსის მიხედვით გამოგვეყო უარყოფის სამი ტიპი: თხრობითი, იმპოსიბილიტატური და აკრძალვითი.

თხრობითი უარყოფა გამოიხატება არ ნაწილაკით, რომელიც ცალკეც იხმარება და სხვა ნაწილაკების დართვითაც: არც, აღარ, აღარც. ერთმარცვლიან ზმნებთან სტილისტური მიზნით არა იხმარება: არა იქვს, არა ჰყავს (შანიძე 1973, 613).

ძირითადად არ ნაწილაკი თხრობითი შინაარსისაა. მაგალითად:

ბაჩანამ ტახის წინ დაიჩოქა და მუცელი მოფხანა, ტახმა ვიღრე მთლიანად არ მოხიკა სიმინდის კაკალი, ბაჩანასათვის ყურადღება არ მიუქცევია. (ნ.დ.).

ნაწილაკი არ თხრობითი უარყოფის გარდა გამოხატავს აკრძალვას, მაგალითად:

აბა მშვიდობით იარე, მიწაზე არ ათრით საყვირი სოფლის ქონებაა. (ლ.გ.).

არ ნაწილაკი ზოგჯერ განცვიფრების გამომხატველ კითხვითი შინაარსის წინადადებებშიც იხმარება. ასეთ შემთხვევაში მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი. მაგალითად:

- ამდენი ამაგი ტყუილად არ გავეწიე? (იქვე).

უარყოფის გაძლიერება ხდება ც, ც-კი, ცა და კი ნაწილაკებით, მაგალითად:

სიკვდილის შიში ღმერთთან მიახლოების შიშია! თქვა მღვდელმა ისე, რომ ბულიკასკენ არც კი გაუხედავს. (ნ.დ.).

შშირად არა ნაწილაკი კითხვაზე პასუხად იხმარება და ზოგჯერ წინადადების სინტაქსურ ერთეულადაც კი გვევლინება:

- დაწყევლილი არის თუ არა იულა შენგან?

არა!

რატომ?

იუდამ იხსნა თერთმეტი კაცის სული წაწყმედისაგან. (იქვე).

ზოგჯერ კითხვითი წინადადების სინტაქსური ეკვივალენტის როლში მყოფი უარყოფითი სიტყვა ორჯერ მეორდება კითხვით წინადადებაში თანამოსაუბრის გამოთქმული აზრის დადასტურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში მტკიცებითი და უარყოფითი ნაწილაკი ერთად იხმარება:

- ამ საიდუმლოს ხომ არავის გაიანდობთ? არა? არა, ხომ?

უარყოფითი ნაწილაკი არ(ა), უარყოფითი პრეფიქსის მსგავსად, სიტყვამწარმოებლურ ფუნქციასაც ასრულებს. წართქმითი შინაარსის მქონე სიტყვებს უკუთქმით შინაარსს ანიჭებს. მაგალითად:

ლეგალური	-	არალეგალური
მეგობრული		არამეგობრული
საინტერესო		არასაინტერესო
სწორი		არასწორი

ნაწილაკი ვერ იმპოსიბილიტატური ნაწილიკია და შეუძლებლობას გამოხატავს. ის ძირითადად ზმნით გამოხატულ მოქმედებას უარყოფს. მაგალითად:

ვერ გაეგო ლუკას მოგზავნილი კაციები მოგებას როგორ ახერხებდნენ და ამითაც იყო გამჭარბული. (ჟ.ა.).

უარყოფის ემფატიზაციის მიზნით წინადადებაში ერთდროულად ორჯერ იხმარება ვერ ნაწილაკი. (ჯერ გავრცობილი ფორმა ვერა, შემდეგ მას მოსდევს ნაწილაკი ვერ):

- ცოცხალი ვარ, აგერ შუა კიბეზე ვზივარ და გელოდებით, როდის ამომიყვანთო,- უნდოდა ეთქვა ბაჩანას, მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრი იყო, ფიქრი კი **ვერა** და **ვერ** აღწევდა ბულიკას ყურამდე. (ნ.დ.).

ვერ უარყოფითი ნაწილაკის გავრცობილი ფორმა ვერა ზოგჯერ იხმარება როგორც უარყოფითი წინადადების ეკვივალენტი. მაგალითად: ვერ უთხარი, ალექსანდრე?

ვერა. (გ.დ.).

შ. მაჩაბელმა (Machabeli, 1954, 101) ყურადღება გაამახვილა იმპოსიბილიტატური უარყოფის გამოხატვის ერთ საინტერესო მომენტზე-წარსულში (უწყვეტელი) და აწმყო დროში (აწმყოს მწკრივი, I სერია) შეძლება - ზმნით იმპოსიბილიტატური უარყოფის გამოსახატავად იხმარება უარყოფითი ნაწილაკი არ და არა ვერ, როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მაგალითად, არ შემეძლო, არ შემიძლია, ვერ შევძელი, ვერ შევძლებ, ვერ შევძლებდი, ვერ შევძლებდე.

ნაწილაკი ნუ ძირითადად აკრძალვას გამოხატავს და წინადადებას ბრძანებით ხასიათს ანიჭებს, მაგრამ ზოგჯერ გამხნეების და დამშვიდების გამოხატველია. მაგალითად:

- გუნებას ნუ მირევ, დამეხსენ მეთქი. (ი.ჭ.).
ვა, რამდენია?!

ნუ გეშინია მამა შენის ჯამაგირზე მეტი არ იქნება. (ნ.დ.).

არა და ვერა უარყოფითი ნაწილაკებისაგან განსხვავებით, ნუ ნაწილაკი წინადადების ეკვივალენტად არ გეხვდება. არ და ვერ ნაწილაკების მსგავსად, მასაც გააჩნია სიტყვათმწარმოებლური ფუნქცია: ნურაფერი, ნურაფინ, ნურსად და სხვ.

ზემოთ განხილულ სამივე უარყოფით ნაწილაკს აქვს ვარიანტები, რომლებიც და და ც ნაწილაკების დართვით იწარმოება: აღარ, ვეღარ, ნუღარ, არც, ვერც, აღარც, ვეღარც, ნუღარც. მაგალითად:

- ბავშვი გაცივდა და ოფლიად გაიღვარა, ტუჩები ღღარ მოძრაობდნენ. (ნ.დ.).
- რა გახდა მაგის დაგრილება, სამი წელი გავიდა, რაც ქარიდან გამოიქცა და ველარ დაიჭირეთ? – მიუბრუნდა ონა ბატალიონის წევრებს. (იქვე).
- ერთმანეთს დავეშველიოებით და ღღარც მეგონა თუ როდესმე ვნახავდი. (იქვე).
- მერე მარუდა ისე დამეკარგა, ველც კი გავიგე. როცა გავიგე, რომ დამეკარგა, არც ვცდილვარ დავწოდი. (ჰ.ა.).

ც გამაძლიერებელი ნაწილაკია. მტკიცებითი მსჯელობის შემთხვევაში ის დაერთვის წინადადების წევრებს, ხოლო უკუთქმითი მსჯელობის შემთხვევაში კი უკუთქმით ნაწილას (ადგილი აქვს ნაწილაკის გაორმაგებას არც – არც, ვერც – ვერც, ნურც – ნურც და კავშირად გადაქცევას). იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში უარყოფა გამოხატულია ნაწილაკისაგან განსხვავებული უარყოფითი სიტყვით, ც ნაწილაკი დაერთვის წინადადების წევრს. მაგალითად:

- ეს არავის გაუგია, მის მეზობელსაც კი.

ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს უარყოფითი ნაწილაკის ნაცვლად ც ნაწილაკის ხმარებას, ზემოთ განხილულ მაგალითში გადმოცემული აზრი სხვანაირად შეიძლება შემდეგი სახით გადმოიცეს:

- ეს სხვას არავის გაუგია, არც მის მეზობლებს.

ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც უარყოფითი ნაწილაკის შემცველ წინადადებაში ც ნაწილაკი დაერთვის სრულმნიშვნელოვან სიტყვას და გამოკვეთს მას. მაგალითად:

შეშინებულმა თავისი სახელიც არ გვითხრა.


ნაკლებად კატეგორიული ხასიათის უარყოფას გამოხატავს ნაწილაკი როდი, რომელიც წარმოშობით კითხვითი სიტყვაა (როდის?) და მიღებული აქვს უარყოფითი ნაწილაკის მნიშვნელობა. (შანიძე 1973, 616). მაგალითად:

- მარუდა მარტო წაგებულ ფულს და სარფიანი საქმის ჩაშლას როდი დარდობდა. (იქვე).

ქართულ ენაში უარყოფის გამოხატველ ნაწილაკთაგან აღსანიშნავია კინაღამ. ა. შანიძის განმარტებით მისი ძველი ფორმა იყო კინღა (ე.ი. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ...) (შანიძე 1973, 614). ნაწილაკს კინაღამ შეიძლება თან ახლდეს უარყოფითი ნაწილაკი არ, თუმცა ის ამ ნაწილაკის გარეშეც უარყოფით მინაარსს აძლევს წინადადებას.

განხილული მასალის საფუძველზე ქართულ ენაში უარყოფითი ნაწილაკებით უარყოფის გამოხატვის სქემა შემდეგ სახეს მიიღებს (სქემა №4):

სქემა №4



ამრიგად, ქართულ ენაში უარყოფის გამოხატველი ნაწილაკები **არ**, **ვერ**, **ნუ** და მათგან **ც** და **ღა** ნაწილაკების დართვით ნაწარმოები ფორმების საშუალებით წართქმით წინადადებებს უკუთქმითი შინაარსი ეძლევა, იწარმოება უარყოფითი სიტყვები, გამოიხატება სხვადასხვა შინაარსის უარყოფა და ზოგჯერ **არა** და **ვერა** ნაწილაკები წინადადების სინტაქსურ ეკვივალენტებადაც გვევლინება.

ნაცვალსახელები: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი.

ქართულ ენაში უარყოფითი ნაწილაკების გარდა უარყოფითი შინაარსი გამოიხატება უარყოფითი ნაცვალსახელებით. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები იწარმოება **ვინ** და **რა** სიტყვების წინ **არ** უარყოფითი ნაწილაკის დართვით. ზოგჯერ უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოებისას კითხვითი სიტყვების ნაცვლად იხმარება არსებითი სახელი

ფერი. შედეგად ვლებულობთ უარყოფით ნაცვალსახელებს: არაფინ, ვერაფინ, ნურაფინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არარა (არა ამ შემთხვევაში მიღებულია არ-რა-საგან და შინაარსით იგივეა რაც არაფერი. მაგალითად:

არა მითხრა რა. = არაფერი არ მითხრა.

მსგავსი ფორმა იწარმოება ნაწილაკით ვერა. მაგალითად:

ვერა გავიგე რა. = ვერაფერი გავიგე.

ეს ფორმები ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი და თანამედროვე სალაპარაკო ენაში იშვიათად იხმარება.

არ ნაწილაკის გარდა, უარყოფითი ნაცვალსახელების საწარმოებლად ქართულ ენაში გამოიყენება ნაწილაკი აღარ (აღარაფერი, აღარაფინ, ველარაფინ) და ნაწილაკი ნუ (ნულარაფერი, ნულარაფინ, ნურაფერი). მაგალითად:

- შემდგომი ხუთი დღის მანძილზე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა. (ჭ.ა.).
- ბატონმა ოტიამ ბრძანა ასე: ღომი და სულგუნით. სხვას ნუ მოგვიტან ნურაფერსო. (იქვე).

უარყოფითი ნაცვალსახელები წინადადებაში ქვემდებარისა და დამატების ფუნქციას ასრულებს.

ქართულ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელები იბრუნვის იმ კითხვით სიტყვათა მსგავსად, რომელთაგანაც არის ნაწარმოები. ფერი-საგან ნაწარმოები ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი ფერი. მათ არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვი. მაგალითად:

- ისეთებიც იყვნენ, რომ მხოლოდ ტახტისა და სამშობლოს ერთგულების გამო მსახურობდნენ, ჯამაგირს არაფრად აგდებდნენ, მაგრამ აღამიანთა უმრავლესობისათვის სამსახური მაინც დაწინაურების, კარიერის გაკეთების საშუალება იყო. (იქვე). (ვითარებითი ბრ. დამატება).
- მილიონობით კაცი რომ წევბა ახლა ტყვიით გულგაგლეჯილი, თან არაფერი მიაქვთ, ყველაფერს შენს ტოლ ბიჭებს უტოვებენ. (ნ.დ.). (სახელობითი ბრ. დამატება).
- ხალხი სასწაულს ელოდა ჩემგან და იმიტომ გამცვალა ავაზაკში, ავაზაკისაგან კი არაფერს ელოდა ხალხი. ეს იყო მეორე ნაადრევი გამოცდა იღამის ძისა და ჩემ მიერ შეცდომა ჩემი. (იქვე). (მიცემითი ბრ. დამატება).

ფინ-ზე დაბოლოებული უარყოფითი ნაცვალსახელები ერთნაირი ფორმით გვევლინება: სახელობითსა და მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში. მათი ბრუნვის დადგენა ხდება შესაბამის არსებით სახელთან შეფარდებით. ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იწარმოება თვის თანდებულთ - არაფინ - არავისთვის. დანარჩენი ბრუნვის ფორმებიდან აღსანიშნავია თანდებულიანი მიცემითი - არაფინ - არავისში. (არ შეპარება ეჭვი არავისში).

ფინ-ზე დაბოლოებული უარყოფითი ნაცვალსახელები წინადადებაში ძირითადად ქვემდებარის ან დამატების ფუნქციას ასრულებს. მაგალითად:

- ამას ძეგლს არაფინ დაუდგამს და ორდენს არაფინ მისცემს, შენ უნდა იყო მაგის ძეგლიც და ორდენიც. (ნ.დ.) (სახელობითი ბრ., ქვემდებარე).

- ვყვიროდით, აბა არ ვყვიროდით? - კი ვთქვი, მარა ვერ დავიჭერე ვერაფინ. (ჭა.). (სახელობითი ბრ., დამატება).

უარყოფითი ნაცვალსახელები არაფითარი და ვერაფითარი მიუთითებს არქონაზე, არყოლაზე და შეუძლებლობაზე მხოლოდ უარყოფით ნაწილაკებთან ერთად. მაგალითად:

- მინდა, გაგაფრთხილოთ, ბატონო ოფიცერო, - დასძინა დოცენტმა, რომ ვერაფითარ გაჩივებაზე ვერ წამოვიღო, არაფითარ კომპრომისს არ დავუშვებ— (იქვე).

უარყოფითი ნაწილაკებით არც ან ვერც და რიცხვითი სახელით ერთი იწარმოება უარყოფითი ნაცვალსახელები არც ერთი და ვერც ერთი. მაგალითად:

- მე ფეხი მქონდა მოტეხილი, დითა თუთაშხიას კისერი გაშეშებული და იარაც გაუმიზეზდა მკლავზე. ათ დღეს ცხენებზე ვერ შევჭქვით ვერც ერთი. (იქვე).

ქართულ ენაში ორმაგი უარყოფის გამომხატველი ერთერთი წევრი ხშირად უარყოფითი ნაცვალსახელია. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს უარყოფითი ნაცვალსახელი ზმნის წინ დაისმის თუ ზმნის შემდეგ. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ზმნის შემდეგ დგას, უარყოფითი შინაარსის გამოსახატავად აუცილებელია ზმნის წინ უარყოფითი ნაწილაკის ხმარება. მაგალითად:

- ერთთა კიდევ მთავარი და უამისოდ არ გამოვი არაფერი იმედი! (იქვე)
- ვერაფერი გავუგე, რას საქმიანობდა, მაგრამ ცუდი წინათგარძობა მქონდა და უგუნებოდ ვიყავი. (იქვე).

იმ შემთხვევაში, როცა უარყოფითი ნაცვალსახელი ზმნის წინ დგას, აუცილებელი არ არის დამატებით უარყოფითი ნაწილაკის ხმარება. ასეთ შემთხვევაში, უარყოფითი შინაარსის გამოხატვა უარყოფითი ნაცვალსახელებითაც ხდება და უარყოფითი ნაწილაკი მხოლოდ უარყოფის ემფატიზაციას ახდენს. მაგალითად:

– მსჯელობის დასასრულს ნათლული ნათლიას იარწმუნებდა, რომ აქციზში სამახაურის ზუთი წლის მანძილზე არაფრით არ მიუყენებია ჩრდილი თავისი კარიერისათვის. (ჭა.).

ქართულ ენაში უარყოფის გამოხატავად იხმარება განუსაზღვრლობითი ნაცვალსახელი კაცმა კაცი არსებითი სახელია, მაგრამ ბევრ შემთხვევაში უარყოფით ნაწილაკთან ერთად განუსაზღვრელ ნაცვალსახელად არის გამოყენებული (ა.შანიძე 1973, 43). ასეთ შემთხვევაში იგი არ ნაწილაკთან ხმარებისას მნიშვნელობით სინონიმურია ნაცვალსახელის - არაფინ. მაგალითად:

– ბაჩანა დიდიხანია გაჩერებული იყო და აღარ ტაროდა, მაგრამ ახლა გლახუნა ქერქაძე ტაროდა ბავშვივით და კაცი არ იყო მისი გამოჩენილი. (ნ.დ.).

ვერ ნაწილაკთან ხმარებისას კაცმა მნიშვნელობით უტოლდება უარყოფით ნაცვალსახელს – ვერაფინ. მაგალითად:

ის ისე იყო შეცვლილი, რომ კაცი ვერ იცნობდა (იქვე).

ზმნიზედებ არასდროს, ვერასდროს, ნურასდროს, არსად, ვერსად, ნურსად.

ქართულ ენაში უარყოფის გამოხატვა ზმნიზედების მეშვეობითაც ხდება, თუმცა უარყოფითი ზმნიზედების ჯგუფი ცალკე არ გამოიყოფა, ნაწილაკებისა და ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით. უარყოფის გამოხატავად ძირითადად ადგილისა და დროის ზმნიზედები გვევლინება: არსად, ვერსად, ნურსად (ადგილის); არასდროს, ვერასდროს, ნურასდროს (დროის). ძველი ქართულიდან შემორჩენილია დროის ზმნიზედის შემდეგი ფორმები: არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს. დროის ზმნიზედებით გამოიხატება არა გრამატიკული, არამედ ლექსიკური დრო (შანიძე 1973, 595). შედარებით ნაკლები სიძლიერის უარყოფა გამოიხატება ვითარებითი ზმნიზედებით: ძლივს, თითქმის და ღამის.

უარყოფის გამოხატველი ზმნიზედები ქართულ ენაში იწარმოება უარყოფითი ნაწილაკითა და კითხვითი სიტყვით **სად** ან არსებითი სახელით **დრო**. (მიცემით ბრუნვაში).

ზმნიზედებით გამოხატული უარყოფის გაძლიერება ც – ნაწილაკის მეშვეობით ხდება. მაგალითად:

– მე არსადაც არ დავბოდიხლობ, - შეაწყვეტინა ვასიკომ – სულ ატელიეში ვზივარ (გ.დ.)

უარყოფითი შინაარსის ზმნიზედა წინადადებაში ადგილის ან დროის გარემოების ფუნქციას ასრულებს. მათი საშუალებით ქართულ ენაში უარყოფითი ნაწილაკის გარეშე გადმოიცემა უარყოფითი შინაარსი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ზმნიზედა შემასმენლის წინ დგას. მაგალითად:

– არც ჩვენ გვაწყენს, როცა ცოტათი მოვისვენოთ, ოღონდაც ნურსად გავიპარებით. (იქვე) (ადგილის გარემოება).

– ვილონჩელი მუხლებშუა დავიყენე, თავი მზარზე მივადებინე, კისერზე თითები შემოვაჭდე და დავუკარი. არასდროს დამიკრავს ესე კარგად— (იქვე) (დროის გარემოება).

იმ შემთხვევაში, როცა უარყოფის გამომხატველი ზმნიზედა შემასმენლის შემდეგ დგას, აუცილებელია შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკის ხმარება. მაგალითად:

იმდენი წლის აბრაგობაში, კატორღაში თუ კატორღის მერე გინდა, რა არ გადაშდენია – ბოვ შებთან არ მქონია საქმე არასდროს. (ჭა.). მაგას ვერ გავიგებთ ვერასდროს, ტყვედ დანებებულივით ჩაილაპარაკა ზამთარაძემ და ლამბა მაგიდაზე დადგა. (იქვე).

მხატვრული ლიტერატურის ანალიზისას ისეთ შემთხვევებსაც ვხვდებით, როცა უარყოფის გამომხატველი ზმნიზედა შემასმენლის წინ დგას, მაგრამ უარყოფითი ნაწილაკი მაინც ახლავს (იმ სახის, რომლისგანაც ეს ზმნიზედაა ნაწარმოები). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უარყოფის ემფატიზაციას, თორემ უარყოფა, როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითების შედარებით ვლინდება, უარყოფითი ნაწილაკის გარეშეც გამოიხატება ზმნიზედით. მაგალითად:

- აი ის წერო ჯერ არსად ჩანდა და ჰურსდანიატრულმა სკირონმა ხელისგულები შემოაჭდო რძიან ქოთანს, ზეზე წამოდგა, მიიყუდა და ჯერაც ქაფიან რძესა სვამდა. (გ.დ.).

აქ ვარ, პატივცემულო ბახვა, - გაისმა მორიდებით, - არსად არ წავალ. (იქვე).

ქართულ ენაში უარყოფა შეიძლება გამოიხატოს ვითარებითი ზმნიზედებითაც: თითქოს, თითქმის, ძლივს, ღამის. ასეთ შემთხვევებში

ადგილი აქვს მტკიცებითი ფორმით უარყოფის გამოხატვას. ასეთი წინადადებები შეიძლება ნახვერად უარყოფითად ჩაითვალოს. მაგალითად:

- ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო. უცებ გულის ფიცრისკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე თითქოს ვიღაცამ მკერდი გადაუხსნა, შიგ დაკოჟრილი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის მტევანივით დაუწურა. (ნ.დ.)

გარეთ ისევ თინკლავდა, თინკლავდა უიმედოდ, გულისგამაწვრილებლად, გასაწყალებლად, - ლამის წვიმასა და ღრუბელს ქვეყანა გადაებნელებინა. (გ.ლ.)

კავშირები: არც.....არც, ვერც.....ვერც, ნურც.....ნურც.

კავშირი ერთმანეთთან აკავშირებს ორ წინადადებას ან წინადადების ორ წევრს.

კავშირი შედგენილობით შეიძლება იყოს მარტივი და რთული. უარყოფით წინადადებებში კავშირად გამოიყენება მარტივი კავშირები: **არამედ და სანამ.** რთული კავშირებია **ც** ნაწილაკდართული უარყოფითი ნაწილაკები **არ, ვერ, ნუ,** რომლებიც წინადადებაში განმეორებით იხმარება.

ქართულ ენაში უკუთქმით წინადადებაში მაგჯუფებელ კავშირად გამოიყენება: **არც(ა) არც(ა), აღარც ... აღარც, ვერც ... ვერც(ა), ნურც ... ნურც, არა ... არამედ.** თავისი სტრუქტურით ეს კავშირები რთულია (ძიძიგური 1969, Кобахидзе 1955).

კავშირი **არამედ** მაშინ იხმარება, თუ საპირისპირო სიტყვას ახლავს უკუთქმითი ნაწილაკი **არ, ნუ,** რომელიც ხშირად გაძლიერებულია **კი-ს** დართვით. მაგალითად:

- **სიმართლე კი არ გვითხრა, არამედ დაგვემალა.**

ზოგჯერ **კი არა და-ს** სინონიმური მნიშვნელობით იხმარება **კი არ(ა)-არამედ.** მაგალითად:

რა იყო მაინც, იმ ერთ ქართველის როგორ ძალიან აედევნეთ კი არა, არამედ აიღეთ და პირდაპირ შუაგულ ოცნებებსა და წარმოსახვაში ჩაუსახლდით; ისე ძალიან რას ერაოდით, რომ მთლად დაიპყართ — რომელი ერთი ჩამოგოთვალო — თვალი, გონება, გრძნობა და ყური.....(იქვე).

ზოგჯერ **არამედ-ის** ნაცვლად იხმარება **კი არა და,** მაგალითად:

გაედვიდა კი არა და, ძილშივე წამოხტა, შეშფოთებულნი დაფართქუნებდა თავს რაღაცა ავის მომასწავლებელი გრძნეული წერო. (გ.დ.).

კავშირი არც-არც გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას, რომელიც დამყარებულია მოსაუბრის ნება-სურვილზე. მაგალითად:

- აქა ვდგევარ და სხვაგაზრად არ ძალმიძს! გაიმეორა ზარანდიამ ხმადაბლა და დასძინა: - არც წამიკითხავს და არც მსმენია ესე მოკლე და ამასთან ერთად, ამომწურავი განსაზღვრება გარკვეული, საკმაოდ იშვითი ტიპის ადამიანთა ქმედების მიზეზისა. (იქვე).

ზოგჯერ მაგკუფებელ კავშირთან არც არც იხმარება გამაერთიანებელი კავშირი და. მაგალითად:

- ნაძვის ტოტებზე თოვლი დევს, არც მოხრილია და არც ირხევა. (იქვე).
აღარც ... აღარც კავშირის მეშვეობით გამოინატება ზმნით გამოხატული მოქმედების შეუსრულებლობა, მაგალითად:

- მთელი ის ღამე, აღარც ცეკვა ახსოვთ და აღარც თამაში, უგემურად ვახშობენ, დასიებული გულით წვებიან, ღამე არი რო, დაბზარული ნამუსივით აწვეთ შეჭირვებულ თავზედა, კრიჭა შეკრულებს, ცუდად სძინავთ, მალიმალ ინაცვლებენ გვერდს, ეს ტიალი და ოხერი ნეტავი აღარ გათენდებაო? (იქვე)

ვერც ვერც გამოხატავს ისეთ უარყოფას, რომელიც არაა დამოკიდებული მოსაუბრის სურვილზე. მაგალითად:

- ანნა, ნანეტა, როცა ცხრა წლისას შორეული დედა ჩამოგივიდათ, გეფერათ ერთხანს, მერე კი შეძრწუნებულმა აღმოაჩინა, კარგად ვეღაც ანგარიშობდით და ვერცა სწერდით, აღშფოთებულმა, ბეზიას ტუჩაბზუების მიუხედავად, ისეთ კოლეჯში გაგამწესად, საიდანაც იშვიათად თუ გამოგიშვებდნენ შინ, თავად კი - ისევ ეგვიპტეში წავიდა. (იქვე).

ნურც ნურც გამოხატავს თხოვნას, აკრძალვას ან ბრძანებას. მაგალითად:

არა, ჭაბუკო — სკირონი ვარ მე. — თვალში შეხედა, - ერთსა გთხოვ მხოლოდ ჩემზე ნურც ავის იტყვი და ნურც კარგს. კარგი? (იქვე).

მაკავშირებელი კავშირი და უარყოფითი ნაწილაკ არა-სთან ერთად გამოხატავს მკვეთრ დაპირისპირებას ან უარყოფას. მაგალითად:

- თმა კა არა და, რაღაცა შავად ხასხასა კორიანტელი გქონდათ, მაგრამ სხვა ჯილდოთ ამრეზილად უყურებდით, ჩუმად მაინც ყოფილიყავით. (იქვე).

კავშირები არამც თუ ... არ(ც), არამც თუ ... არამედ, არა თუ ... არამედ, თუ (არ) მაგრამ (შაინც) გამოხატავს დაპირისპირებას ფართო გაგებით და უარყოფის გარდა პირობითობასა და დათმობაზე მიუთითებს. მაგალითად:

- დღემდე მიკვირს, რომ არამცთუ ვერ გამოვიყენე, აზრადაც არ მომსვლია მესროლა. (ჭ.ა.)

უარყოფა გამოიხატება თუ კავშირითა და უარყოფითი ნაწილიკებით. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა ნაწილაკი თუ-ს წინ იხმარება თუ შემდეგ. იმ შემთხვევაში, როცა ნაწილაკი არა უსწრებს თუ კავშირს უარყოფითი შინაარსი გადმოიცემა, ხოლო თუ მის შემდეგ იხმარება (თუ-არა), მაშინ იგი სწრაფ მოქმედებას გამოხატავს და დადებით შინაარსს იძლევა. მაგალითად:

- მზე ჩავიდა თუ არა, გზა განაგრძეს (იქვე).

უარყოფას გამოხატავს კავშირი სანამ. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს უარყოფის მტკიცებითი ფორმით გამოხატვას. მაგალითად:


- სანამ ქუჩაში გამოვიდოდა, ერთი კვირა შინ ტრიალებდა. (გ.დ.)

როგორც ახლა ვახლა ცხადი, თუთაშხიამ მისთან შეხვედრა მოასწრო იქამდე, სანამ თვალთვალის დაწყება მოხერხდებოდა (ჭ.ა.).

განხილული მასალის საფუძველზე, ქართულ ენაში კავშირებით უარყოფის გამოხატვა სქემის სახით წარმოვადგინეთ (სქემა №5, გვ. 34.)

წინადადების სინტაქსური ეკვივალენტები

განხილული მასალის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ქართულ ენაში უარყოფა ძირითადად სრული წინადადებების მეშვეობით გამოიხატება, მაგრამ ცალკეულ უარყოფით წინადადებაში ადგილი აქვს ზოგიერთი წევრის გამოტოვებას და მის ნაცვლად შესაბამისი (წინა კონტექსტიდან გამომდინარე) უარყოფითი სიტყვების ხმარებას. ზოგჯერ უარყოფითი სიტყვა უარყოფითი წინადადების ფუნქციასაც ასრულებს, ე.ი. გვევლინება უარყოფითი წინადადების ეკვივალენტად. უარყოფითი სიტყვები, რომლებიც ქართულ ენაში უარყოფითი წინადადების ფუნქციას ასრულებს არა და გერა უარყოფითი ნაწილაკებია. ისინი “სიტყვა-წინადადებად” იწოდება (კვაჭაძე 1966, 297). ცალკე აღებულ “სიტყვა-წინადადებას” მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ სრული ან უსრული წინადადებების ეკვივალენტებად გვევლინება



და მის მიერ გადმოცემული შინაარსი კონტექსტით დგინდება. „კითხვა-წინადადება“ ძირითადად დიალოგურ მეტყველებაში იხმარება კითხვაზე პასუხად. მაგალითად:

გჭეროდა თუ არა, როდესაც გოლგოთაზე მიდიოდი, რომ ჭვარს გაცვაზდნენ ადამიანები?
არა! (ნ.დ.).

გამოდის, რომ აქაც სატანამ გძლია შენ!
 არა, რადგან ეს არ იყო ცდუნება, ეს იყო გამოცდა.
 და ხალხმა ვერ გაუძლო ამ გამოცდას?
ვერა! (იქვე).

„სიტყვა-წინადადებებით“ ხდება უარყოფითი წინადადებების შეცვლა. ისინი სინტაქსური თვალსაზრისით არასტრუქტურული წინადადებებია. ვერა ძირითადად ცვლის შეუძლებლობის გამომხატველ წინადადებას, მას შეიძლება ახლდეს ზმნა. მაგალითად:

ნამდვილად დაბრუნდები?

ვერა, ვერ შევძლებ.

„სიტყვა-წინადადება“ მთელ წინადადებას ცვლის, მაგრამ ზოგჯერ მას ახლავს სხვა სიტყვა (ან სიტყვები), რომლებიც პასუხს აზუსტებს და წინადადების შინაარსსაც უფრო ნათლად გადმოგვცემს. მაგალითად:

- **სადმე ხომ არ გეჩქარება?**

არა, არსად. (გ.დ.)

რა უნდა მიხაროდეს, -ნაღვლიანად ამოშვება ბებერმა, - არაფერი რომ არ მიწყალობე?

არა, შენთვის სიტყვა რომ გამოვიმეტე. (იქვე).

უარყოფის გამომხატველი „სიტყვა-წინადადება“ ძირითადად კითხვაზე პასუხად გვევლინება, მაგრამ ზოგჯერ მას მოსდევს კითხვა ე.წ. შემავსებელი კითხვა, მაგალითად:

- **ხატვა იცი? – ჰკითხა ოლექსანდრემ**

არა, რატომ მკითხეთ?

ისე. (იქვე).

უარყოფის გამომხატველი „სიტყვა-წინადადება“ თითქმის ყოველთვის კითხვის პასუხად გვევლინება. ზოგჯერ ის თანამოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრის უარყოფას გადმოსცემს.

სავსებით ვიზიარებთ ლ. კვაჭაძის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ „სიტყვა-წინადადებები“ დიალოგების გარდა იხმარება მონოლოგურ მეტყველებაში (კვაჭაძე 1966, 300). მათი საშუალებით გამოიხატება უარყოფითი პასუხი მთქმელის მიერვე დასმულ კითხვაზე ან ადამიანის მიერ გამოთქმული საკუთარი აზრის უარყოფა. ზოგჯერ უარყოფითი ნაწილაკები იხმარება უარყოფის გამომხატველი წინადადებების ეკვივალენტადაც.

ა.შანიძის განმარტებით უკუთქმითი მიგებითი ნაწილაკები არა და ვერა „იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას ეწევიან“ (შანიძე 1973, 610).

ქართულ ენაში არა და ვერა ნაწილაკების გარდა „სიტყვა-წინადადების“ ფუნქციით იშვიათად უარყოფის გამომხატველი სხვა სიტყვებიც გვევლინება. მაგალითად:


სამაგიეროდ რა უნდა იყოს უფრო დიდი ჯილდო, კარგ მუსიკოსობას რომ ოლემატებოდეს? **არაფერი. (იქვე).**

ვის უნდა ვუთხრა, მესტრო?

არავის, გეხუმრე. (იქვე).

არა და გერა უარყოფითი ნაწილაკების, როგორც წინადადების სინტაქსური ეკვივალენტების, ფუნქციები შემდეგი სქემით (სქემა №6) წარმოვადგინეთ:

სქემა №6



ბ) უარყოფის გამოხატვის პერიფერიული საშუალებები ქართულ ენაში

უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნები

ქართულ ენაში უარყოფის გამომხატველი ბირთვული საშუალებების გვერდით გვხვდება პერიფერიული საშუალებებიც. ამ საშუალებათა უმრავლესობა უარყოფას მტკიცებითი ფორმით გამოხატავს. ამ მხრივ აღსანიშნავია უარყოფითი სემანტიკის მქონე ასიმეტრიული ზმნები: უარის თქმა, უარყოფა, დაფიწყება, უგულვებელყოფა, წინააღმდეგობის გაწევა, ეჭვის ქონა, შეწყვეტა და სხვა. ამ ტიპის ზმნებით იმდენად მკვეთრი უარყოფითი შინაარსი გამოიხატება, რომ საჭირო არ არის მათ წინ უარყოფითი ნაწილაკების ხმარება. მათ მიერ გამოხატულ უარყოფით შინაარსში უფრო ნათლად გასარკვევად ამ სიტყვათა სინონიმებიც წარმოვადგინეთ:

უარის თქმა - არ დათანხმება

უარყოფა - არ მიღება, არ გაზიარება

წინააღმდეგობის გაწევა - არ დათანხმება, არ დამორჩილება

დაფიწყება - არ ხსომება

ეჭვის ქონა - დაურწმუნებლობა

დაკლება - არასაკმარისად ქონა

როგორც ვხედავთ, მათი სინონიმური ფორმები უარყოფითი ნაწილაკებით ან პრეფიქს-სუფიქსებით იწარმოება, ხოლო უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნებით დამხმარე საშუალებების გარეშე გადმოიცემა უარყოფითი შინაარსი. მაგალითად:

- ჩვენმა დრომ წოდებები უარჯულ, მაგრამ ჩემი მასწავლებლის გვარი „გრაფის“ გარეშე ირავისაგან გამიგონია. (ჟ.ა.).

კითხვა: გსურთ თუ არა აღძრათ საქმე დათა თუთაშხიას წინააღმდეგ მის მიერ მოყენებული ჭრილობის გამო?

პასუხი: ირავითარ შემთხვევაში და, ამასთან ერთად, ვაცხადებ, რომ დათა თუთაშხიას მიმართ ვინმეს მიერ რაიმე საქმის აღძვრის კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. (იქვე).

ბუდარა ბრუციანმა თვალში უკეთესად გამოიხედა. ბუდარისამ ტყეში მუშაობამ თავი დაანება, შინ დაჯდა, საქაოვი და სხვა ხელსაქმე დაიჭირა ხელში, ოჯახს მოვლა უნდაო. (იქვე).

უარყოფითი შინაარსის მქონე ე.წ. ასიმეტრიული ზმნები გამოიყენება:

1. უკუთქმითი ბრძანებითის საწარმოებლად:

- შეწყვიტეთ კამათი!

- მაგრამ ყოველივე ამას თავი დავანებოთ! (გ.ლ.)

2. სახელზმნებთან ერთად უარყოფითი შინაარსის გადმოსაცემად:

მუშაობას თავი დაანება - აღარ მუშაობს.

წერა, (სიმღერა, კითხვა) შეწყვიტა - აღარ წერს, (მღერის, კითხულობს).

უარყოფითი სემანტიკის მქონე ზმნების წინ უარყოფითი ნაწილაკის ხმარება აბათილებს უარყოფით შინაარსს:

უარი უთხრა - არ დაეთანხმა

არ უთხრა უარი - დაეთანხმა

- თავაზიანი ჩირიკი ძალზე შშრომელი იყო, უმეტესობის მუშაკი, სათხოვარზე უარს არ იტყოდა. (იქვე).

სუფიქსები და პრეფიქსები

ქართულ ენაში უარყოფითი შინაარსის სიტყვები ძირითადად აფიქსებით იწარმოება. ამ ფუნქციას ძირითადად უქონლობისა და წინა ვითარების სახელების მაწარმოებელი აფიქსები ასრულებს. უარყოფითი სიტყვების მაწარმოებელი აფიქსების შესახებ საეცებით მისაღებ მოსაზრებას გამოთქვამს ვ. თოფურია. მისი განმარტებით, პრეფიქსით წარმოებული უარყოფა, “კვამდებარე-შემამძენლის უარყოფით მიმართებას კი არ ამყარებს, არამედ ცვლის რომელიმე სიტყვის მხოლოდ ლექსიკურ მნიშვნელობას ამა თუ იმ მიმართულებით. ამიტომ სინტაქსურ კატეგორიებში ისინი განიხილებიან, როგორც დადებითი სიტყვა”. (თოფურია 1923-24, 78).

ქართულ ენაში უქონლობის გამომხატველი პრეფიქს-სუფიქსებია:

უ-ურ, უ-არ, უ-ო. მაგალითად:

უ-ურ - უ-წიგნ-ურ-ი, უ-გუნ-ურ-ი,

უ-არ - უ-შიშარ-ი, უ-ჩინ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი

უ-ო - უ-იარაღ-ო, უ-სინდის-ო, უ-დრუბლ-ო

უქონლობის გამომხატველი სახელები იმ საგნის, თვისების ან მოქმედების არ ქონას გამოხატავს, რომელიც ძირეული სიტყვითაა გამომხატული. (ჟორდანია 1889, 102, კიზირია 1957, 159).

ე-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან სიტყვებს უკანასკნელი ხმოვანი არ ეკვეცებათ. მაგალითად: უ-ძზე-ო, უ-რძე-ო, უ-ზნე-ო, ხოლო ი-ზე დაბოლოებულებს - ეკვეცებათ, მაგალითად: უ-ძალღ-ო, უ-ჯოხ-ო.

ო-ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ძირითადად უ-პრეფიქსს დაირთავენ. მაგალითად: ღვინო - უ-ღვინო. ო-სუფიქსის დართვისას კი ბოლო ხმოვანს არ მოიკვეცენ ერთმარცვლიანი სიტყვები. მაგალითად: - ხომ იცით, რას უშვებიან მამლებს, რომლებიც უდროოდ ყივიან? - ჰკითხა მალაფერიძემ. (ნ.დ.).

უ-ურ პრეფიქს-სუფიქსი (დისიმილაციით უ-ულ) აღნიშნავს უქონლობას და იხმარება მხოლოდ ზოგიერთ ფუძესთან. მაგალითად: უ-წყერ-ულ-ი, უ-წიგნ-ურ-ი.

როგორც ვიცით, ქართულ ენაში სამი სახის აფიქსი არსებობს: პრეფიქსი ანუ თავსართი, სუფიქსი ანუ ბოლოსართი, ინფიქსი ანუ შუასართი. ქართულში ინფიქსური წარმოების სახელები არ მოგვეპოვება. იშვიათად სახელების მხოლოდ პრეფიქსით წარმოება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა: ურიცხვი,

ასიმეტრიული, ატიპიური და არა-თი ნაწარმოები სახელები: არაფერი, არათითი, არალეგალური. მაგალითად:

მე წაკითხული მაქვს თქვენი ფსევდონიმებით ხელმოწერილი სტატიები ლეგალურ და არალეგალურ პრესაში. (ჭა.).

უქონლობის სახელები ქონების სახელთა ანტიონიმებია. ძირითადად უ-ურ აფიქსებით უქონლობის სახელთა წარმოებისას ქართულ ენაში არსებითისგან იწარმოება ზედსართავი სახელი. მაგალითად:

მარიამი უკან იჭდა და ტიროდა, მაგრამ ეს არ იყო უბედური და შერცხვენილი ქალის ტირილი. (ნ.დ.).

ამ მხრივ გამონაკლისია უფსკრული, რომელიც ფსკერიდანაა ნაწარმოები.

იშვიათ შემთხვევებში ზედსართავისგან იწარმოება ზედსართავი სახელი. (შანიძე 1973, 126). მაგალითად: კეთილი უ-კეთ-ურ-ი; წმინდა - უ-წმინდ-ურ-ი.

უ-ო პრეფიქს-სუფიქსი ჩვეულებრივი არსებითისაგან აწარმოებს უქონლობის სახელებს: უ-გულ-ო, უ-კბილ-ო, უ-ჭკუ-ო, მაგალითად:

- მოკლე ხანში გაითქვა სიხელი. საიდან არ მოდიოდნდნ მისთან სამკურნალოდ უიმედო ავადმყოფები! (ჭა.).

- სევდასულებს ტყიდან შეშის ზიდვით ზურგი ქონდა გადატყავებული, მაგრამ მათი არაყი უფულოდ გემოთი არ გაუსინჯავს. (იქვე).

ა ხმოვანზე დამთავრებული სახელებიც მოიკვეცენ ბოლო ხმოვანს ო სუფიქსის დართვისას, მაგალითად: (ზომა-უზომ-ო).

- უზომოდ მდლობას გიხდით ყურადღებისათვის, - გალაქტონმა მოწიწებით დახარა თავი ბაჩანას წინაშე და მკერდზე დაიდო ხელი. (ნ.დ.).

უ-არ პრეფიქს-სუფიქსების საშუალებით იწარმოება უარყოფითი შინაარსის გამომხატველი ზედსართავი სახელები, რომლებიც ძირითადად უქონლობის გაგებას შეიცავენ: უ-შიშ-არ-ი, უ-ჩინ-არ-ი. ამ ტიპის სიტყვები წინადადებაში განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. მაგალითად:

- ის ღამე დაუფიქსარ და წარუშლელ ღამედ დირჩა ბაჩანას ცხოვრებაში. (იქვე).

აღსანიშნავია, რომ შ-არ აფიქსებით ნაწარმოებ მიმღეობას უკუთქმითი ფორმა უ-ს დართვით ეწარმოება. მაგალითად:

დამდნარი - და-უ-მდნარი.

დამშრალი - და-უ-მშრალი.


ძირითადად უკუთქმითი ვნებითი გვარის მიმღეობა იწარმოება უ-ელ პრეფიქს-სუფიქსებით, მაგალითად: და-უ-შრობ-ელ-ი, და-უ-ღნობ-ელ-ი.

- სარდაფი დაილუქა. დაიწყო გაუთავებელი სასამართლოები იმის გამო, თუ ვის უნდა რგებოდა სეგედის „ბინა“. (ჭ.ა.).

წინავეითარების სახელები იწარმოება ნა-არ და ნა-ევ თავსართ-ბოლოსართებით. წინავეითარების სახელებია: ნა-ცოლ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი, ნა-ხმლ-ევ-ი და სხვა. ნა-არ – დისიმილაციით არის ნა-ალ – ნა-შეგირდ-ალ-ი.

ქართულ ენაში უარყოფითი შინაარსის სიტყვების მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსები შემდეგი სქემით წარმოვადგინეთ (სქემა №7):

სქემა №7



თანამედროვე ქართული ენისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ა, ან და ანტი პრეფიქსებით უარყოფითი შინაარსის სიტყვების წარმოება. ეს პრეფიქსები ძირითადად უცხოური წარმოშობის (ბერძნული, ლათინური) სიტყვებს დაერთვის. მაგალითად: ატიპიური, ანარქია, ანტიპატია.

კონტექსტური საშუალებები

უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შინაარსის მოცულობა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით არ ამოიწურება.

ქართულ ენაში უარყოფა, განხილული პერიფერიული საშუალებების გარდა, გამოიხატება სხვადასხვა კონტექსტური საშუალებებით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს უარყოფის ემფატიზაციის მიზნით სხვადასხვა საშუალების გამოყენება. როდესაც უარყოფის ემფატიზაციაზე საუბარი, ცალკე აღნიშნავს მოითხოვს ზმნიზელების - **სულაც**, **სრულებით(აც)**, **საეთოდ**, **სრულიად(აც)** – ხმარება უარყოფითი ნაწილაკების შემცველ წინადადებაში. მაგალითად:

– რეჩნო-მეჩნო ბახვამ **საერთოდ არ** იცოდა, თუ მშვიდად იყო, მშვიდად იყო, თუ გაბრაზდებოდა და, მტრისას – **ორ** ბაზარ ხალხს ისე გალახავდა, როგორც ირაფერი, **ოღონდ** ქალების გამოკლებით – ქალებს პატივსა სცემდა. (გ.დ.).

ზმნიზელები – **სრულიად(აც)** არა, **სულაც** არა ზმნის წინ იხმარება და წინადადებას უარყოფით შინაარს აძლევს. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ამ სიტყვების საშუალებით ადგილი აქვს მკვეთრი უარყოფის გამოხატვას.

უარყოფის გამომხატველია აგრეთვე ზმნიზელები: **თითქოს** და **ძლივს**. ძირითადად მათ მიერ გამოხატული უკუთქმითი შინაარსის დადგენა კონტექსტის საშუალებით ხდება. მათი საშუალებით ისეთი მკვეთრი უარყოფა არ გამოხატება, როგორც უარყოფითი სიტყვებით. ასეთ სიტყვებს შეიძლება ნახვერად უარყოფითი ეუწოდოთ.

– ჰელიოსის ჟამს, დღისით, **ოღონდ** ჩრდილში, მშვენიერი კარგი ლაპარაკი შეეძლო, **თითქოს** ლაღად და ალაღმართლად ჰიჰიკებდა, მაგრამ ცბიერი, ბნელი გონებით სულ დაბლა-დაბლა დალოდავდა და, წელჩამძიმებული, მერცხლისა და გველის ნაჭვარსა ჰგავდა – (იქვე). ზოგ შემთხვევაში უარყოფა ძლიერდება **კიდევ** ნაწილაკით.

– ხალხში ეპიდემიისავით გავრცელდა როსინის დიდებული სუნთქვა, **იტალიელებმა** შვევით ამოისუნთქეს. **თითქოს** დაავიწყდათ **კიდევ** ყველა ის უბედურება, იმ ხანებში რომ გამოიარეს. (იქვე).

უნდა აღინიშნოს, რომ ზმნიზედა **თითქოს** წინადადებას უარყოფით ელფერს აძლევს, როდესაც მას უარყოფითი ნაწილაკი არ ახლავს. უარყოფით ნაწილაკთან ერთად ხმარებისას წინადადებას წართქმითი შინაარსი ეძლევა, მაგალითად:

- ისინი კიდევ უფრო თავისუფლებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ, გაწამებულნი და იმედგაცრუებულნი, რეაქციის ქვეშ მოჰყვნენ, თითქოს იმედიც გადაიწყვიტეს – ზანტად, მძიმედგადიოდა უხალისო დღეები, საბრალო იტალიელებმა არ იცოდნენ, რა ელონათ თითქოს არსად არ იყო საშველი, – (გ.დ.).

ნაწილაკი ლამის სინონიმია ზმნიზედისა თითქმის. ა. შანიძის განმარტებით (შანიძე 1973, 615), ეს ნაწილაკი წარმოშობით ზმნაა. სანამ მას პირის გაგება ჰქონდა ნიშნავდა: აპირებს, ცდილობს. მაგრამ შეძღვიო პირის გაგება დაეკარგა და მნიშვნელობით ზმნიზედას თითქმის დაუკავშირდა. ეს ნაწილაკიც ნახევრად უარყოფით შინაარსს გამოხატავს. მაგალითად:

- ნამქერმა ისევ გამუშტა ღვინჯუა ისეთი სიმწარით, ლამის თავპირი ჩამოაღალა. ხან თითქოს ჰყანტობში იფლობაო, ხან კლდოვან ღირღატოდან ფეხს ველარ ამოიღებდა, თითქოს მუხლსა და ფეხში ათასი ილქაჯი ჩასჭიდებიაო. (გ.ლ.).

მტკიცებითი ფორმით უარყოფით შინაარსს გამოხატავს ნაწილაკი ვითომ(და). ამ სიტყვის შემცველ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება თითქოს შესრულდა, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ასე არაა. მაგალითად:

- მგონია მოლოდინით გულგაწყალებულ კაცის იერის მიღებას ცდილობდა ვითომდა ეს რა მოსაწყენი ვალის მოხდამ მომიწიაო. (ჰა.).
- ის ანდაზა ვითომ სულელ კაცებზეა ნათქვამი, მარა ჰკვიან კაცებს უფრო ემართებათ ისე. ზოგჯერ მოეწყობა საქმე არ ჩაერიო – არ შეიძლება. (იქვე).

მტკიცებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გამოხატვის გარდა, ადგილი აქვს უარყოფითი ფორმით მტკიცების გამოხატვას. ასეთ შემთხვევებს ძირითადად განეკუთვნება უარყოფითი პრეფიქსით ნაწარმოები სიტყვების შემცველ წინადადებებში ზმნის უარყოფით ფორმაში ხმარება:

უშკუო არ არის = ჰკვიანია.

უარყოფითი ფორმით მტკიცებითი მსჯელობა გამოიხატება აგრეთვე უარყოფითი ნაწილაკის შემცველი კითხვითი წინადადებებითაც:

სასეირნოდ ზომ არ წავიდეთ?

უარყოფის ემფატიზაცია ქართულ ენაში ხდება გამამძიერებელი ნაწილაკებით ც და კიდევ. საერთოდ, ც ნაწილაკის ერთადერთი

ფუნქციას გამოკვეთოს იმ სიტყვის მნიშვნელობა, რომელსაც ახლავს. მაგრამ როცა მსჯელობა უკუთქმითია, ც ემატება არა სიტყვას, არამედ უკუთქმით ნაწილაკს და იწარმოება ფორმები (კავშირები): არც არც; აღარც ... აღარც; ვერც ... ვერც; ნურც ... ნურც.

ქართულ ენაში უარყოფის ემფატიზაციის მიზნით უარყოფითი სიტყვის წინ გამაძლიერებლად იხმარება უარყოფითი ნაწილაკები ვერ და არა, მაგალითად: ვერა, ვერ შემაშინებ.

ქართულ ენაში რთულ თანწყობილ წინადადებაში ც დართული უკუთქმითი ნაწილაკი წინ უძღვის თითოეულ წინადადებას. მაგალითად: არც თოვდა და არც ქარი ქროდა.

ზოგჯერ ც ნაწილაკთან ერთად იხმარება კი ნაწილაკი: ცოტაც კი არა, არც კი, ოღნავადაც კი არა.

ნახევრადუარყოფით სიტყვათაგან ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ნაწილაკი კინაღამ. როგორც უკვე აღვნიშნეთ (გვ. 25), ეს ნაწილაკი თავისი შინაარსით იგივეა, რაც ცოტა კიდევ, ცოტაც და.... ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოქმედება თითქმის მოხდა, მაგრამ ბოლომდე არაა მიყვანილი.

ზოგჯერ კინაღამ ნაწილაკის შემდეგ იხმარება უარყოფითი ნაწილაკი არ. ასეთ შემთხვევაში წინადადების შინაარსი იგივე რჩება. ამ მოვლენას ა. შანიძე რუსული ენის გავლენით ხსნის (შანიძე 1973, 614). მაგალითად:

– ერთხელ კიდევ შემოატარა გონების თვალი სუფრას, შეიხსენა თავისი ნათქვამი სადღეგრძელოები და თავიც მოიწონა რა ვუყოთ, ქარბუქმა ჯვარზედ აცვა, კინაღამ სული არ ამოჰგლიჯა ბოლოკივით, მაინც სახლ-კარს ხომ მიაღწია! (გ.ლ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში უარყოფის გაძლიერების გარდა, ადგილი აქვს უარყოფის შესუსტებას, რაც გამოიხატება ზმნიზებებით: ჯერ, ჯერაც.

ასეთ შემთხვევებში ამა თუ იმ მოვლენის თუ მოქმედების სრული უარყოფა კი არ ხდება, არამედ შესრულების შესაძლებლობა გადმოიკემა. მაგალითად: ის ჯერ არ მოსულა იგულისხმება, რომ საერთოდ მოვა.

უარყოფის ხარისხის შესამცირებლად (შესასუსტებლად) გამოიყენება აგრეთვე კავშირები არც თუ, არც მსე, არც მთლად. მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვეყოთ უარყოფის

გამომხატველი მტკიცე ფორმის წინადადებების შემდეგი ტიპები: რეპლიკა-განმეორება, რიტორიკული კითხვა, ძახილის წინადადებები.

რეპლიკა-განმეორების საშუალებით უარყოფითი შინაარსი გამოიხატება მტკიცებითი ფორმის ძახილის წინადადებებით. მაგალითად:

- ვატყობ, რომ ძალიან ეშინია.
- ის და შიში!

როგორც ვხედავთ, უარყოფითი მნიშვნელობა განმეორების რეპლიკაში იმპლიციტურია.

უარყოფითი შინაარსის განმეორების გამოხატვის ძირითად საშუალებად უნდა მივიჩნიოთ ემოციური ინტონაცია, რაზედაც ტექსტში მიუთითებს სასვენი ნიშნები, მაკროკონტექსტი – მეტყველების ადრესატის რეპლიკა, ავტორის თხრობა და ა.შ.

რაც შეეხება რიტორიკულ კითხვებს, ფორმალურად დადებით სტრუქტურებში მათ ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ და პირიქით. მაგალითად:

ვის არ სმენია მისი სახელი? = ყველას სმენია, განა ის მოვა? = არ მოვა.

უარყოფითი აზრი შეიძლება გადმოიცეს დიალოგის სახით ისეთი ტიპის ერთსიტყვიანი ძახილის წინადადებით, როგორცაა: სისულელეა, უაზრობაა და ა.შ. მაგალითად:

- შენ მას უყვარხარ.
- სისულელეა! = არ ვუყვარვარ.

უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ შეგულიანებით წინადადებებსაც. მაგალითად:

წყუთიმც ვიყო, თუ მას შევხვდე. = არ შევხვდები.

ემმაკმა დამლახვროს, თუ ამის შესახებ რაიმე ვიცოდე. = არაფერი არ ვიცი.

როგორც ვხედავთ, სასაუბრო ენაში უარყოფითი აზრი შეიძლება წართქმითი ფორმის წინადადებით გამოიხატოს. ქართულ ენაში გვხვდება უარყოფის გამოხატვის ისეთი შემთხვევები, როდესაც ემოციურობა მიღწეულია ინტონაციითა და ინვერსიით. მაგალითად:

მუდამ ჭკუას მასწავლის. ბევრი რამ იცის თვითონ? = არაფერი არ იცის.


ამრიგად, კომუნიკაციურ დონეზე უარყოფითი კონსტრუქციების მეტყველებაში ფუნქციონირებისას გამოიყოფა ექსპრესიული უარყოფის შემდეგი ფორმები:


- ექსპრესიული მტკიცების გამოხატვა უარყოფითი ფორმით, ე.ი. ფორმალურად უარყოფითი კონსტრუქციები;
- უარყოფის ემფატიზაციის საშუალებები, ე.წ. „გამაძლიერებლები“;
- ექსპრესიული უარყოფის გამოხატვა დადებითი ფორმით, ე.ი. ფორმალურად წართქმითი წინადადებები.

ამრიგად, ქართულ ენაში უარყოფით ნაწილაკთა მრავალფეროვნება სხვადასხვა უარყოფითი შინაარსის გამარტივებულად გამოხატვის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია სხვადასხვა კონტექსტური საშუალებების როლი უარყოფის გამოხატვაში. ქართული ენისათვის დამახასიათებელია ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციები, რაც ამ ენის პოლინეგატიურობაზე მეტყველებს.


თვალსაჩინოებისათვის სქემით №8 წარმოვადგინეთ ქართულ ენაში ველი I-ის სქემა, ხოლო სქემით №9 (გვ. 46) კი ველი I შევსებული კონკრეტული ერთეულებით.

სქემა №8





ქართული ენის (როგორც პოლინგვატიური ენის) ველი 2-ის სქემა სხვადასხვა სახით შეიძლება წარმოვადგინოთ, იმის მიხედვით, თუ წინადადება უარყოფის გამომხატველ რამდენ ერთეულს შეიცავს (იხ. სქემა №10).



* უარყოფის გამომხატველი კონტექსტური საშუალებების კონკრეტული ერთეულები მხოლოდ სიმრავლის და მოცულობის გამო ვერც ერთი ენის სქემაში ვერ შევიტანეთ.

§2. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში

ა) უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და უარყოფის გამოხატვის ბირთვულ საშუალებათა სისტემა ინგლისურ ენაში

როგორც ვიცით, წინადადება გამოხატავს დადებით ან უარყოფით აზრს. ინგლისურ ენაში დადებითი აზრის გადმოსაცემად გამოიყენება წართქმითი ფორმები, ხოლო უარყოფითი აზრის გამოხატვისას კი უარყოფითი ფორმების გარდა იხმარება განუსაზღვრელობითი ფორმები.

მტკიცებითი ფორმება some, somebody, something, sometimes და სხვა.

განუსაზღვრელობითი ფორმებია - any, anybody, anything, ever და სხვა.

უარყოფითი ფორმებია - no, nobody, nothing, never და სხვა.

განუსაზღვრელობითი ფორმების (any-ის ტიპის სიტყვები) ხმარება უარყოფის გამოხატვასთან კავშირში წინადადებებში მოითხოვს ბირთვული უარყოფითი სიტყვის ხმარებას. უარყოფითი სიტყვის any-ის ტიპის სიტყვასთან ერთად გამოყენება ქმნის გარკვეულ სინტაქსურ ერთეულს, რომელიც უარყოფის გამოხატვის რთული სტრუქტურაა. თანამედროვე ინგლისურში უარყოფის გამოხატვის რთულ სტრუქტურას (მაგალითი 2) უპირისპირდება მარტივი სტრუქტურა (მაგალითი 3), რომელიც უარყოფითი სიტყვების ხმარებას ითვალისწინებს (Горкина, 1970, 11).

მაგალითად: 1) I have some books.

2) I don't have any books.

3) I have no books.

ინგლისურ ენაში რ.ქუირკი უარყოფის მოქმედების სპექტრის მიხედვით გამოყოფს უარყოფის სამ ტიპს (Quirk, 1985, 775):

1. **წინადადების სრული უარყოფა** - უარყოფა ეხება მთელ წინადადებას.
He doesn't want to see us.

2. **ნაწილობრივი უარყოფა** - უარყოფა ეხება წინადადების ერთ წევრს.
I visit them not very often.


3. **პრედიკატული უარყოფა** - უარყოფა არ ეხება მთელ წინადადებას, უარყოფილია დამხმარე ზმნით გამოხატული პრედიკატი, ხოლო წინადადების თავში მყოფი შემასმენელი მტკიცებით ფორმას ინარჩუნებს და წინადადების უარყოფითი ნაწილისაგან ემფატიკური მახვილით და პაუზით გამოიყოფა.

They may not go swimming (They are allowed not to go swimming).

მათ შეუძლიათ, არ წავიდნენ საცურაოდ.

ინგლისურ ენაში უარყოფის მოქმედების სპექტრის მიხედვით უარყოფის ტიპები შემდეგი სქემით წარმოვადგინეთ (სქემა №11):

სქემა №11



როგორც აღვნიშნეთ, (გვ. 16), ორმაგი უარყოფა ორ სხვადასხვა მოვლენას მიესადაგება. პირველი სახის ორმაგი უარყოფის მხრივ ინგლისური მონონეგატიური ტენდენციისა, ასეთ შემთხვევაში ინგლისურ ენაში უარყოფით წინადადებაში განუსაზღვრელობითი სიტყვების ხმარება განაპირობებს ერთმაგი უარყოფითი კონსტრუქციების ფორმირებას. ორმაგი და მრავალჯერადი უარყოფითი კონსტრუქციები ინგლისური ენისათვის სტრუქტურულად მიუღებელია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მაინც იხმარება (ძირითადად არასალიტერატურო ენაში). მაგალითად:

He hasn't ever not understood the explanation.

მეორე სახის ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციები კი ინგლისურში ნორმითაა დაშვებული. მაგალითად:

She is not unhappy = She is happy.

ნებისმიერი გრამატიკული კატეგორიის განხილვისას მეტად ეფექტურია ამ კატეგორიის გამომხატველი ფორმების მოქმედების სფეროების (ველის) დადგენა წინადადებაში.

ინგლისურ ენაში უარყოფის გამოხატვის ველში ვხვდებით უარყოფის გამძლიერებელ სიტყვებს actually, definitely, really, for sure, for certain (Quirk 1985, 788). თუმცა ზოგჯერ actually, definitely, really შეიძლება

იყოს უარყოფის ველი 2-ის გარეთაც ეს იმ შემთხვევაში, როცა საუბარია ორ სხვადასხვა სახის შესაძლებლობაზე.

I really don't know him.

I don't really know him.

რ.ქეირკის თეორიის მიხედვით უარყოფის ველში შედის მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც უარყოფით სიტყვას არ უსწრებს წინ. მაგალითად:

Some people never send me any letters.

ამ შემთხვევაში any უარყოფის კონტექსტურ ველში ხდება, რადგანაც უარყოფითი სიტყვა never-ის შემდეგ იხმარება, ხოლო some, რომელიც any-ის მსგავსად განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია, მოქცეულია უარყოფის ველის საზღვრებს გარეთ.

კბეიკერის განმარტებით, ინგლისურ ენაში უარყოფის საზღვრების გავრცელება წინადადებაში ექვემდებარება მარცხნიდან მარჯვნივ მოქმედების წესს (Left to right rule) (Baker 1989, 411).

უარყოფის ველი 1-ის განხილვისას ცალ-ცაკლე უნდა გავარჩიოთ უარყოფის გამოხატვის ბირთვული და პერიფერიული საშუალებები. ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავერკვეთ უარყოფის ველის სტრუქტურულ ცენტრში, რომელიც უარყოფის ბირთვს წარმოადგენს. მეტყველების პროცესში უარყოფის ბირთვის სხვა წევრებისაგან გამოყოფა ბირთვული მახვილით ხდება. უარყოფის ბირთვი იმაზე მიუთითებს, რომ უარყოფის კონტრასტული მნიშვნელობა სწორედ მასშია კონცენტრირებული და წინადადების დანარჩენი ნაწილის მნიშვნელობა შეიძლება წართქმითად იქნეს გაგებული.

უარყოფის კატეგორიის განხილვისას ინგლისურ ენაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ უარყოფის გამოხატვის საშუალებებზე, რომელთა ურთიერთმიმართება ენაში ქმნის უარყოფის ენობრივ ველს. ველი 1-ის სტრუქტურების პრინციპის გათვალისწინებით უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის საშუალებები იყოფა ბირთვულად და პერიფერიულად.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვადგინოთ ინგლისურ ენაში უარყოფის გამოხატვის საშუალებები, დეტალურად განვიხილავთ ამ კატეგორიის გამომხატველ თითოეულ ელემენტს.

ნაწილაკები: not, no

ინგლისურ ენაში უარყოფის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა უარყოფითი ნაწილაკი **not**. მისი როლი უარყოფის გამოხატვაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას უარყოფის ბირთვიც კი შეიძლება ეწოდოს. ნაწილაკი **not** წართქმით წინადადებას უკუთქმით შინაარსს აძლევს (Makarova 1968, 98, Leech, Svartvik 1983, Thomson, Martinet 1964). ინგლისურ ენაში უარყოფის გამომხატველი მრავალი საშუალებიდან დომინირებს ნაწილაკი **not**, რომელიც მხოლოდ უარყოფის გამოხატვის ფუნქციით გვევლინება ენაში. მაგალითად:

They were so young that they did not know what an advantage it is to be in society at all (OW).

It is red hill now, not high with blackberry bushes along the fence rows (RPW).

განხილული ლინგვისტური მასალის საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა, შინაარსის მიხედვით გამოგვეყო უარყოფის სამი ტიპი: თხრობითი, იმპოსიბილიტატური და აკრძალვითი. ინგლისურ ენაში ნაწილაკი **not** როგორც უარყოფის გამოხატვის ძირითადი საშუალება, სამივე ტიპის უარყოფის გამოსახატავად გამოიყენება. თხრობითი უარყოფის შემთხვევაში **not** ნაწილაკი ყოველთვის დგას დამხმარე ზმნის შემდეგ. მაგალითად:

“He did not hate the winter now (OW).

“It is not comfortable here” - he remarked (ibid).

თხრობითი უარყოფის მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით, **not** ნაწილაკს თან ახლავს განუსაზღვრელობითი სიტყვათშეთანხმებანი: **any longer, any more, not any longer, not any more.**

She won't sing any longer.

They won't come any more.

იმპოსიბილიტატური უარყოფის გამოსახატავად ინგლისურ ენაში ნაწილაკი **not** დაისმის მოდალური ზმნების **can (could)** ან **to be able to**-ს შემდეგ ან მოქმედების შესრულების გამომხატველი ზმნის წინ. იგივე ფუნქციას ასრულებს **not** ნაწილაკის ხმარება მოდალური კონსტრუქციის წინ. მაგალითად:

He couldn't figure out what was wrong (RPW).

I cannot do that - and he began to weep (OW).

He didn't recognize her (ibid).

She is not able to do the work.

მოდალური ზმნების შემცველ წინადადებებში ნაწილაკი **not** უშუალოდ მოდალური ზმნის შემდეგ დაისმის, ხოლო **ought to-**ს შემთხვევაში უარყოფითი სიტყვა იხმარება **ought to-**ს შემდეგ.

მოდალურ ზმნას **can** უშუალოდ ერწყმის ნაწილაკი **not** (შემოკლებული ფორმა **can't**). სხვა მოდალური ზმნებიც შემოკლებულ უარყოფით ფორმებს აწარმოებს: **mustn't, shan't, won't** და ა.შ.

მოდლობით უარყოფის გამოხატვის შემთხვევაში გვხვდება როგორც დამხმარე, ისე სრულმნიშვნელოვანი ზმნის უარყოფელი ფორმები. ამის მიხედვით ინგლისურ ენაში მოდალური ზმნების მიერ გამოხატული უარყოფა შემდგენიარი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ (სქემა №12).

აღსანიშნავია, რომ უარყოფის გამოხატვის მხრივ იმავე ფუნქციას ასრულებს ჩამოთვლილ ზმნათა წარსულის ფორმები: **mightn't, couldn't, wouldn't, shouldn't**.

აკრძალვითი უარყოფის გამოხატვის საშუალება ინგლისურ ენაში ბრძანებითი კილოა უარყოფითი ნაწილაკით **not**.


Don't talk like that - she said sharply (RPW).

Don't touch me - she cried (JG).

როგორც განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, **not** ავლენს ნაწილაკის თვისებებს. იგი იმ სიტყვის მნიშვნელობას გამოკვეთს, რომელსაც ის ახლავს. მაგალითად:

Don't be angry with me.

სქემა №12



აღსანიშნავია, რომ **not** ნაწილაკის შემოკლებული ფორმაა **n't**. **not** ნაწილაკისაგან განსხვავებით **n't** ელემენტს არ გააჩნია შეპირისპირებითი ხასიათი. მაგალითად:

He has a son, not a daughter.

You don't know her name.

not ნაწილაკისაგან განსხვავებით, რომელიც მეტყველების სხვადასხვა ნაწილს შეიძლება შეუთანხმდეს, **n't** ელემენტი მოიცავს შეთანხმებულობის ძალზე ვიწრო სფეროს. სახელდობრ ის უკავშირდება დამხმარე და მოდალურ ზმნათა 24 ფორმას, რომელთაც ა.ჰორნბი დეფექტურიპირიანი უწოდა (Hornby, 1958, 7). ეს ფორმებია: am, is, are, was, were, has, have, had, do, does, did, shall, should, will, would, can, could, may, might, must, dare, used, ought, need. **n't** შემოკლებულ ფორმას აფიქსის სახე აქვს მიღებული. ამ შემთხვევაში მას დაკარგული აქვს მნიშვნელობა და შერწყმულია სხვა სიტყვასთან. მაგალითად:

"I didn't get any calls from you" (IA).

not ნაწილაკი გამოხატავს როგორც კერძო, ისე ზოგად ფრაზულ უარყოფას, მაგალითად:

But Lucky was not quite ready to do that. (ibid) (ზოგადი ზმნური ფრაზული უარყოფა).

"I'll invite some of my friends - not all of them". (კერძო უარყოფა).

უარყოფითი ნაწილაკით **not** იწარმოება ინფინიტივის უარყოფითი ფორმები: Try not to be late.

ინგლისურ ენაში უარყოფითი ნაწილაკი **not**-ის ხმარების ერთ საინტერესო მომენტზე ამახვილებს ყურადღებას რ.ელიოტი (Elliot 1997, 220). ის აღნიშნავს, რომ ხშირად **not** ნაწილაკიან უარყოფით წინადადებაში ქვემდებარის ზმნასთან რიცხვში შეთანხმებისას უშეებენ შეცდომებს, მაგალითად:

I, not you are late. (ქვემდებარე მხოლოდით რიცხვშია, ზმნა მრავლობით რიცხვში). სწორია I, not you, am late. (ქვემდებარე მხოლოდით რიცხვშია, ზმნაც მხოლოდითშია).

უარყოფითი ნაწილაკი **not** იხმარება **but** კავშირთან ერთად, ერთი მხრივ, უარყოფითი და მეორე მხრივ, მტკიცებითი შინაარსის გამოსახატავად. მაგალითად:

They worked in silence, not with poisoned meat but with steel traps... (AH).

უარყოფითი ნაწილაკით **not** და ზმნიზებით **as...as** გამოიხატება შედარების უარყოფითი ფორმები. She is not as clever, as her husband.

ნაწილაკი **not** და ზმნიზება **even** ერთად იხმარება უარყოფით წინადადებებში და მოქმედების ან მოვლენის კატეგორიულ უარყოფას ახდენს:

He won't even come in time.

She cannot even stay with us.

ე.აიზენშტადტი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ისტორიულად ნაცვალსახელისაგან წარმოებული უარყოფითი ნაწილაკი **not** თანამედროვე ინგლისურშიც ნაწილობრივ ინარჩუნებს ძველ ფუნქციას და ცვლის სიტყვას, სიტყვათშეხამებას ან წინადადებას, რომლის მნიშვნელობა წინა კონტექსტიდანაა ნათელი (Айзенштадт 1956, 85). მაგალითად:

“Do I look as if I liked it?”

“I suppose not”.

ნაცვლად: I suppose you do not look as if you liked it.

not ნაწილაკის გარდა ინგლისურ ენაში უარყოფის ფუნქციით გვევლინება უარყოფითი ნაწილაკი **no**. ზოგჯერ ისინი აბსოლუტური სინონიმებია. ცალკეულ შემთხვევებში **not** ნაწილაკის მსგავსად **no**-ც იხმარება სიტყვათშეხამებების და წინადადებების ნაცვლად. მაგალითად:

“Will she come and visit us?”

“I suppose no”.

ნაცვლად: I suppose she will not come and visit us.

ამასთან დაკავშირებით ო.დესპერსენი აღნიშნავს, რომ სითყვათშენაცვლების ფუნქცია **not** ნაწილაკისათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის გამოვლენაა, **no** ნაწილაკისათვის კი პირიქით, მინიმალური დამოუკიდებელი მნიშვნელობაა. ამ თვალსაზრისს ო.დესპერსენი ასაბუთებს იმით, რომ **no** ნაწილაკი ზოგჯერ დამოუკიდებლად გვევლინება როგორც წინადადების სინტაქსური ეკვივალენტი (Jespersen 1922, 431). მაგალითად:

“Are you afraid?”

“No”.

ნაწილაკით **no** გამოიხატება მომავალ დროში რაიმე მოქმედების განგრძობადობის ან განმეორებადობის უარყოფა. ძირითადად ეს ხორციელდება კონსტრუქციით **no more, no longer**. ასეთ შემთხვევებში

ზმნა ყოველთვის მტკიცებით ფორმაში იხმარება. მაგალითად:
She will speak no longer.

იმ შემთხვევაში კი, თუ ზმნა უარყოფით ფორმაშია, **no** ნაწილაკის ნაცვლად იხმარება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **any**. მაგალითად:
She will not speak any longer.

not ნაწილაკისაგან განსხვავებით, რომელიც უმეტესად დამხმარე ზმნის შემდეგ დგას და წინადადებას არასოდეს არ იწყებს, **no** ნაწილაკი წინადადების თავში გვხვდება. მაგალითად:
She uttered not a word.

No word she uttered.

უარყოფითი ფორმის ძახილის წინადადებებში **not** ნაწილაკის (უფრო ხშირად მისი შემოკლებული ფორმა **n't**) ხმარების მიუხედავად, წინადადება ინარჩუნებს წართქმით შინაარსს. მაგალითად:

Hasn't he grown! (She has really grown).

Isn't she beautiful! (She is beautiful).

ნაწილაკი **no** ძირითადად გამოხატავს როგორც კერძო, ასევე ზოგად ფრაზულ უარყოფას. ის ნაკლებად გვხვდება კერძო ფრაზული უარყოფის გამომხატველ სიტყვათშეხამებებში, მაგალითად:

in no time - ძალიან სწრაფად, **of no account** - უმნიშვნელო, **of no use** - გამოუყენებელი.

ნაწილაკი **no** ზოგადი ფრაზული უარყოფის გამომხატვისას დგას წინადადების პრედიკატული წევრის, დამატების ან ქვემდებარის წინ. მაგალითად:

But I made him no answer . (IA).

The man who occupied the room had no name. (AH).

უარყოფით ნაწილაკს **no** გააჩნია ორმაგი ბუნება. ზოგიერთ შემთხვევაში მას უსუსტდება ლექსიკური მნიშვნელობა და იხმარება უარყოფით ნაწილაკ **not**-ის მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში **no** უმეტესწილად იხმარება კონსტრუქციებთან **there is/are, there was/were** და ზმნასთან **to have**. მაგალითად:

“She has no money, and far too many relations”. (OW).

“There was no way to stop it”. (AH).

საინტერესოა **no** ნაწილაკის მნიშვნელობა ხარისხის, პროფესიის ან კვალიფიკაციის გამომხატველი სიტყვების წინ ხმარებისას. მაგალითად:
Ann is no teacher.

ეს ნიშნავს, რომ ანა სხვა პროფესიის წარმომადგენელი კი არ არის, არამედ ის ცუდი მასწავლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილაკი **no** ყოველთვის არ არის უარყოფითი შინაარსის მქონე. ის დადებით მნიშვნელობას ანიჭებს წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა, რომლის წინაც ის დგას, რაიმე უარყოფითი თვისების გამომხატველია. მაგალითად: Tom is no fool. ეს იმავე შინაარსს გადმოგვცემს, რასაც Tom is clever.

აღსანიშნავია, რომ ნაწილაკი **no** იხმარება უარყოფითი პასუხის გამოსახატავად. მაშინ იგი მთელი წინადადების ტოლფასია. მაგალითად: “Are you ready?”

“No”.

ზოგიერთ შემთხვევაში ნაწილაკი **no** კითხვასაც გამოყოფს, მაგალითად:

“I have no wish to see her”.

“No? – No”.

იმეათ შემთხვევაში **no** იხმარება ალტერნატიულ კითხვებში.

“Is she honest or no?”

ნაწილაკი **no** იხმარება შედარებითი ხარისხების მაწარმოებელ სიტყვებთან და გამონათქვამს უარყოფით ხასიათს ანიჭებს, მაგალითად:

“Is she really 40?”

“She looks no older than 30”.

საინტერესოა **no** ნაწილაკის გამოყენება ზედსართავ სახელებთან good, different და არსებით სახელთან use:

It’s no use playing all day long.

I’m no good at chess.

I haven’t seen her for ages, but she is no different.

ნაცვალსახელი **no** ზმნის ing-იან ფორმასთან ერთად გამოხატავს აკრძალვას:

No smoking!

No swimming!

ამგვარად, ინგლისურ ენაში ძირითადი უარყოფითი ნაწილაკია **not**. როგორც ენობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, **not** ნაწილაკის გარდა უარყოფა გამოიხატება **no** ნაწილაკით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში **not** ნაწილაკს ცვლის.

ნაცვალსახელები: nobody, nothing, none, neither

ინგლისურ ენაში უარყოფის კატეგორიის გამომხატველ ბირთველ საშუალებებად გვევლინება აგრეთვე უარყოფითი ნაცვალსახელები: **nobody, nothing, none, neither**.

თანამედროვე ინგლისურ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელი **nobody** სულიერ პირთა არყოფნაზე მიუთითებს. მაგალითად:

Nobody will think anything if you want to get out of here (AH).

nobody-ის მსგავსად ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება უარყოფითი ნაცვალსახელი **none (no one)**, მაგრამ მათ შორის არის განსხვავება.

nobody, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სულიერ სახელთა არყოფნაზე მიუთითებს, **none** კი როგორც სულიერი, ასევე უსულო საგანთა აღმნიშვნელია:

None of my friends can sing.

“Do you like these poems?”

“No, none of them”.

ქვემდებარის როლში **nobody** ყოველთვის ეთანხმება ზმნის პირიან ფორმას მხოლობითში, **none** კი მხოლობითშიც და მრავლობითშიც:

Nobody thinks she is right.

None, except her friends know her address.

None has imagined her crime.

უარყოფითი ნაცვალსახელი **nobody**-სგან განსხვავებით, რომელიც სულიერ პირთა არყოფნაზე მიუთითებს, ნაცვალსახელი **nothing** უსულო საგანთა და მოვლენათა აღმნიშვნელია.

There’s nothing wrong with me. (IA).

“Nothing interests me”, Stuart Said. (AH).

ო.ეესპერსენმა **nothing**-ით გამოხატულ განსხვავებულ შემთხვევებზე გაამახვილა ყურადღება. ამ ნაცვალსახელს, ო.ეესპერსენის აზრით, სხვა ფუნქციაც გააჩნია. კერძოდ ის განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც **nothing** როგორც ნაცვალსახელი კარგავს მნიშვნელობას და ფუნქციითა და მნიშვნელობით ნაწილაკს უახლოვდება (Espersen 1917, 93, 1922, 418). განვიხილოთ ეს შემთხვევები:

1. ო. ეესპერსენის აზრით, ზმნის შემდეგ მდგომი ნაცვალსახელი **nothing** ზოგჯერ **not** ნაწილაკის ფუნქციით გვევლინება. დასაფიქრებელია გარდამავალი ზმნების შემდეგ **nothing** დამატება,

თუ ზმნური უარყოფითი ნაწილაკის შემცველი. ჩვენი აზრით, ასეთი შემთხვევაში ნაცვალსახელი არ შეიძლება ნაწილაკის ფუნქციით მოგვევლინოს, რადგანაც ის მკვეთრად ინარჩუნებს დამატების ფუნქციას. საერთოდ კი ო.ეესპერსენის ზემოთ აღნიშნული ვარაუდის საფუძველსაც ვერ ვხედავთ, რადგანაც, როგორც ცნობილია, გარდამავალი ზმნების შემდეგ პირდაპირი დამატების ხმარება ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებთან ნაცვალსახელ **nothing**-ის ხმარებას, დასაშვებად მიგვაჩნია ის აქცენტირებული უარყოფის თვისების მატარებლად ჩათვალოთ. ამის დასამტკიცებლად იმას მივიჩნევთ, რომ გარდაუვალ ზმნას არ შეიძლება ახლდეს პირდაპირი დამატება. მაგალითად:

His mother has nothing to give him but water, so he is crying (OW).

- გარდამავალ ზმნასთან დამატების ფუნქციით.

But there is nothing better than wisdom (ibid). - გარდაუვალ ზმნასთან **not** ნაწილაკის ფუნქციით.

ამ მაგალითში მოცემული აზრი შეიძლება შემდგენაირად გადმოიცეს:

But there is not anything better than wisdom.

2. ო.ეესპერსენის აზრით, ნაცვალსახელი **nothing** ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელების და მიძლეობების წინ კარგავს ნაცვალსახელის მნიშვნელობას და ნაწილაკი **not**-ისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უფრო მკვეთრი ხასიათის უარყოფას გამოხატავს. მაგალითად:

There was nothing very much to wonder.

ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში **nothing** არ შეიძლება ჩაითვალოს ნაცვალსახელის ფუნქციის მატარებლად და მის ნაცვლად თავისუფლად შეიძლება ვიხმაროთ **not** ნაწილაკი. მაგალითად:

There was not very much to wonder.

There was not anything very much to wonder.

უარყოფითი ნაცვალსახელი **nothing** კავშირ **but**-თან ერთად იგივე აზრს გამოხატავს, რასაც ზმნიზედა **only**. მაგალითად:

In return he'd got nothing but lies and he'd been played for a fool, too blind to see what was set out right in front of him. (AH).

უარყოფითი ნაცვალსახელი **none** თანამედროვე ინგლისურ ენაში ძირითადად გამოხატავს სახელობით ზოგად ფრაზულ უარყოფას და მიუთითებს როგორც სულიერ, ისე უსულო საგნების არ არსებობაზე.

none იხმარება როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე დაწყებული სიტყვების წინ. მაგალითად:

None enters by this door but the King. (OW).

Camerera was obliged to remind her that although there were many precedents in Spain for a King's daughter weeping before her equals, there were none for a Princess of the blood royal making so merry before those who were her inferiors in birth (ibid).

ზოგჯერ **none of** უშუალოდ შემასმენლის შემდეგ იხმარება უარყოფის ეფატიზაციის მიზნით: Who I'm with, is none of your business. (AH).

როდესაც **none** ახლავს მრავლობით რიცხვში მდგომ არსებით სახელს, ზმნა შეიძლება იყოს როგორც მხოლოდით რიცხვში, ისე - მრავლობითში.

None of her ideas is/are acceptable.

ძირითადად **neither** მრავლობით რიცხვში მდგომი არსებითი სახელის ეკვივალენტია (იმ შემთხვევაში, თუ ამ მრავლობითის შემადგენელი კომპონენტები სხვადასხვა რიცხვშია). მრავლობითი საკვლევებელი არ არის იყოს ორი საგანი, არამედ შეიძლება იყოს ორზე მეტი და მრავალიც. მაგალითად:

Ann, Tom and all of their friends were dancing. Neither of them noticed us.

უარყოფითი ნაცვალსახელი ყოველთვის გამოხატავს ზოგად ფრაზულ უარყოფას, ზოგჯერ ის მოდალური ზმნით გამოხატული შემასმენლის შემცველ წინადადებაშიც გვხვდება. მაგალითად:

Neither of them could imagine what she was going to tell us.

no one ნაცვალსახელს **but** კავშირთან ერთად ხმარებისას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ზმნიზედა **only**-ის, მაგალითად:

In winter no one but a maniac or an experienced hunter would venture into the forest. (ibid).

ზოგჯერ ნაცვალსახელი **no one** რამდენჯერმე მეორდება წინადადებაში უარყოფის ეფატიზაციის მიზნით.

No one ever dared to speak plainly about desire, no one said the word. (IA).

ზმნიზედები: never, nowhere, neither

ინგლისურ ენაში უარყოფის გამოსახატავად მეტყველების სხვა ნაწილებთან ერთად გამოიყენება ზმნიზედები: **never, nowhere, neither**. ფორმიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ზმნიზედები უარყოფითი შინაარსის შემცველია. გარდა ამ ზმნიზედებისა, უარყოფის გამოსახატავად ინგლისურ ენაში იხმარება არაუარყოფითი შინაარსის ზმნიზედები: **rarely, seldom, hardly, scarcely** და სხვა. მათი საშუალებით უარყოფა ისეთი ძლიერი ფორმით ვერ გამოიხატება, როგორც უარყოფითი სიტყვებისაგან (ნაწილაკებისაგან) ნაწარმოები ზმნიზედებით. ყურადსაღებია ამ საკითხზე ლ.ალექსანდერის (Alexander 1988, 253) მოსაზრება. ის არაუარყოფითი შინაარსის ზმნიზედებით გამოხატულ უარყოფას უწოდებს არასრულ უარყოფას. ჩვენ საეხებით ვიზიარებთ მის მოსაზრებას, რადგანაც ცხადია, რომ **hardly, scarcely, seldom** ტიპის სიტყვებით გამოხატული უარყოფა არ შეიძლება გავაიგივეოთ სპეციალური უარყოფითი სიტყვებით გამოხატულ უარყოფით კონსტრუქციებთან.

ზმნიზედა **never** ძირითადად დროის გარემოებითი მნიშვნელობის მატარებელია. ის ხშირად ცვლის **not** ნაწილაკს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს უარყოფის ემფატიზაციას, მაგალითად:

I don't swim.

I never swim.

never გამოხატავს, რომ ზმნით აღნიშნულ მოქმედებას არ ჰქონდა, არ აქვს, ან არ ექნება ადგილი (Айзенштадт 1956, 83, Eastwood 1996, 52).

They never hit me, of course. (OW).

I had never seen anyone so pale (ibid).

She'll never visit us again.

Ann never plays with them.

გრამატიკული სტრუქტურით **never** წარმოადგენს უარყოფით ნაწილაკ **not**-ისა და განუსაზღვრელობითი დროის ზმნიზედა **ever**-ის ნაერთს (**not + ever = never**).

never იშვიათად იხმარება დამხმარე ზმნასთან **do**. გამონაკლის შემთხვევაში, როცა **never** ახლავს დამხმარე ზმნა **do**, ადგილი აქვს უარყოფის ემფატიზაციას (ძირითადად სასაუბრო ენაში): I never did lie you.

ზმნიზედა **never** უარყოფითი შინაარსის ბრძანებით წინადადებებში წინადადების თავში იხმარება. მაგალითად: **Never be lazy!**

ხშირად ზმნიზედა **never** იხმარება სრულმნიშვნელოვანი ზმნის წინ. მაგალითად:

The distant stars **never** moved (IA).

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინ, როცა ზმნა Present ან Past Simple-ში იხმარება. იმ შემთხვევაში თუ ზმნა მომავალ, ან პერფექტულ დროშია ან შემასმენელი მოდალური ზმნით გამოიხატება, ზმნიზედები **never** და **nowhere** დამხმარე და სრულმნიშვნელოვან ზმნებს შორის (მოდალური ზმნის შემთხვევაში მოდალური ზმნის შემდეგ) გვხვდება. მაგალითად:

But in fact, the guard had **never** even dared to look around the room...(AH).

But the little Dwarf **never** looked up. (OW).

ზმნიზედა **nowhere** ადგილის გარემოების მნიშვნელობის შემცველია. **never**-ის მსგავსად ისიც უარყოფას გამოხატავს. წინადადებაში **no-where**-ის ადგილი **never**-ის ანალოგიურად განისაზღვრება:

Nowhere go!

I went **nowhere** last winter.

I've **nowhere** seen such beauty.

We'll **nowhere** find such flowers.

ზმნიზედებით **never** და **nowhere** ძირითადად ზოგადი ფრაზული უარყოფა გამოიხატება. იშვიათ შემთხვევებში უარყოფის გამოსახატავად იხმარება ზმნიზედა **neither**. ასეთი შემთხვევები ძირითადად დიალოგურ მეტყველებაში გვხვდება, როდესაც მოსაუბრე თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულ უარყოფით აზრს ეთანხმება. მაგალითად:

“I don't like this music”. “**Neither** do I”.

კავშირები: neither...nor, nor...nor, neither, nor, until

ინგლისურ ენაში უარყოფა ნაწილაკების, ნაცვლასახელებისა და ზმნიზედების გარდა სხვადასხვა ვეგუფის კავშირებითაც გადმოიცემა. ინგლისურ ენაში უარყოფის გამომხატველი კავშირებია: **neither, nor, neither ... nor** და **nor ... nor** (მერთებელი კავშირები), **unless** პირობითი კავშირი და დროის კავშირი **until**. ზემოთ ჩამოთვლილ კავშირებს ორმაგი ფუნქცია აქვთ, ისინი კავშირის ფუნქციას უარყოფის გამოხატვას

უთავსებენ. კავშირები **neither .. nor** კონსტრუქციაში ერთად იხმარება იმისათვის, რომ წინადადების ორი წევრის უარყოფა ერთდროულად მოხდეს, პირველი უარყოფითი სიტყვის წინ იხმარება **neither**, ხოლო მეორის წინ - **nor**. მაგალითად:

There is neither society here, nor solitude (OW).

neither ... nor კავშირის შემცველ წინადადებებში ზმნის რიცხვის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ეგაუერსი (Gowers 1987, 130). სავსებით ვეთანხმებით მის ვერსიას, რომლის თანახმადაც **neither ... nor** კავშირის შემცველ წინადადებებში ზმნა, როგორც წესი, მხოლოდით რიცხვში იხმარება, მაგრამ თუ იმ ორ სიტყვათაგან, რომელთაც **neither ... nor** განსაზღვრავს ერთ-ერთი მანც მრავლობითშია, მაშინ ზმნა იმ რიცხვში უნდა ვიხმაროთ, რომელ რიცხვშიც ზმნასთან უფრო ახლოს მდგომი სიტყვაა. მაგალითად:

Neither me, nor they will see you.

Neither we, nor she writes poems.

ეგაუერსი **neither ... nor** ორმაგი კავშირის ხმარებასთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს ერთ საინტერესო მომენტზე. ის მართებულად არ მიიჩნევს იმ შეზღუდვას, რომ თანამედროვე გრამატიკული წესით **neither ... nor** კავშირის ხმარება მხოლოდ იმ წინადადებებშია დასაშვები, რომლებშიც მხოლოდ ორი სიტყვაა უარყოფილი. მაგალითად:

But she would neither eat nor drink. (ibid).

ეგაუერსი მიიჩნევს, რომ მიუღებელია შეზღუდვა, რომლის თანახმადაც გრამატიკულად სწორია - I like neither red nor blue car., მაგრამ შეცდომაა - I don't like neither red, nor blue, nor yellow car.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეზღუდვის მიუხედავად, მხატვრულ ლიტერატურაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც **neither ... nor** კავშირების მეშვეობით რამდენიმე სიტყვის უარყოფა ხდება. მაგალითად:

It was always a matter of difficulty whether to say “good morning”, “good afternoon” or “good evening” in space, where, strictly speaking, there was neither morning, afternoon, nor evening (IA).

როგორც მაგალითიდან ჩანს, ასეთ შემთხვევაში კავშირი მხოლოდ ერთხელ იხმარება და უარყოფითი სიტყვები ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა.

ეგაუერსი მიიჩნევს, რომ ორზე მეტი სიტყვის უარყოფა ორმაგი **neither ... nor** კავშირის მეშვეობით დასაშვებია დღესაც ისე, როგორც ეს ინგლისურ ენაში დაახლოებით სამი საუკუნის წინ იყო მიღებული (Gowers 1987, 148). განხილული მაგალითების ანალიზის საფუძველზე, ეგაუერსის მსგავსად, ჩვენც მართებულად მივიჩნევთ ერთ წინადადებაში არჩევითობისას **neither ... nor** ორმაგი კავშირის მეშვეობით რამდენიმე სიტყვის უარყოფას, გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში არც წინადადების გრამატიკული წყობა ირღვევა და არც აზრის ლაკონურობა.

მაერთებელი კავშირებისაგან შედგენილ **neither ... nor** კავშირს, სიტყვათა შორის ორი უარყოფითი აზრის გაერთიანების ფუნქციის გამო, ჯ.ლიჩი ორმაგ კავშირს (double conjunction) უწოდებს (Leech 1989, 725). მისი აზრით, ეს ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ორმაგი უარყოფა. მარტინ სტეინმანის აზრით, **neither ... nor** არ გამოხატავს ორმაგ უარყოფას, რადგანაც მისი საშუალებით უარყოფილია ორი სხვადასხვა სიტყვა, ან მოქმედება (Steinman 1995, 115).

ორმაგი კავშირი **nor ... nor** შეიძლება ითქვას, რომ **neither ... nor** კავშირის ეკვივალენტურია. წინადადებებში მასაც იგივე ფუნქცია აკისრია და ისიც იგივე გრამატიკულ წესებს ექვემდებარება, რასაც **neither ... nor**. მაგალითად:

The job cannot be done nor by you nor by them.

კავშირი **neither** დამოუკიდებლად იხმარება წინადადებაში უარყოფის გამოსახატავად. ამ კავშირის შემცველ წინადადებებში ზმნის რიცხვი და პირი განპირობებულია **neither** კავშირით უარსაყოფი სიტყვის პირითა და რიცხვით. მაგალითად:

They don't like it, and neither would you. (IA).

ზოგჯერ კავშირი **neither** დამოუკიდებლად იხმარება და გამოხატავს პასუხს არჩევითი შინაარსის კითხვაზე. მაგალითად:

Which film did you like?

Neither.

ძირითადად კავშირი **neither** იხმარება მხოლოდითი რიცხვში უარტიკლო ან ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების გარეშე მდგომი არსებითი სახელების წინ, მაგალითად:

Neither car is exactly what I want.

თუ არსებითი სახელი მოცემულ წინადადებებში განისაზღვრება არტიკლით, კუთვნილებითი ან ჩვენებითი ნაცვალსახელით, კავშირი

neither იხმარება **of**-თანდებულთან ერთად. **neither of**-ის შემდეგ არსებითი სახელი (ან ნაცვალსახელი), რომელსაც ეს განსაზღვრავს მრავლობით რიცხვში იხმარება, მაგალითად:

I don't like neither of them.

He couldn't recognize neither of his old neighbours.

ორმაგი კავშირის - **neither of** შემცველ წინადადებებში ზმნა ძირითადად მხოლოდით რიცხვშია. მაგალითად:

Neither of them is attractive.

nor კავშირი **neither** კავშირის გარეშე უარყოფის გამოსახატავად წინადადებაში დამოუკიდებლად იხმარება, მაგალითად:

And they, who possess this mirror know everything, nor is there anything hidden from them. (OW).

ზოგჯერ **nor** წინადადების თავშიც იხმარება. ამ დროს ადგილი აქვს ინვერსიას. მაგალითად:

Nor was he alone. (ibid).

nor კავშირის შემდეგ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები გამოიყენება და არა უარყოფითი. მაგალითად:

I will not bless the sea, nor anything that is in it. (ibid).

კავშირი **nor** გამოხატავს კერძო ფრაზულ უარყოფას, როცა ის უარყოფს წინადადების რომელიმე წევრს (ან წევრებს) და არა მთელ წინადადებას. მაგალითად:

He would not have given his rose for all the pearls on the canopy, nor one white petal of his rose for the throne itself. (ibid).

შედარებით იშვიათად უარყოფის გამოსახატავად წინადადებაში იხმარება კავშირი **until**. ამ კავშირის შემცველ წინადადებაში ზმნა მტკიცებით ფორმაშია. მაგალითად:

He'd kept Stephen's secret, he'd run alongside him, down to the point, until he was too winded to keep up. (AH).

until კავშირის შემცველ წინადადებაში ზმნა იხმარება ყველა დროში, გარდა მომავალი დროისა. ზმნა მომავალი დროის ნაცვლად იხმარება Present Simple-ში (წარსულის გაგებით მომავლის გამოსახატავად კი Past Simple-ში). ზმნის პირსა და რიცხვს განსაზღვრავს კავშირის შემდეგ მდგომი ქვემდებარე. მაგალითად:

Let's wait until it stops raining.

He was turned with his back to her, and just watching him sleep made

Robin shiver, although the head was still rising as it would continue to do until the rain came. (AH).

კავშირი **unless** იხმარება უარყოფის გამოსახატავად პირობით დამოკიდებულ წინადადებებში. მას ძირითადად გააჩნია **if ... not**-ის სინონიმური მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როცა ის მთავარ წინადადებაში გამოთქმულ მოსაზრებას (მოქმედებას ან მოვლენას) გამოხატავს. **unless** შეიძლება ვიხმაროთ დამოკიდებელი წინადადების თავში. მაგალითად:

Unless you aren't quiet, you'll live the classroom.

He would never be seen in public, unless he substituted others with an equally garish color scheme. (IA).

ჩვენს მიერ განხილული მარტივი და ორმაგი კავშირები: **neither ... nor, nor ... nor, neither, nor, until, unless** მორფოლოგიურად უარყოფით ელემენტს შეიცავს, მაგრამ მათ გარდა ინგლისურ ენაში გვხვდება ფორმით მტკიცებითი კავშირი **lest**, რომელიც წინადადებას (ზოგჯერ მხოლოდ დამოკიდებულს) უარყოფით შინაარსს აძლევს. ის ხშირად შიშის გამოხატველ ზმნებთან ერთად იხმარება. მაგალითად: I was afraid lest she should be lost.

lest კავშირთან ზმნა მტკიცებით ფორმაშია. იგი ძირითადად მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება. მაგალითად:

He crept away lest he should see it, and covered his eyes with his hands. (OW).

He put his hands before his face lest his eyes should be dazzled. (ibid).

წინადადების სინტაქსური ეკვივალენტები

როგორც უკვე განვიხილეთ, წინადადებებში უარყოფა ძირითადად უარყოფითი სიტყვების მეშვეობით გამოიხატება. უარყოფითი წინადადების წყობა ზოგად გრამატიკულ წესებზეა აგებული, თუმცა როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, უარყოფით წინადადებებში ზოგჯერ ინვერსია, ან ზოგიერთი წევრის გამოტოვება ხდება და მათ ნაცვლად შინაარსით შესაბამისი (წინა კონტექსტიდან გამომდინარე) უარყოფითი სიტყვები გამოიყენება. გარდა ამ გამონაკლისი შემთხვევებისა, ინგლისურ ენაში ზოგჯერ უარყოფითი სიტყვა გვეკვლინება უარყოფითი

წინადადების ეკვივალენტად; ასეთ შემთხვევაში უარყოფით სიტყვას გააჩნია დამოუკიდებელი წინადადების მნიშვნელობა. უარყოფითი ნაწილაკი **no** არის ძირითადი უარყოფითი სიტყვა, რომელიც ინგლისურ ენაში უარყოფითი წინადადების ეკვივალენტია. ნაწილაკი **no** წინადადების ეკვივალენტი არის ძირითადად დიალოგურ მეტყველებაში. ასეთ შემთხვევებში **no** არის პასუხი ზოგად კითხვაზე. მაგალითად:

“Is this officially permitted?”

“No!” (IA).

“Are you saying you don’t want me to live with you?”

“No”, Roy said too quickly - “My house is your house” (AH).

ნაწილაკი **no** მხოლოდ თხრობითი წინადადების სახით კი არ გვხვდება, არამედ ზოგჯერ ძახილის წინადადებასაც ცვლის. ასეთ შემთხვევებში ამ ნაწილაკით გამოხატული მოქმედების შინაარსის დადგენა მის წინ ან მის შემდეგ მდგომი წინადადებით ხდება. მაგალითად:

“He ran across the soft Moorish carpets and opened the door.

No! she was not here either. (OW).

იშვიათად **not** ნაწილაკიც წინადადების სინტაქსური ეკვივალენტია. ასეთ შემთხვევებში **not** ნაწილაკი ნაცვალსახელთან ერთად იხმარება. მაგალითად:

“That’s what he’d thought”.

“Not this”.

no ნაწილაკის მსგავსად, წინადადების სინტაქსურ ეკვივალენტად იშვიათ შემთხვევაში უარყოფითი ნაცვალსახელი **nothing** გვხვდება (იგივე შეიძლება ითქვას უარყოფის გამომხატველ სხვა ბირთვულ საშუალებებზეც). ასეთ შემთხვევაშიც, ამ სიტყვების მიერ გამოხატული შინაარსი წინა ან შემდგომი კონტექსტით ზუსტდება.

Before he went into the house, Connor stopped and looked up into the guest room window. Nothing of course. (AH).

ზოგჯერ წინადადების სინტაქსური ეკვივალენტის როლში მყოფ **no** ნაწილაკთან ერთად მაღლიერების გამომხატველი სიტყვათშეთანხმება **thank you** ან გამოთქმული აზრის დამადასტურებელი სიტყვათშეთანხმება **of course** იხმარება. მაგალითად:

If you don’t like something you don’t have to eat it”, she said.

“No, thank you”, - Stephen said hesitant. (ibid)

ნაწილაკი **no**, როგორც წინადადების სინტაქსური ეკვივალენტი, შეიძლება იყოს პასუხი არა მხოლოდ ზოგადი ტიპის კითხვაზე, არამედ არასრული ტიპის (ერთშემადგენლიან) კითხვით წინადადებაზე. მაგალითად:

“Lydia’s sleeping with someone”, Michelle said.

“Lydia?” - Robin said. “No. She’s much too young” (AH).

როგორც აღვნიშნეთ, **no** ნაწილაკი წინადადების მნიშვნელობით ძირითადად დიალოგურ მეტყველებაში ე.წ. **yes/no** ტიპის კითხვებში გამოიყენება. **yes/no** ტიპის კითხვები ორგვარია წართქმითი და უკუთქმითი. მაგალითად:

Do you speak English? (წართქმითი)

Don’t you speak English? (უკუთქმითი)

როდესაც **no** ნაწილაკს განვიხილავთ როგორც წინადადების ეკვივალენტს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისურ ენაში ფართოდაა გავრცელებული კითხვის განსხვავებული ტიპი, ე.წ. მაცალკეებელი კითხვა. ეს კითხვითი კონსტრუქცია წინადადებას ბოლოში ერთვის. მისი მიზანია წინადადებაში გამოთქმული აზრის დადასტურება. ამ ტიპის კითხვაზე მოსალოდნელი პასუხია **yes**, თუ წინადადებაში გამოთქმული აზრი დადებითია და **no**, თუ წინადადებაში გამოთქმული აზრი უარყოფითია (შესაბამისად თუ წინადადება წართქმითია მაცალკეებელი კითხვა უარყოფითია და პირიქით). მაგალითად:

“We’ve arrived in time, haven’t we?” – “Yes”.

“We haven’t ever seen this film, have we?” – “No”.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, მაცალკეებელი კითხვები რიცხვში და პირში მის წინ მდგომ წინადადების ქვემდებარეს და შემასმენელს ეთანხმება.


უარყოფითი კითხვებით გამოიხატება აგრეთვე გაკვირვება და წუხილი. მაგალითად:

Can’t you drive faster?

Can’t you be more polite?

ამ ტიპის წინადადებებს რიტორიკული ხასიათი უფრო აქვს.

ჩატარებული ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე **no** ნაწილაკის წინადადების ეკვივალენტად გამოყენების შემთხვევები სქემით შემდგენიარად გადმოიცემა (იხ. სქემა №13, გვ. 67):



ბ) უარყოფის გამოხატვის პერიფერიული საშუალებები ინგლისურ ენაში

უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნები

ინგლისურ ენაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უარყოფის გამოხატვა ბირთვული და პერიფერიული საშუალებებით ხდება. საერთოდ წინადადებას უარყოფითი აზრი სხვადასხვა სიტყვებით (როგორც წართქმითი, ისე უკუთქმითითაც) შეიძლება მიეცეს. მათგან აღსანიშნავია უარყოფითი სემანტიკის მქონე ე.წ. ასიმეტრიული ზმნები: deny, refuse, forbid და სხვა. ეს ზმნები შინაარსით უარყოფითია. მათი საშუალებით იმდენად ნათლად გადმოიცემა უარყოფით შინაარსი, რომ უარყოფითი სიტყვების გამოყენება აღარაა საჭირო. მაგალითად:

“Of course, if you refuse I will go and do it myself”. (OW).

“Surely this has come upon me by reason of my sir. For I have denied my mother, and driven her away and been proud and cruel to her” (ibid). Those that don’t pass would probably fail in other respects eventually. (IA).

ზემოთ განხილული ზმნები იმდენად მკვეთრად გამოხატავენ უარყოფით შინაარსს, რომ მათ ეთანხმება არა უარყოფითი, არამედ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (ისევე, როგორც უარყოფითი ფორმაში მყოფი ზმნების შემდეგ იხმარება განუსაზღვრელობითი ფორმები).

I haven't seen anybody.

She won't forget anything.

უარყოფითი შინაარსის მქონე ასიმეტრიულ ზმნებს, რომლებიც უარყოფითი სიტყვებისა და კონსტრუქციების გარეშე გამოხატავს უარყოფითი აზრს, ო.ეესპერსენმა უწოდა დეფექტურპირიანი ზმნები. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოედგინა ამ ზმნების უარყოფითი შინაარსი, ო.ეესპერსენმა მათ დაუპირისპირა ანტონიმური მნიშვნელობის ზმნები (Espersen, 1917, 43).

to fail – to succeed

to lack – to have enough

to forget – to remember

to exclude - to include

მეორე მწკრივში მოთავსებული ზმნები უარყოფის გამოსახატავად დამხმარე ზმნებს და უარყოფით ნაწილაკებს იყენებს:

He failed. He didn't succeed.

He lacks information. He hasn't enough information.

He forgets everything. He doesn't remember anything.

It excludes positive results. It doesn't include positive results.

ამრიგად, უარყოფითი სიტყვების გარეშე ფორმით მტკიცებითი, შინაარსით კი უარყოფითი ასიმეტრიული ზმნებით გადმოიცემა უარყოფითი აზრი. მაგალითად:

The dogs refused to set foot on the red ice (AH).

ინგლისურ ენაში უარყოფითი შინაარსი გადმოიცემა ძირითადი საშუალებების გარდა პერიფერიული საშუალებებითაც, კერძოდ უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნებით (deny, refuse, neglect, fail, forget, exclude, lack და სხვა), რომელთაც ეთანხმება განუსაზღვრელობითი ფორმები.

სუფიქსები და პრეფიქსები

უარყოფის გამომხატველ პერიფერიულ საშუალებათა შორის პრეფიქსებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი დართვით იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. ინგლისურ ენაში უარყოფითი შინაარსის მაწარმოებელი პრეფიქსებია: **a, de, il, ir, non, anti, mal, counter, in, mis**, ხოლო სუფიქსი, რომელიც სიტყვას უარყოფით შინაარსს ანიჭებს,

არის less. უარყოფითი აფიქსები იმდენად მკვეთრად გამოხატავს უარყოფით შინაარსს, რომ წინადადებაში უარყოფის გამომხატველი სხვა საშუალებების გამოყენება არ არის საჭირო.

უარყოფითი აფიქსები სხვადასხვა შინაარსის უარყოფას გამოხატავს, მაგალითად: non პრეფიქსიანი სიტყვები გამოხატავს მარტივ უარყოფას, ხოლო un და in პრეფიქსიანი სიტყვები – ძლიერ წინააღმდეგობას ან იმედგაცრუებას.

ეგაუერსი უარყოფით პრეფიქსებთან დაკავშირებით სამ სინტაქსურ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას (Gowers 1987, 31).

ეგაუერსი აღნიშნავს, რომ უარყოფითი პრეფიქსები ყოველთვის უარყოფით შინაარსს აძლევს სიტყვას, თუმცა საკმაოდ ხშირად ისეთი გამონაკლისებიც გვხვდება, რომლებსაც უცხო ენაზე მოსაუბრე შეცდომამდე მიჰყავს. ამის მაგალითად ის განიხილავს სიტყვებს inflammable და flammable. წესით, პირველი სიტყვა - inflammable, რომელიც in პრეფიქსით არის ნაწარმოები სიტყვისაგან flammable (აალებადი), უნდა ნიშნავდეს მის საწინააღმდეგოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასე არ არის – flammable და inflammable სინონიმებია და შესაბამისად მათი ანტონიმებია nonflammable და noninflammable.

გადა ამისა, ე. გაუერსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე სიტყვაზე სხვადასხვა უარყოფითი პრეფიქსის დართვისას მიიღება განსხვავებული უარყოფითი შინაარსის გამომხატველი სიტყვები. ასეთ შემთხვევებს გულისხმობს ეგაუერსი, როცა აღნიშნავს, რომ in და un პრეფიქსები non პრეფიქსის ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს. დაუშვებელია non პრეფიქსის სრული უგულუბელყოფა, რადგან in და un პრეფიქსები ყოველთვის მის მაგივრობას ვერ ასრულებს. მაგალითად:

nonproductive – არამწარმოებელი (may apply to manager, inspectors, those who are not directly connected with production)

unproductive – არაპროდუქტიული (refers to those, who fail to produce)

noninformative – არასაინფორმაციო (communication that doesn't purport to be informative)

uninformative – არაინფორმაციული (when it's expected to be informative)

ეგაუერსი იმ შემთხვევაზეც ამახვილებს ყურადღებას, როდესაც უარყოფითი პრეფიქსით ნაწარმოები სიტყვის წინ იხმარება უარყოფითი

საერთოდ, ო.აქსპერსენი აფიქსებით ნაწარმოებ უარყოფით სიტყვებს სპეციალური უარყოფის ჯგუფს მიაკუთვნებდა.

ს.ლენტიევა **un** პრეფიქსის ხმარების ერთ საინტერესო მომენტზე ამახვილებს ყურადღებას (Леонтьева, 1974, 5). ის აღნიშნავს, რომ **un** პრეფიქსი, არასოდეს არ გვხვდება უარყოფითი შინაარსის შემცველ ზედსართავ სახელთან. მაგალითად, foolish, ugly, stupid სიტყვების ანტონიმები არ იწარმოება პრეფიქსით, მათი ანტონიმები სხვა ფუძის სახელებია clever, beautiful, intelligent. ს.ლენტიევა აღნიშნავს, რომ **un** პრეფიქსი არ დაერთვის არც ფერის, ზომისა და მასალის გამომხატველ სიტყვებს, მაგალითად, red, large, wooden. მაგრამ **un** პრეფიქსი დაერთვის ზოგიერთ ზედსართავ სახელს და უარყოფს იმ თვისებას, რომელიც გამოხატულია ამ სიტყვის ფუძით. მაგალითად: safe-unsafe, reserved-unreserved, graceful-ungraceful.

ს.ლენტიევა აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პრეფიქსით, მაგალითად **un, in, dis, non, anti**, ნაწარმოები სიტყვები ძირითადად ერთმანეთის აბსოლუტური სინონიმებია: to defrock – to disfrock, to decolourize – to discolourise, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ პრეფიქსებით ნაწარმოები სიტყვები ყოველთვის აბსოლუტურ სინონიმები არ არიან, მაგალითად: disused – no longer used

unused – not made use of

misused – improperly used or ill-treated

to displace – to put out of place

to misplace – to put in wrong place

უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვები ინგლისურ ენაში **less** სუფიქსითაც იწარმოება. ეს სუფიქსი არსებითი სახელისაგან უარყოფითი შინაარსის მქონე ზედსართავ სახელს აწარმოებს. მაგალითად:

help – helpless

rest – restless

use – useless

worth – worthless

less იმ შემთხვევაში დაერთვის სიტყვას, როდესაც საუბარია რაიმე თვისების ან საგნის ნაკლებობაზე, ან არ არსებობაზე. მაგალითად:

He had a good eyesight, he could see in the dark on a moonless night.

less სუფიქსის ანტონიმია **ful**, რომელიც სიტყვას საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს, მაგალითად: use – useless-useful.

1. სიტყვები, რომლებიც ფორმითაც უარყოფითია და შინაარსითაც. მაგალითად: not, nobody, nothing, nowhere და ა.შ.
2. სიტყვები, რომლებიც შინაარსით უარყოფითია, ფორმით კი მტკიცებითი. მაგალითად ზმნები deny, refuse, forbid, neglect და ა.შ.
3. სიტყვები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ზმნათა მსგავსად ფორმით მტკიცებითია, მაგრამ შინაარსით უარყოფითი. თუმცა, მათ მიერ ისეთი მკვეთრი უარყოფა არ გამოიხატება, როგორც ჩვენს მიერ განხილული სხვა უარყოფითი საშუალებებით. ასეთი სიტყვებია: scarcely, barely, really, only, seldom, little, few და ა.შ.

ლინგვისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ჯგუფის სიტყვები იპყრობს. ო.ეესპერსენის აზრით, მათი საშუალებით უსრული უარყოფა (incomplete negation) გამოიხატება და მათ დაახლოებით უარყოფითად მოიხსენიებს (approximate negatives) (Espersen 1917, 38).

რ.ქუირკი ასეთ სიტყვებს ნახევრად უარყოფითად თელის (semi negatives) და განუსაზღვრელობით სიტყვათა ჯგუფს მიაკუთვნებს (Quirk 1985, 138). ის ამ ლოგიკურ დასკვნამდე მიდის მათი ნახევრადუარყოფითი ბუნების კონტექსტში გამოვლენის საფუძველზე. მაგალითად:

I almost resigned. (But in fact I didn't resign).

I know them slightly. (But in fact I didn't know them).

ფ.პალმერი ასეთ სიტყვებს ნაწილობრივ უარყოფითად მიიჩნევს (quasi-negatives) და მიუთითებს მათ ფსევდოუარყოფით ხასიათზე (Palmer 1979, 26).

ე.კლიმა (Klima 1964, 171) ამ სიტყვების გრამატიკულ-სემანტურ თვისებებს, მათი ემფატიზაციის ფუნქციიდან გამომდინარე, ფექტურს უწოდებს.

ჩვენ ამ ტიპის სიტყვებს ნაწილობრივი უარყოფის გამომხატველად მივიჩნევთ. მათი უარყოფითი შინაარსი სხვა უარყოფით სიტყვებთან მსგავსებითაა განპირობებული, რაც შემდეგში გამოიხატება:

1. უარყოფითი შემასმენლის მსგავსად, მათ შემდეგაც იხმარება განუსაზღვრელობითი სიტყვები. მაგალითად:

In Nasan County, Roy's Father was know as the Doctor, since he could cure almost any tree (AH).

2. ისინი, ფორმითა და შინაარსით უარყოფითი სიტყვების მსგავსად, უარსაყოფი სიტყვების წინ იხმარება. მაგალითად:

Lucky almost forgot the deadliness of Jupiter in its beauty (IA).

3. მათი საშუალებით ძირითადად ზოგადი უარყოფა გამოიხატება და მთელ წინადადებას (რთული წინადადების შემთხვევაში დამატებით ან გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას) უარყოფითი შინაარსი ეძლევა:

Jenny was so excited she could barely speak (AH).

4. უარყოფითი სიტყვების მსგავსად, მათაც გააჩნიათ გამაძლიერებლები: **so, very, too** - rarely, seldom; almost – **no, never**; hardly – **at all** და ა.შ. (at all როგორც ვიცით, მხოლოდ უარყოფით წინადადებაში იხმარება)

5. ამ სიტყვათა უარყოფით ხასიათზე მიუთითებს მათი ლექსიკური შინაარსი. მაგალითად:

hardly, scarcely, barely = almost not

few, little = not many, not much

rarely, seldom = not often, და ა.შ.

6. გარკვეულ შემთხვევებში ეს სიტყვები, უარყოფითი სიტყვების მსგავსად, უარყოფის გამაძლიერებლის როლში გამოდის.

7. უარყოფითი სიტყვების მსგავსად **as – as** თანდებულთან ხმარებისას ამ სიტყვებით გამოიხატება შედარება. მაგალითად:

Indeed, he is almost as good as the puppets, only of course, not quite so natural (OW).

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი უარყოფითი სიტყვებისათვის დამახასიათებელი თვისებებისა, ე.წ. ნახევრადუარყოფითი სიტყვები უარყოფითი სიტყვების სრულ ეკვივალენტებად არ შეიძლება ჩავთვალოთ მათი შემდეგი თავისებურებების გამო:

- ეს სიტყვები ძირითადად უარსაყოფი სიტყვების წინ იხმარება და ადგილის შეცვლით უარყოფითი შინაარსის ეფექტი იკარგება. მაგალითად:

I hardly know. (negative meaning)

I know hardly. (positive meaning)

- ზოგიერთი მათგანი, როგორც ო.ეესპერსენი აღნიშნავს, მაგალითად little და few არტიკლის დართვით კარგავს უარყოფითი შინაარსის გადმოცემის უნარს: (Espersen 1917, 40).

a little } მცირეოდენი, ცოტაოდენი | positive meaning
a few }

little } few }	opposite of	<	much many		approximate negative meaning
-------------------	-------------	---	--------------	--	---------------------------------

- წინადადების თავში ხმარებისას ამ სიტყვებს უარყოფის ეფექტი იკარგება (Espersen 1917, 40). მაგალითად:

I rarely go there. ნიშნავს I not often go there.

Rarely, I go there. ნიშნავს I go there but rarely.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ამ ტიპის სიტყვები გვხვდება უარყოფით სიტყვებთან ერთად, მაგრამ ორმაგ უარყოფას არ აქვს ადგილი. ისინი მხოლოდ კოსმეტიკური ეფექტისათვის გამოიყენება (Mencken 1980, 568), მაგალითად: I don't know anything scarcely.

ინგლისურ ენაში უარყოფის ემფატიზაციის საშუალებებია:

1. უარყოფით სიტყვებზე მახვილის გაძლიერება: I never played with them.
2. სპეციალური არსებითი სახელების ხმარება: a bit, a pin, a blank, a finger და ა.შ.: I don't give a blank what she thinks.
3. უარყოფის გამომხატველი ძირითადი საშუალებების დახმარებით უარყოფის გაძლიერება: He doesn't listen to me. He never does it.
4. უარყოფით ნაწილაკთან **not** და ნაცვალსახელთან შეთანხმებით at all, by no means ტიპის სიტყვების ხმარება: It is not at all a bad decision.

ო.დესპერსენი (Jespersen 1917) უარყოფის ემფატიზაციის საშუალებებს განიხილავს, როგორც „ექსპრესიული უარყოფის“ გამოხატვის ტიპიურ საშუალებებს.

საერთოდ, გრამატიკოსები უარყოფის გამძლიერებელ საშუალებებს ორ ჯგუფად ყოფენ: სტერეოტიპულად და ლექსიკურ-მორფოლოგიურად (მპეგრელიშვილი 1980, 17, Jespersen 1917, 49, 1972). როგორც უკვე აღვნიშნეთ, უარყოფის სტერეოტიპულ გამძლიერებლებს მიეკუთვნება არსებითი სახელები, რომლებიც რაიმე პატარას ან უმნიშვნელოს (მაგალითად, a snap, a bit, a penny) აღნიშნავს. უარყოფის გაძლიერების ლექსიკურ-მორფოლოგიური მაჩვენებლებია no და never. ცალკეულ შემთხვევებში მათ შეუძლიათ შეცვალონ უარყოფითი ნაწილაკი not.

ინგლისურ ენაში უარყოფის ემფატიზაციის გარდა ადგილი აქვს უარყოფის შესუსტებას (weakening of negation). ზოგჯერ ისეთი

კომბინაცია იქმნება, რომ უარყოფის სიძლიერე შეიძლება თითქმის გაქრეს. ხშირად ამ ფუნქციას ასრულებს ზმნიზედა **very**, რომელიც **not** ნაწილაკის შემდეგ იხმარება, რაც ასუსტებს უარყოფის მნიშვნელობას (Mencken 1980, 541). მორიდებულ საუბარში უფრო მიღებულია **not + very** კონსტრუქცია, ვიდრე **not** ნაწილაკის ხმარება ზმნიზედა **very**-ის გარეშე. მაგალითად: This attitude is not very logical.

ზმნიზედა **very**-ის მსგავსად, ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს ზმნიზედები: **yet, absolutely, altogether, entirely, necessarily** და სხვა, მაგალითად:

He hasn't come yet. (რაც ნიშნავს, რომ ის ჯერ არ მოსულა, მაგრამ დასაშვებია, რომ მოვა).

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში ადგილი აქვს უარყოფითი ფორმით ექსპრესიული მტკიცებების გამოხატვას. ეს ძირითადად ხდება ისეთი უარყოფითი კონსტრუქციების ხმარებისას, როცა უარყოფითობის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი უარყოფითი პრეფიქსითაა ნაწარმოები. მაგალითად:

I don't disagree with you.

უარყოფითი ფორმით მტკიცებითი მსჯელობის გამოხატვა ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა კითხვითი შინაარსის მქონე უარყოფითი წინადადებით გამოიხატება შეგულანება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა უარყოფით წინადადებასთან ერთად მოდალური ზმნების (**shall, will, should, would**) ხმარება (ხშირად კითხვით სიტყვა **why**-თან ერთად).

Why won't you speak loudly?

Wouldn't you visit us?

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ინგლისურ ენაშიც გამოყვავით მტკიცებითი ფორმის უარყოფის გამომხატველი წინადადების რამდენიმე ტიპი: რეპლიკა-განმეორება, რიტორიკული კითხვა, ძახილის წინადადებები.

რეპლიკა-განმეორების საშუალებით მტკიცებითი ფორმით

უარყოფითი აზრი გადმოიცემა:

"I am tired?"

"You? Tired?"

როგორც ვხედავთ, უარყოფითი მნიშვნელობა განმეორების რეპლიკაში იმპლიციტურია. უარყოფითი შინაარსის განმეორების

გამოხატვის ძირითად საშუალებად აქაც უნდა მივიჩნიოთ ემოციური ინტონაცია, რომელზეც ტექსტში მიუთითებს სასვენი ნიშნები, მაკროკონტექსტი და ა.შ.

რაც შეეხება რიტორიკულ კითხვებს, ფორმალურად დადებით სტრუქტურებში მათ ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ და პირიქით. მაგალითად:

“She wasn’t perfect?”

“But who is?” - რაც ნიშნავს - Nobody is.

უარყოფითი აზრი შეიძლება გადმოიცეს დიალოგში ისეთი ტიპის ერთსიტყვიანი ძახილის წინადადებებით, როგორცაა: nonsense, rubbish, fiddle, stuff და ა.შ. მაგალითად:

“You mustn’t do that”.

“Nonsense” (JS).

უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ შემდეგი სახის შეგულიანებით ძახილის წინადადებებსაც:

Dash me if I do!

I’ll be damned if I go there!

Be hanged if I do it!

როგორც ვხედავთ, სასაუბრო ენაში უარყოფითი აზრი შეიძლება წართქმითი ფორმის წინადადებით გამოიხატოს. უარყოფა ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ემოციურად შეფერილია.

ინგლისური სასაუბრო ენისათვის დამახასითებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც უარყოფა ინტონაციითა და ინვერსიით გამოიხატება. მაგალითად:

“A lot you know about him”.

კომუნიკაციურ დონეზე უარყოფითი კონსტრუქციების მეტყველებაში ფუნქციონირებისას ინგლისურ ენაშიც გამოიყოფა ექსპრესიული უარყოფის შემდეგი ფორმები:


- ექსპრესიული მტკიცების გამოხატვა უარყოფითი ფორმით, უარყოფის ემფატიზაციის საშუალებები, ე.წ. “გამაძლიერებლები”, ექსპრესიული უარყოფის გამოხატვა დადებითი ფორმით.


ამრიგად, განხილული მასალის საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა გამოგვეყო უარყოფის გამომხატველი ბირთვული და პერიფერიული საშუალებები. უარყოფით ნაწილაკთა სიმცირის გამო ინგლისურ ენაში სხვადასხვა ტიპის უარყოფის გადმოსაცემად

გამოიყენება სხვადასხვა გრამატიკული, ლექსიკური, ინტონაციური და კონტექსტური საშუალებები. ორმაგ უარყოფით კონსტრუქციებზე ზშირია უარყოფითი სიტყვებისა და განუსაზღვრელობითი ფორმების ხმარება (ერთმაგი უარყოფა), რაც ინგლისური ენის მონონეგატიურობაზე მიუთითებს.

თვალსაჩინოებისათვის სქემით №15 წარმოვადგინეთ ინგლისურ ენაში ველი 1-ის სქემა, ზოლო სქემით №16 (გვ. 79) კი ველი 1 შვესებული კონკრეტული ერთეულებით.


სქემა №15





ინგლისური ენის (როგორც მონონეგატიური ენის) ველი 2-ის სქემა, იმის მიხედვით წინადადებაში უარყოფას უარყოფითი ერთეული დამოუკიდებლად გამოხატავს, თუ განუსაზღვრელობით სიტყვასთან ერთად, შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ (სქემა №17):

სქემა №17



სიმბოლო ○ აღნიშნავს უარყოფით კონსტრუქციაში განუსაზღვრელობით სიტყვას

§3. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია მსპანურ ენაში

ა) უარყოფის ველის სტრუქტურული ცენტრი და უარყოფის გამოხატვის ბირთვულ საშუალებათა სისტემა ესპანურ ენაში

ესპანურ ენაში გრამატიკული უარყოფის გამოხატვა სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით ხდება. უარყოფის გამოხატველი საშუალებები წინადადების სხვა წევრებთან ერთად ქმნის უარყოფის ველს (ველი 1). ნებისმიერ ენაში უარყოფის ველის საზღვრების დადგენა უარყოფით წინადადებაში უარყოფითი შინაარსის გავრცელების სივრცის მიხედვით ხდება (ველი 2). უარყოფის ველის საზღვრების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსახილველ ენაში უარყოფითი კონსტრუქციების ხმარებასთან დაკავშირებული გრამატიკული წესები (Campos, Martinez 1993; Read 1992, Whitely 1986). ესპანურ ენაში უარყოფის ველი 1 შედგება ყველა იმ სიტყვისაგან, რომელზეც ვრცელდება უარყოფის გამოხატველ საშუალებათა მიერ გამოხატული უარყოფითი შინაარსი.

ესპანურ ენაში უარყოფის გამოხატეასთან დაკავშირებით საინტერესოა ს.ფერენცის მოსაზრება (Ференц 1972, 18), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ესპანურ ენაში უარყოფითი შინაარსის მქონე მარტივ წინადადებებში უარყოფის გამოხატველი საშუალებების სემანტიკური მნიშვნელობა ვრცელდება მარცხნიდან მარჯვნივ (ველი 2).

როდესაც ესპანურ ენაში უარყოფის მოქმედების ველის (ველი 2) საზღვრების დადგენაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ენაში უარყოფა შეიძლება იყოს როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური. ესპანურ ენაში ლექსიკური მნიშვნელობის უქონელი სიტყვები, როგორცაა ნაწილაკი **no**, კავშირები **ni, ni ... ni, ni siquiera** და თანდებული **sin** უარსაყოფი სიტყვების წინ იხმარება, ე.ი. პრეპოზიციური ადგილი უჭირავს.

Los pocos que quedaban en servicio ya no tenían pianola ni camarotes para la luna de miel, y apenas si lograban navegar contra la corriente. (GGM).

“No quiero flores en mi entierro”, me dijo, sin pensar que yo había de ocuparme al día siguiente de que no las hubiera”. (GGM).

ზმნის უარყოფის **no** ნაწილაკით გამოხატვისას უარყოფას ყოველთვის პრეპოზიციური ხასიათი აქვს (**no** ნაწილაკი უშუალოდ შემასმენელის წინ დგას). მაგალითად:

Ella no dio ninguna muestra de interés. (ibid).

Era un alboroto tan grande que no podía creerse que hubiera tantos gallos en el pueblo, y pensé que venían en el buque del obispo (ibid).

ზემოთ აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს **no** ნაწილაკის შემდეგ ნაცვალსახელების ხმარება. მაგალითად:

“No lo previne porque pensé que eran habladas de borracho”. (ibid).


ესპანურ ენაში **no** ნაწილაკის შემასმენლის წინ ხმარებისას უშუალოდ მის შემდეგ სხვა უარყოფითი სიტყვა არ იხმარება. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მეორე უარყოფითი სიტყვის მხოლოდ ზმნის შემდეგ ხმარება. მაგალითად:

“Mi hijo no salía nunca por la puerta de atrás cuando estaba bien vestido”. (ibid).

No me ha hecho ningún daño (MOS).

ესპანურ ენაში უარყოფითი შინაარსის წინადადებაში სიტყვათა წყობა შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ (სქემა №18):

სქემა №18




ზემოთ განხილული სქემის დასასაბუთებლად განვიხილოთ მაგალითები ესპანურენოვანი მხატვრული ლიტერატურის ორიგინალებიდან. მაგალითად:

Se apartó para dejarlo salir, y a través de la puerta entreabierta vio los almendros de la plaza, nevados por el resplandor del amanecer, pero no tuvo valor para ver nada más (GGM).

Sin embargo, la realidad parecía ser que los hermanos Vicario no hicieron nada de lo que convenía para matar a Santiago Nasar de inmediato y sin espectáculo público (ibid).

ესპანურ ენაში გვხვდება უარყოფის გამოხატვის შემთხვევები no ნაწილაკის გარეშე რამდენიმე უარყოფითი სიტყვით. ეს შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინეთ:



Nadie supo nunca a qué vino (ibid).

ორმაგი და მრავალჯერადი კონსტრუქციები ესპანურ ენაში ნორმითაა დაშვებული. აქაც გვხვდება ზემოთ განხილული (გვ. 16) ორივე სახის ორმაგი უარყოფა.

ესპანურ ენაში ორმაგი და მრავალჯერადი უარყოფა ძირითადად უარყოფის ემფატიზაციის მიზნით იხმარება (I სახის ორმაგი უარყოფა), თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა ამ გზით მტკიცება გამოიხატება (II სახის ორმაგი უარყოფა). ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ადგილი აქვს უარყოფის განეიტრალებას. მაგალითად:

No es imposible = Es posible.

ესპანურ ენაში სპეციალური მოდალური სიტყვების უქონლობის გამო უარყოფის გამოხატვა სხვადასხვა გზით ხდება:

no + ser posible - შესაძლებლობის უარყოფა

no + poder or saber შესაძლებლობის, უნარის უარყოფა

no + ser necesario - აუცილებლობის უარყოფა

no + tener que - ვალდებულების უარყოფა

უარყოფითი ბრძანებითის ფორმა იწარმოება შემდეგნაირად:

no + modo subjuntivo – (კავშირებითი კილო)

მაგალითად: No pierdas el tiempo. (ibid).

ლექსიკური მნიშვნელობის მქონე გრამატიკულ საშუალებებს: nada, nadie, nunca, jamás, tampoco და ა.შ. წინადადებაში ფიქსირებული

ადგილი არ გააჩნია. მაგალითად:

Nada me extraña verlo convertido en experto jinete. (MOS).

No se absolutamente nada. (GGM).

La verdad es que nunca me volverán a ver. (ibid).

Nunca se les vio armados en el pueblo, a la única vez que trajeron sus halcones amaestrados fue para hacer una demostración de altanería en un bazar de caridad. (ibid).

მხატვრული მასალის ანალიზის საფუძველზე, საშუალება მოგვეცა უარყოფის მოქმედების სპექტრის მიხედვით ესპანურ ენაში გამოგვეყო უარყოფის ორი ტიპი - სრული და ნაწილობრივი.

1) **სრული უარყოფის** შემთხვევაში უარყოფა ვრცელდება მთელ წინადადებაზე, რადგანაც კავშირი ქვემდებარესა და შემასმენელს შორის უარყოფითია. მაგალითად:

Yo no lo he visto.

2) **ნაწილობრივი უარყოფა** ეხება მხოლოდ წინადადების ცალკეულ წევრს (ან წევრებს), რადგან მიმართება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის დადებითია. მაგალითად:

No lejos de la ciudad está una selva.

თანამედროვე ესპანურში გრამატიკოსები გამოყოფენ ნაგულისხმევ უარყოფას (negación implícita) (Bello, Cuervo 1943, 181, ЦКТИШВИИИ 1974, 9). ამ ტიპის უარყოფა გულისხმობს, რომ უარყოფის შინაარსი აწმყო დროსთან მიმართებაში უშუალოდაა დაკავშირებული წარსულთან. ე.ი. ის ფაქტი, რომ რაღაც გარკვეულ მოვლენას წარსულში ჰქონდა ადგილი, იმაზე მეტყველებს, რომ ახლა არ ხდება. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ესპანურ ენაში ჰირობით დამოკიდებული წინადადებების უშუალო კავშირი წარსულ დროსთან.

ესპანურ ენაში სრული უარყოფის შემთხვევაში ადგილი აქვს ზმნის უარყოფას, ნაწილობრივი უარყოფის შემთხვევაში ადგილი აქვს არა ზმნის, არამედ წინადადების სხვა ნებისმიერი წევრის უარყოფას.

ზოგი ენათმეცნიერი ესპანურ ენაში უარყოფის ზოგად და კერძო ტიპებს გამოყოფს (Васильева-Шведе, Степанов 1981, 37). ეს კლასიფიკაცია უარყოფის მოქმედების სპექტრის მიხედვით ღვინდება.

ესპანურ ენაში ველი 1-ის სტრუქტურების პრინციპის გათვალისწინებით უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის საშუალებები იყოფა ბირთვულად და პერიფერიულად.

ნაწილაკი no

ესპანურ ენაში, ისე როგორც ნებისმიერ საკვლევ ენაში, უარყოფის კატეგორიის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ უარყოფის გამოხატვის საშუალებებზე. უარყოფის გამოხატვის საშუალებები ორ ჯგუფად იყოფა - ბირთვულად და პერიფერიულად. ამ საშუალებათა ერთიანობა ქმნის უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს, რომლის შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა ხარისხისაა.

ესპანურ ენაში უარყოფის კატეგორიის განხილვისას საჭიროდ მივიჩნით უარყოფის გამოხატვის საშუალებათა დეტალური ანალიზი.

უარყოფითი შინაარსის წინადადებაში უარყოფის ბირთვად შეიძლება ჩაითვალოს წინადადების ის ნაწილი, რომელშიც უარყოფის მთავარი კონტრასტული მნიშვნელობაა კონცენტრირებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ (გვ. 80), ესპანურ ენაში უარყოფითი ელემენტების მიერ გამოხატული უარყოფითი შინაარსი ვრცელდება მარცხნიდან მარჯვნივ (ველი 2). ესპანურ ენაში უარყოფის ბირთვია ნაწილაკი **no**. იგი ძირითადად თხრობითი უარყოფის გამომხატველია. მაგალითად:

No tiene precio. (GGM).

Lo siento, Bayardo - dijo el viudo, - pero ustedes los jóvenes no entienden los motivos del corazón. (ibid).

Esa casa no vale tanto. (ibid).

ნაწილაკი **no** ესპანურში უარყოფის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა. ის წინადადებას უარყოფით შინაარსს აძლევს. შეძლების გამომხატველ ზმნებთან ხმარებისას გამოხატავს შეუძლებლობას მაგალითად:

No podía imaginarse que él, sólo por impresionarla, había comprado todos los números de la rifa (ibid).

ესპანურში ნაწილაკი **no** ჩვეულებრივ უარსაყოფი სიტყვის წინ გვხვდება, მაგრამ როდესაც დამატების ფუნქციას ნაცვალსახელი ასრულებს, ზმნის წინ უარყოფითი ნაწილაკის ნაცვლად ნაცვალსახელი დაისმის. მაგალითად:

Es cierto-me replicó uno-, pero fijese bien que no les ponían nombres de gente sino de flores. (ibid).

Con lo único que no contó la familia fue con los encantos irresistibles de Baiardo San Román (ibid).

უარყოფით წინადადებაში, როდესაც ადგილი აქვს ზმნის გამოტოვებას, მის ადგილს ნაწილაკი **no** იკავებს. მაგალითად:
Bebe café, pero no te.

ნაწილაკი **no**-ს შემდეგ **Modo Subjuntivo**-ს (კავშირებითი კი-ლოს) ხმარებით გამოიხატება აკრძალვითი უარყოფა. მაგალითად:
No seas bárbara - le dijo él. (GGM).

როგორც აღვნიშნეთ, ესპანურ ენაში ნაწილაკი **no** უარყოფით წინადადებაში ზმნის წინ დაისმის. იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში რამდენიმე ზმნა არის, ნაწილაკი **no**-ს ხმარებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინადადების შინაარსის სწორად გაგებისათვის. მაგალითად:
Puede no ser verdad - შეიძლება სწორი არ იყოს.

No puede ser verdad - არ შეიძლება სწორი იყოს.

ესპანურ ენაში ნაწილაკი **no** სხვა უარყოფითი შინაარსის სიტყვასთან ხმარებისას იძენს უარყოფის ემფატიზაციის ფუნქციას, ასეთ შემთხვევაში **no** ნაწილაკი ზმნის წინ იხმარება. მაგალითად:
Angela Vicario no olvidó nunca el horror de la noche en que sus padres y sus hermanas mayores con sus maridos reunidos en la sala de la casa, le impusieron la obligación de casarse con un hombre que apenas había visto (ibid).

ნაწილაკი **no** კითხვითი სიტყვით დაწყებულ ძახილის წინადადებაში გვხვდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უარყოფით შინაარსს არ გამოხატავს, უფრო ემოციური ხასიათი აქვს:

Qué no diría tu mujer si lo supiera! (ibid)


უარყოფითი ნაწილაკი **no** უარყოფითი წინადადების ეკვივალენტად გვევლინება. მაგალითად:

Ustedes saben muy bien de qué se trata.

No. Yo no. Dijo el Capitán. (MOS).

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე, ესპანურ ენაში უარყოფის გამოხატველი ბირთვის - **no** ნაწილაკის ფუნქცია წინადადებაში შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ (სქემა №19, გვ. 86):

ესპანურ ენაში უარყოფის გამოხატველი ბირთვული საშუალებაა ნაწილაკი **no**, რომელიც დამოუკიდებლად იხმარება წინადადებაში და სხვა უარყოფით სიტყვებთან ერთად. **no** ნაწილაკის უარყოფით სიტყვებთან ხმარების შემთხვევაში ადგილი აქვს ორმაგ უარყოფას.



ზმნიზელება: *nunca, jamás, tampoco*

no ნაწილაკის გარდა ესპანურ ენაში უარყოფა გამოიხატება აგრეთვე ღრის ზმნიზელებით **nunca** და **jamás**. ორივე ზმნიზელა სინონიმური მნიშვნელობისაა და ნიშნავს - არასდროს. **jamás** უფრო ძლიერი ხარისხის უარყოფას გამოხატავს, ვიდრე **nunca** (Васильева-Шведе, Степанов 1980, 312, Ламина 1970, 59, Fernandez, Fente, Siles 1993, Канонич 1998). უარყოფითი ზმნიზელა **nunca** მარტივ წინადადებაში წინადადების თავში დგას. მაგალითად:

Nunca se estableció muy bien como se conocieron (GGM).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში უარყოფითი ზმნიზელა **nunca** ძირთადად დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება:

Ibrahim Nasar lo compró a cualquier precio para poner una tienda de importación que nunca puso, y sólo cuando se iba a casar lo convirtió en una casa para vivir (ibid).

როგორც აღვნიშნეთ, ზმნიზელა **jamás** უფრო ძლიერი ხარისხის უარყოფას გამოხატავს, ვიდრე **nunca**. მაგალითად:

La piel se la cubrió de un musgo tierno, semejante al que prosperaba en el chaleco anacrónico que no se quitó jamás. (ibid).

ზოგჯერ უფრო ძლიერი ემფატიური მნიშვნელობისათვის უარყოფითი ზმნიზელები **nunca** და **jamás** წინადადებაში ერთად იხმარება. მაგალითად:

Nunca jamás en tu vida lo vuelvas a hacer!

Nunca jamás lo aceptaré bajo tales circunstancias.

nunca და **jamás** წინადადების თავში ხმარებისას სხვა უარყოფითი სიტყვების გარეშე წინადადებას უარყოფით შინაარსს აძლევს. ამ

ზმნიზელების უარყოფითი შემასმენლის შემდეგ ხმარებისას ადგილი აქვს ორმაგ უარყოფას. მაგალითად:

Nunca pude saber todo.

Todo no pude saber nunca.

როგორც აღვნიშნეთ, ზმნიზელები **nunca** და **jamás** სინონიმური მნიშვნელობისაა, მაგრამ **jamás** არ იხმარება შედარების შემცველ წინადადებებში (*más que nunca, menos que nunca*). მაგალითად:

Alguien lo agarró, por el brazo para sacarlo al balcón pues ahora más que nunca el pueblo necesita su palabra. (GGM).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილულ შემთხვევაში ზმნიზელა **nunca** კარგავს უარყოფით მნიშვნელობას.

ზმნიზელების **nunca** და **jamás** არაუარყოფითი მნიშვნელობით ხმარების კიდევ ორ შემთხვევაზე ამახვილებს ყურადღებას ჟბრუნე (Bruyne 1995, 283):

1) სხვა უარყოფითი სიტყვასთან ზმნიზელები **nunca** და **jamás** მნიშვნელობით ზმნიზელა **ოდესმე**-ს უტოლდება.

Ninguna novela ha probado nunca nada.

2) იგივე შინაარსი აქვს ამ ზმნიზელებს ისეთ კითხვით წინადადებაში, რომელიც უარყოფით პასუხს მოითხოვს:

Quién jamás se puso en armas contra Dios?

ზოგჯერ ზმნიზელა **nunca** იხმარება ზმნიზელა **más**-თან ერთად. ამ შემთხვევაში ეს კონსტრუქცია სინონიმურია ზმნიზელის **აღარასდროს**: Sin embargo, él me explicó después, y era cierto, que en el cuartel había aprendido a afeitarse con navaja barbera, y nunca más lo pudo hacer de otro modo (ibid).

უარყოფითი ზმნიზელა **tampoco** (არც, აგრეთვე არც) წინადადების თავში იხმარება, როცა ზმნა მტკიცებით ფორმაშია, ხოლო თუ ზმნა უარყოფით ფორმაშია, მაშინ ზმნიზელა **tampoco** ზმნის შემდეგ იხმარება. მაგალითად:

Tampoco dice nada a nadie.

Luego le preguntaron dónde estaba Santiago Nasar, pues los habían visto juntos a los dos, y mi hermano no recordó tampoco su propia respuesta (ibid).

ნაცვალსახელები: *ningun(o), nada, nadie*

ესპანურ ენაში უარყოფის გამომხატველ ბირთვულ საშუალებებად გვევლინება აგრეთვე უარყოფითი ნაცვალსახელები: **ningun(o), nada** და **nadie**. ნაცვალსახელი **nadie** სულიერ საგანთა, **nada** კი უსულო საგანთა აღმნიშვნელია, **ningun(o)** კი აღნიშნავს როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებს.

უარყოფითი ნაცვალსახელი **ninguno** სქესსა და რიცხვში ეთანხმება იმ სიტყვებს, რომელთაც აღნიშნავს ან ცვლის. მაგალითად: **ningún hombre, ningunos hombres, ninguna mujer, ningunas mujeres**.

მხოლოდით რიცხვში მამრობითი სქესის არსებითი სახელის წინ **ninguno** მოიკვეცს ბოლო ხმოვანს. მაგალითად:

Tampoco el escrutinio meticuloso de la casa aportó ningún elemento válido para establecer su identidad (GGM).

გარკვეულ შემთხვევაში უარყოფის ცნების გასაფართოებლად ნაცვალსახელ **ninguno**-ს შემდეგ, სხვა ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, თანდებული **de + პირის ნაცვალსახელი** იხმარება. მაგალითად:

Yo estuve con él todo el tiempo, en la iglesia y en la fiesta, junto con Cristo Bedoya y mi hermano Luis Enrique, y ninguno de nosotros vislumbró el menor cambio en su modo de ser (ibid).

უარყოფითი ნაცვალსახელით **ningun(o)** და არსებითი სახელებით **parte, lugar, lado** ან **sitio** იწარმოება ესპანურ ენაში არსად ზმნიზედის შესატყვისი ფორმა:

თანდებული (a, en, ან por) + $\left\{ \begin{array}{l} \text{ninguna parte} \\ \text{ningún lugar} \\ \text{ningún sitio} \\ \text{ningún lado} \end{array} \right.$

No iremos a ninguna parte.

No pasaremos la noche en ningún sitio.

No lo encontré por ningún lado.

მსგავს შემთხვევებში უარყოფითი ნაცვალსახელი **ningun(a)**-ს წინ ღაისმის თანდებულები **a, en, por**. მაგალითად: **a ninguna parte, en ningún sitio, por ningún lado**.

ესპანურ ენაში ვხვდებით ორმაგი უარყოფის შემთხვევებს, როდესაც უარყოფითი ნაცვალსახელი **ningún**-ის წინ უარყოფითი შინაარსის მქონე თანდებული **sin** დგას. მაგალითად:

La verdad es que hablaba de su desventura sin ningún pudor para disimular la otra desventura, la verdadera, que le abrasaba las entrañas (GGM).

იმ შემთხვევაში, თუ უარყოფითი ნაცვალსახელი **ninguno** ზმნის შემდეგაა, ზმნა უარყოფით ფორმაში უნდა იდგეს, ხოლო თუ ზმნის წინაა, მაშინ შემასმენელი მტკიცებით ფორმაშია. მაგალითად:

Ninguno de ellos lo sabe.

No lo sabe ninguno de ellos.

როგორც აღვნიშნეთ, **ninguno** მხოლოდითი რიცხვის მამრობითი სქესის არსებითი სახელის წინ ბოლო ხმოვანს მოიკვეცს. ესპანელი გრამატიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ერთ ფონეტიკურ მომენტზე (Butt 1986, 283, Whitley 1986, 28), რაც იმაში გამოიხატება, რომ ნაცვალსახელი **ninguna** ბოლო ხმოვანს მოიკვეცს მახვილიანი **a** ან **ha** ბგერებით დაწყებული სიტყვების წინ მხოლოდ ზეპირ საუბარში, წერისას კი იგი შენარჩუნებულია. მაგალითად:

Ningún(a) arma nuclear! - ძირს ბირთვული იარაღი!

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უარყოფითი ნაცვალსახელი **ningun(o)** მრავლობით რიცხვში იშვიათად იხმარება. ძირითადად ეს ფორმა იხმარება ისეთ არსებით სახელებთან, რომლებიც ყოველთვის მრავლობით რიცხვშია: *ningunas vacaciones, ningunas pantalones, ningunas tijeras...*

მხატვრული ლიტერატურული ტექსტების ანალიზისას ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც **ningun(o)** ზედსართავად გველინება. ვიზიარებთ უბრუნეს მოსაზრებას (Bruyne 1995, 216), რომელიც აღიარებს უარყოფის ემფატიზაციის მიზნით უარყოფითი ნაცვალსახელის **ningun(o)**-ს წინ განსაზღვრული არტიკლის ან კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარების ფაქტს (Bruyne 1995, 216):

Iba a decir algo referente a la ninguna vergüenza de su Padre.

ესპანურ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელის **ningun(o)**-ს შესატყვისი განუსაზღვრელობითი ფორმაა **algun(o)**. იოლანდა და კარლოს სოლესების ნაშრომში ესპანური ენის სინტაქსის შესახებ (Y.Solé, C.Solé 1977, 382) ერთ საინტერესო მომენტზეა გამახვილებული

ყურადღება. კერძოდ, ნაცვალსახელი **algun(o)** მხოლოდით რიცხვში, უშუალოდ არსებითი სახელის შემდეგ ხმარებისას, უარყოფით მნიშვნელობას იძენს და **ningun(o)**-ს ემფატიური კონსტრუქციის სინონიმად გვევლინება. ამის დასამტკიცებლად მათ შემდეგი მაგალითები მოჰყავთ:

No tienen { derecho alguno
derecho ninguno
ningún derecho

უარყოფითი ნაცვალსახელი **nadie** სულიერ პირთა აღმნიშვნელია. ის ყოველთვის ნაცვალსახელობითი მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად: Nadie podía entender tantas coincidencias funestas (GGM).

ნაცვალსახელ **nadie**-ს ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც უფრო ძლიერ უარყოფას გამოხატავს არის სიტყვათშეთანხმება **ni Dios**. (ღმერთიც კი არ, not even the God).

nadie-ს წინადადებაში ფიქსირებული ადგილი არა აქვს. თუ იგი ქვემდებარის როლშია, ძირითადად შემასმენლის წინ დაისმის, ხოლო თუ შემასმენლის შემდეგ დგას, ადგილი აქვს ორმაგ უარყოფას. მაგალითად:

Al principio nadie se alarmó (ibid).

Al principio no se alarmó nadie.

ზოგჯერ ნაცვალსახელი **nadie** დამატებაა, ასეთ შემთხვევაში მის წინ დაისმის თანდებული **a**, მაგალითად: Era como escribirle a nadie (ibid).

nadie-ს მსგავსად, ქვემდებარის როლში **nada** უმეტესად შემასმენლის წინაა. როდესაც **nada** ზმნის შემდეგაა ადგილი აქვს ორმაგ უარყოფას. მაგალითად:

Nada hay en la casa.

No hay nada en la casa.

de თანდებულის წინ ღართვით **nada** გამოიყენება მაღლიერების გამოსახატავად: ¡De nada! ამ შემთხვევაში იგი ¡Gracias!-ის სინონიმია.

ნაცვალსახელს **nada** გააჩნია სიტყვათმწარმოებლური ფუნქცია, მისგან იწარმოება არსებითი სახელი **naderia** - უმნიშვნელო საგანი.

ესპანურ ენაში ნაცვალსახელები უარყოფის გამოხატვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათი მეშვეობით ხდება როგორც ერთმაგი, ისე ორმაგი და მრავალჯერადი უარყოფითი კონსტრუქციების ფორმირება.

კავშირები: ni, ni...ni, ni siquiera

ესპანურ ენაში უარყოფის გამომხატველ ბირთვულ საშუალებებად ზმნიზედებისა და ნაცვალსახელების გარდა გვევლინება კავშირები **ni, ni ... ni** და **ni siquiera**.

კავშირი **ni** იხმარება როგორც დამოუკიდებლად, ისე განმეორებით. როდესაც კავშირი **ni** ზმნის შემდეგაა, ზმნის წინ უარყოფითი სიტყვაა აუცილებელი. მაგალითად:

Es que no he dormido ni un minuto - le dijo (GGM).

Así consta en el sumario, pero sin ninguna otra precisión de modo ni de lugar. (ibid).

კავშირი **ni** ინფინიტივთან ერთად აკრძალვას გამოხატავს.

Ni hablar!

უარყოფის ემფატიზაციის მიზნით, ზოგჯერ უშუალოდ **ni** კავშირის შემდეგაც სხვა უარყოფითი სიტყვა იხმარება. მაგალითად:

No fue la única que lo pensó, ni tampoco la última en darse cuenta de que Bayardo San Román no era un hombre de conocer a primera vista (ibid).

მაკორდინირებელი კავშირი **ni** ზოგჯერ განმეორებით იხმარება - **ni ... ni**, ასეთ შემთხვევაში ის ერთმანეთთან აკავშირებს ძირითადად ორ უარყოფით სიტყვას ან წინადადებას.

El mensaje estaba en el suelo cuando Santiago Nasar Salió de su casa, pero él no lo vio, ni lo vio Divina Flor ni lo vio nadie hasta mucho despues de que el crimen fue consumado (ibid).

Victoria Guzmán, por su parte, fue terminante en la respuesta de que ni ella ni su hija sabían que a Santiago Nasar lo estaban esperando para matarlo (GGM).

ni კავშირის განმეორებით ხმარების ნაცვლად, უარყოფის ემფატიზაციის მიზნით, ზოგჯერ **ni**-ს შემდეგ **siquiera** ან **aun** (**ni siquiera, ni aun**) გვხვდება. მაგალითად:

No se daba cuenta ni siquiera de que llevaba al niño de la mano (ibid).

აღსანიშნავია, რომ ესპანური ენისათვის **ni siquiera**-ს შემდეგ კავშირ **sino**-ს ხმარებაა დამახასიათებელი. მაგალითად:

Ni siquiera los interrogó sobre intenciones, sino que les quitó los cuchillos y los mandó a dormir (GGM).

ზოგჯერ უარყოფით წინადადებაში ნაცვლად **ni ... ni**-ს იხმარება **no .. ni**. მაგალითად:

Mi madre no les hizo caso, por una vez la vida, ni le prestó atención a su esposo (ibid).

ამრიგად, ესპანურ ენაში უარყოფითი კავშირები ერთმანეთთან სიტყვებს ან წინადადებებს აკავშირებს. მათი საშუალებით დამატებითი უარყოფითი სიტყვების გარეშეც წინადადებას უარყოფით შინაარსი ეძლევა.

წინადადების სინტაქსური ეკვივალენტები

ესპანურ ენაში უარყოფის გამომხატველი ბირთვული საშუალებებია უარყოფითი სიტყვები. უარყოფითი სიტყვები წინადადების ეკვივალენტებია (Левинтова, Вольф 1964, 99). ძირითადი უარყოფითი სიტყვა, რომელიც ამ ფუნქციას ასრულებს არის ნაწილაკი **no**. იშვიათად წინადადების ეკვივალენტად სხვა უარყოფითი სიტყვებიც გვევლინება. „სიტყვა-წინადადებები“ ნაკლებად ინფორმატიულია, შეიძლება ითქვას, რომ მათი საშუალებით დასრულებული აზრი არ გადმოიცემა. მათი შინაარსი წინა ან შემდგომი კონტექსტის მეშვეობით იხსნება. მაგალითად:

“Es el diamante más grande del mundo”.

“No-corrigió el gitano-. Es hielo (ibid)”.

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა-წინადადებად **no**-ს გარდა სხვა უარყოფითი შინაარსის სიტყვებიც გვხვდება. მაგალითად:

“¿ Le pasó algo? - pregunto“.

“Nada” - le contesto Pedro Vicario-. “No más que lo andamos buscando para matarlo” (ibid).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ესპანურ ენაში უარყოფითი სიტყვები წინადადების სინტაქსურ ეკვივალენტებადაც გვევლინება.

ბ) უარყოფის გამოხატვის პერიფერიული საშუალებები ესპანურ ენაში

უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნები

ესპანურ ენაში უარყოფის გამოხატველ პერიფერიულ საშუალებათა ჯგუფს მიეკუთვნება უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნები: *negar, dudar, prohibir, faltar, abandonar* და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს დადებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გადმოცემას (Navarro 1995, 131, Savaiano, Winget 1995, 182, Kendris 1996, 85, Zollo 1998, 26). მაგალითად:

El único sobresalto imprevisto causó el novio en la mañana de la boda, pues llegó a buscar a Angela Vicario con dos horas de retraso, y ella se había negado a vestirse de novia mientras no lo viera en la casa (GGM). La única vez que traté de hablar con él, 23 años más tarde me recibió, con una cierta agresividad, y se negó a aportar el dato más ínfimo que permitiera clarificar un poco su participación en el drama (ibid).

ესპანურ ენაში, ზემოთ განხილული შემთხვევის ანალოგიურ შემთხვევებში, უარყოფითი შინაარსის მქონე დადებით ფორმაში მდგომი ასიმეტრიული ზმნებით უარყოფითი შინაარსის შემასმენელი გამოიხატება. უარყოფა, როგორც მაგალითებიდან ჩანს, იმდენად მკვეთრია, რომ დამატებითი უარყოფითი სიტყვების ხმარება საჭირო აღარაა. შინაარსით უარყოფითი და ფორმით მტკიცებითი ზმნების მიერ სხვა უარყოფითი საშუალების გარეშე უარყოფითი შემასმენლის გამოხატვის შესაძლებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ტიპის ზმნების წინ უარყოფითი სიტყვების ხმარებისას, მათი უარყოფითი შინაარსი ბათილდება. მაგალითად:

De modo que a Clotilde Armenta no le faltaba razón cuando le pareció que los gemelos no estaban tan resultados como antes (ibid).

პრეფიქსები

ესპანურ ენაში უარყოფის გამოხატველ პერიფერულ საშუალებათაგან აღსანიშნავია პრეფიქსები, რომლებიც სიტყვას უარყოფით შინაარსს აძლევს. უარყოფითი შინაარსის სიტყვების მაწარმოებელი პრეფიქსებია: **in, im, ir, il, des, a, an, anti, mal**.

ამ პრეფიქსების დახმარებით უარყოფითი შინაარსის მქონე ზედსართავი სახელები ძირითადად ზედსართავი სახელებიდან იწარმოება. მხოლოდ პრეფიქსი **des** უარყოფითი შინაარსის ზმნებს აწარმოებს ინფინიტივზე დართვით (Lea, Butt 1997). მაგალითად:

cabezar - descabezar

hojar - deshojar

colar - descolar

organizar - desorganizar

cuidar - descuidar

pedir - despedir

des პრეფიქსით, უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნების გარდა, ზედსართავი სახელები და არსებითი სახელებიც იწარმოება. ესპანური მხატვრული ტექსტების ანალიზისას ნათლად გამოჩნდა, რომ უარყოფითი სიტყვების მაწარმოებელი პრეფიქსებიდან უმეტესწილად იხმარება **des** და **in** მაგალითად:

Clotilde Armenta recordaría siempre que el talante rechoncho del coronel Aponte le causaba una cierta desdicha (GGM).

Encontró a mi madre en el comedor, con un traje dominical de flores azules que se había puesto por si el obispo pasaba a saludarnos, y estaba contando el fado del amor invisible mientras arreglaba la mesa (ibid).

des და **in** პრეფიქსების გარდა უარყოფითი შინაარსის სიტყვებს აწარმოებს სხვა პრეფიქსებიც. მაგალითად:

im - impersonal, imperfecto, imposible

ir - irregular, irrazonable

i(l) - ilegal, ilimitado

a – amoral

an - anormal

anti - antiaero, antipatía

mal - maldecir, maltratar

აღსანიშნავია, რომ პრეფიქსებით ნაწარმოები უარყოფითი შინაარსის სიტყვები უარყოფით შინაარსს იმდენად სრულყოფილად გამოხატავს, რომ მათ შემცველ წინადადებებში უარყოფითი შინაარსის გამოსახატავად უარყოფითი ნაწილაკის ხმარება საჭირო არ არის. მაგალითად, Es imposible იგივე აზრს გადმოგვცემს, რასაც No es posible. ასეთ შემთხვევაში ზმნის წინ უარყოფითი სიტყვის ხმარებისას უარყოფითი აზრი ბათილდება: No es imposible = Es posible.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ განხილული პრეფიქსები სიტყვას დაერთვის და უარყოფით მნიშვნელობას აძლევს. ესპანურ ენაში განხილული პრეფიქსების გარდა უარყოფის გამომხატველი პერიფერიული საშუალებებიდან აღსანიშნავია თანდებული *sin* (გარეშე), რომელიც ცალკე იწერება (Васильева-Шведе, Степанов 1980, 321). მაგალითად:

Pero el tiempo alcanzó sin angustias por la manera irresiistible con que Bayardo San Román arreglaba las cosas (GGM).

Siempre se levantaba con cara de mala noche-recordaba sin amor Victoria Guzmán (ibid).

კონტექსტური საშუალებები

ესპანურ ენაში უარყოფის გამომხატველი პერიფერიული საშუალებებია კონტექსტის მეშვეობით უარყოფითი აზრის გადმოცემა.

ესპანური მხატვრული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე უარყოფის გამომხატველ სიტყვათა სამი ტიპი გამოვყავით:

1) სიტყვები და კონსტრუქციები, რომლებიც ფორმით და შინაარსითაც უარყოფითია. მაგალითად: **no, nunca, nadie, ningun(o)** და ა.შ.

2) სიტყვები, რომლებიც შინაარსით უარყოფითია, ფორმით კი მტკიცებითი, მაგალითად ზმნები **negar, faltar, prohibir** და ა.შ.

მტკიცებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გამომხატველია გამონათქვამები **en mi vida, en toda la noche, en absoluto, en el mundo**. ეს გამონათქვამები ზმნის წინ ხმარებისას თავიანთი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის საპირისპირო შინაარსს გამოხატავს. მაგალითად:

En mi vida he visto tal cosa. ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

3) ნაწილობრივი უარყოფითი შინაარსის მქონე ფორმით მტკიცებითი სიტყვები. ამ სიტყვათა ჯგუფს მიეკუთვნება ზმნიშდები: **casi, apenas, apenas si, lejos de, poco a poco, por poco, sólo** და ა.შ.

ამ ტიპის სიტყვებს ს.ფერენცი და რ.მარტინი (Ференц, 1972, 13; Martin, 1998, 51) მიიჩნევენ უარყოფითი ან მტკიცებითი ფორმის გამანეიტრალებლად. ამ მხრივ მათი თვალსაზრისი ჩვენთვის მიუღებელია (უარყოფის გამანეიტრალებელ საშუალებებს ამავე პარაგრაფში განვიხილავთ), ამ სიტყვებს ნახევრადუარყოფითად მივიჩნევთ, შემდეგი გარემოებების გამო:

1) მათი ნახევრადუარყოფითი ბუნების დადგენა ხდება კონტექსტის მეშვეობით. მაგალითად:

Tenía en el frente una terraza ocupada casi por completo con macetas de flores, y un patio grande con gallinas sueltas y árboles frutales (GGM).

როგორც კონტექსტიდან ჩანს, ტერასა თითქმის ყვავილებით იყო დაფარული, მაგრამ ფაქტიურად ასე არ იყო.

Pedro Vicario volvió a retirar el cuchillo con su pulso fiero de matarife, y le asestó un segundo golpe casi en el mismo lugar (ibid).

როგორც კონტექსტიდან ჩანს, პედრო ვიკარიომ თითქმის იმავე ადგილზე ჩასცა დანა, მაგრამ ფაქტიურად სხვა ადგილზე.

2) ეს სიტყვებიც, ფორმითა და შინაარსით უარყოფითი სიტყვების მსგავსად, უარსაყოფი სიტყვების წინ დგას, მაგალითად:

Apenas aparecí en el vano de la puerta me confundió con el recuerdo de Santiago Nasar (ibid).

Se habían dormido con las primeras auras del amanecer, después de casi tres horas de espera en la tienda de Clotilde Armenta. (ibid).

En el trayecto, tres personas lo detubieron para contarle en secreto que los hermanos Vicario estaban esperando a Santiago Nasar para matarlo, pero sólo uno supo decirle dónde (ibid).

3) ამ სიტყვების უარყოფით ხასიათზე მიუთითებს მათი სემანტიკა. მაგალითად:

casi - თითქმის

apenas - ძლივს

por poco - თითქმის

sólo - მხოლოდ

მიუხედავად განხილულისა, ნახევრადუარყოფითი სიტყვები მათი თვისებების გამო უარყოფითი სიტყვების სრულ ეკვივალენტად მანც არ შეიძლება ჩავთვალოთ:

1) მათ მიერ გამოხატული შინაარსი ფარული უარყოფითი აზრის მქონეა.

2) ესპანურ ენაში, როგორც აღნიშნეთ, ფართოდაა გავრცელებული ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციები, ნახევრადუარყოფითი სიტყვები კი ძირითადად დამოუკიდებლად იხმარება წინადადებაში. იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში უარყოფითი სიტყვებიცაა და ნახევრადუარყოფითიც, ორმაგ უარყოფას მანც არ აქვს ადგილი. რამდენიმე უარყოფითი სიტყვის ხმარება ასეთ შემთხვევაში ძირითადად მხატვრული მიზნით ხდება, მაგალითად: Sólo el amigo no pudo oírlo.

3) ნახევრადუარყოფით სიტყვებს ფორმითა და შინაარსით უარყოფითი სიტყვებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ გამაძლიერებლები, მაგალითად:

Ya casí viejo, tratando de explicar me su estado de aquel día interminable (GGM).

Los estragos de cuchillos fueron apenas un principio de la autopsia inclemente que el padre Carmen Amador se vio obligado a hacer por ausencia del doctor Dionisio Iguarán. (ibid).

უარყოფის ემფატიზაციის საშუალებებია:

1) ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციების ხმარება ნაცვლად ერთი უარყოფითი სიტყვისა, რომელიც სხვა უარყოფითი სიტყვის გარეშეც უარყოფით შინაარსს აძლევს წინადადებას (მხოლოდ ნაკლებად კატეგორიულს). მაგალითად:

El alcalde se dio en la frente una palmada que no tenía nada que ver con la visión del viudo (ibid).

Esos pobres muchachos no matan a nadie dijo (ibid).

2) უარყოფითი წინადადების ან უარყოფითი პასუხის გამეორება დიალოგურ მეტყველებაში (ზოგჯერ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება). მაგალითად:

“ ¡ No lo vayan a matar! ” “ No lo vayan a matar! ”, repetían a coro las tres

mujeres (MOS.)

¿ Está Carmen en Madrid?

No, estoy seguro que no.

3) ზმნიზედა **nada** თანდებულ **para**-სთან ერთად: No cante para nada.

4) კავშირ **ni siquiera**-ს ხმარება: Ni siquiera me importa.

აღსანიშნავია, რომ ესპანურ ენაში უარყოფის გაძლიერების გარდა გვხვდება უარყოფის შესუსტების შემთხვევებიც. ხშირად ამ ფუნქციას წინადადების ბოლოს **creo que** და **parece que** ზმნების შემდეგ დიალოგურ მეტყველებაში **no** ნაწილაკი ასრულებს: **creo que no**, **parece que no**.

იგივე ფუნქციას ასრულებს ზმნიზედა **todavía**. მაგალითად:

No ha llegado todavía.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ნაცვალსახელების **nadie**, **ningun(o)**, **nada** და ზმნიზედების - **nunca**, **jamás** უარყოფითის ნაცვალად დადებითი მნიშვნელობით გამოყენება:

• შედარებით კონსტრუქციებში:

Es la persona más inteligente que jamás he conocido. ეს ყველაზე ჭკვიანი ადამიანია მათგან, ვისაც ოდესმე ვიცნობდი.

Trabaja más que nadie. ის ყველაზე მეტს მუშაობს.

• კითხვითი შინაარსის მქონე ძახილის წინადადებებში:

¡ **Hay nada más interesante!** - არის რამე ამაზე სასაცილო?!

¿ **Se ha hecho jamás tal cosa?** - ასეთი რამ ოდესმე ვინმეს ჩაუდენია?!

• ისეთი შინაარსის კითხვით წინადადებებში, რომლებიც დადებით პასუხს მოითხოვს:

¿ **Crees que ninguno de ellos te va a ayudar?** - გჯერათ, რომ რომელიმე მათგანი აპირებს თქვენ დაგეხმაროთ?

• უარყოფითი შინაარსის მქონე სტრუქტურულად წართქმით წინადადებებში:

Es inútil hacer nada - უსარგებლოა რაიმე აკეთო.


განხილული ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა, რომ ესპანური ენა უარყოფის ძირითადი ბირთვული საშუალების (**no** ნაწილაკის) დახმარებით მიმართავს სხვადასხვა გრამატიკულ საშუალებას სხვადასხვა შინაარსის (თხრობა, აკრძალვა, შეუძლებლობა) და ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციების გამოსახატავად.



სწორედ ამ ტიპის კონსტრუქციათა სიმრავლე განაპირობებს ესპანური ენის პოლინეგატიურობას

თვალსაჩინოებისათვის სქემით №20 წარმოვადგინეთ ესპანურ ენაში ველი 1-ის სქემა, ხოლო სქემით №21 (გვ. 100) კი ველი 1 შვესებული რეალური ერთეულებით.

ესპანური ენის (როგორც პოლინეგატიური ენის) ველი 2-ის სქემა სხვადასხვა სახით შეიძლება წარმოვადგინოთ, იმის მიხედვით, თუ წინადადება უარყოფის გამომხატველ რამდენ ერთეულს შეიცავს (იხ. სქემა №22, გვ. 100).

სქემა №20





**უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის
შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ. ინგლისურ
და შესაბამის ენებში**

**§1. უარყოფის ვალის სტრუქტურული ცენტრი და
უარყოფის გამოსატვის ბირთვულ საშუალებათა
შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ. ინგლისურ და
შესაბამის ენებში**

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება ენათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი, რომლის ძირითადი მიზანი ამ ენათა შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენაა (Brown 1973, Byrd, Benson 1992, Connor 1996, Danesi 1991, James 1980). როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა შეპირისპირებითი კვლევა შესასწავლ ენათა თავისებურებების უფრო ნათლად გამოვლენის საშუალებას იძლევა (Abbott, Wingard 1990, Byrd, Reid 1998).

ენათა ტიპოლოგიური კვლევისას ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს რუსი მეცნიერი აბონდარკო (Абондарко 1971, 69-70). ლინგვისტიკაში სწორედ მის სახელს უკავშირდება ტერმინ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შემოტანა.

ამ თავში შევეცდებით გამოვავლინოთ ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენათა შორის უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვაში არსებული მსგავსება-განსხვავებები.

ველი 2-ის მხრივ ძირითადი მსგავსება ამ სამ ენაში არის ის, რომ უარყოფის საზღვრები ვრცელდება უარყოფითი სიტყვიდან მარჯვნივ (ექვემდებარება ე. წ. მარცხნიდან მარჯვნივ წესს). მაგალითად:
„იბისნაირი კაცი არ დაიბადება ქვეყანაზე“, - მითხრა მან ჩასუქებულმა და ნალვლიანმა.

“Another man like that hasn’t ever born again” - she told me fat and faded.

“No ha vuelto a nacer otro hombre como ese”, me dijo, gorda y mustia. (GGM).

უარყოფითი სიტყვა სამივე ენაში ძირითადად ზმნის წინ დაისმის (უარყოფითი შემასმენლის შემთხვევაში). მაგალითად:

ვარავის გაეგო, როგორ მოხდა ამდენი საბედისწერო დამთხვევა.

No one could understand such fatal coincidences.

Nadie podía entender tantas coincidencias funestas (GGM).

აღსანიშნავია, რომ ქართული და ინგლისური უარყოფითი წინადადებებისაგან განსხვავებით, ესპანურ ენაში ადგილი აქვს ინვერსიის განსაკუთრებულ შემთხვევას უარყოფით წინადადებაში პირველ ადგილზე გადმოდის პრედიკატის მეორე ნაწილი უარყოფის გამაძლიერებელთან ერთად, ხოლო პრედიკატის პირველი ნაწილი კი მის ადგილს იკავებს. ს.ფერენცი მიუთითებს (Ференц, 1972, 17), რომ წინადადების ხასიათზე ეს არ მოქმედებს. ის ამ ვერსიას ასაბუთებს შემდეგი მაგალითით:

Ni bailar se puede de pequeño que es aquello.

No se puede ni bailar de pequeño que es aquello.

სავსებით ვიზიარებთ ს.ფერენცის მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ ეს არის ესპანური ენის ერთ-ერთი თავისებურება უარყოფის გამოხატვაში ქართულ და ინგლისურ ენებთან შედარებით.

ინგლისურ, ქართულ და ესპანურ ენებში ფიქრისა და შეგრძნების გამოხატველი ზოგიერთი ზმნის შემცველ წინადადებაში უარყოფითი ფორმა შეიძლება გადავიდეს დამოუკიდებელ წინადადებაში ისე, რომ წინადადების მნიშვნელობა არ შეიცვალოს, ამ მოვლენას გადატანით უარყოფას უწოდებენ. ინგლისურში ამ ტიპის ზმნებია: to believe, to imagine, to suppose, to think; ქართულში დაჯერება, წარმოდგენა, ვარაუდი, ფიქრი; ესპანურში creer, imaginar, suponer, pensar. მაგალითად:

ვფიქრობ, რომ ის ძალიან ჭკვიანი არ უნდა იყოს.

არ ვფიქრობ, რომ ის ძალიან ჭკვიანია.

I think he is not very clever.

I don't think he is very clever.

Pienso que ella no es muy inteligente

No pienso que ella es muy inteligente.

პრედიკატული უარყოფის შემთხვევაში ქართულ ენაში უარყოფითი სიტყვა ზმნის წინ დაისმის, ინგლისურ ენაში დამხმარე (ან მოდალური) ზმნის შემდეგ დაისმის უარყოფითი სიტყვა (ნაწილაკი **not**), ხოლო

შემდეგ კი სრულმნიშვნელოვანი ზმნა, ესპანურ ენაში ზმნის წინ დაისმის ნაწილაკი **no** (ან სხვა უარყოფითი შინაარსის სიტყვა), ერთადერთი, რაც შეიძლება მათ შორის ჩადგეს, ეს პირის ნაცვალსახელობითი ფორმაა. მაგალითად:

განა ეს სამართალია, მთელმა ქოლაქმა იცის, მის შვილს რომ მოკვლის უპირებენ, თვითონ კი ბაიბურშიც არ ირის.

It isn't right that everybody should know that they're going to kill her son, and she is the only one who doesn't know.

No es justo que todo el mundo sepa que le van a matar el hijo, y que ella sea la única que no lo sabe (GGM.).

ძირითადად ინგლისური ენა ქართული და ესპანური ენებისაგან იმით განსხვავდება, რომ ინგლისურში ცალკეული სიტყვის უარსაყოფად წინადადებაში იშვიათად იხმარება ერთზე მეტი უარყოფითი სიტყვა, ესპანურსა და ქართულში კი ორმაგი და მრავალჯერადი უარყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად:


- რაც მასწავლეს, არაფერმ არ გამიკეთებია, - მითხრა მან.

"I didn't do any of what they told me", she said.

"No hice nada de lo que me dijeron"-me dijo (ibid).

ლინგვისტურ ატლასში (Linguistic Atlas of New England, 1972, Map 718) ორმაგი უარყოფის ხმარების ექვსი ძირითადი შემთხვევაა გამოყოფილი. კლასიფიკაცია შედგენილია წინადადების სხვადასხვა წევრთა უარყოფის საფუძველზე და შემდეგი სქემით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი (სქემა №23).

სქემა №23



აღსანიშნავია, რომ ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციები ინგლისური ენის სტრუქტურული წყობისათვის უცხოა (Carort 1997, 26), ქართული და ესპანური ენებისათვის კი ნორმითაა დაშვებული (თოფურია 1923-24, 77, Nash 1973, 168). ამის გამო, ინგლისურ

ენაში ქართული და ესპანური ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციების შესატყვისად ძირითადად იხმარება განუსაზღვრელობითი სიტყვები (any-ის ტიპის) უარყოფით სიტყვებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ any-ს ტიპის სიტყვები არ შეიძლება წინ უსწრებდეს უარყოფით სიტყვებს. მაგალითად:

I don't understand anything (ერთმაგი უარყოფა).

ვერაფერს ვერ ვიგებ (ორმაგი უარყოფა).

No comprendo nada (ორმაგი უარყოფა).

I'm sorry but I can't tell you anything (ერთმაგი უარყოფა).

ვწუხვარ, მაგრამ ვერაფერს ვერ გეტყვით (ორმაგი უარყოფა).

Lo siento, pero no puedo decir nada (ორმაგი უარყოფა).

ზოგჯერ ერთმაგი უარყოფის შემცველ ინგლისურ წინადადებებს ქართულში და ესპანურში მრავალჯერადი უარყოფითი კონსტრუქციების შემცველი წინადადებები შეესატყვისება. მაგალითად:

There is never any news from anybody (ერთმაგი უარყოფა)

არასოდეს არავისაგან არავითარი ახალი ამბავი არ არის (მრავალჯერადი უარყოფა).

No hay nunca ninguna noticia de nadie (მრავალჯერადი უარყოფა).

ორი უარყოფითი სიტყვის ხმარების ისეთი შემთხვევა, როდესაც დადებით აზრი გადმოიცემა, სამივე ენაში გვხვდება. ეს ის შემთხვევაა, როცა უარყოფითი კონსტრუქციის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვაა (ძირითადად პრეფიქსით ნაწარმოები). მაგალითად:

ეს არ არის შეუძლებელი (ეს შესაძლებელია).

It is not impossible (It is possible).

No es imposible (Es posible).

ქართულ და ესპანურ ენებში ორმაგ უარყოფით კონსტრუქციათა სიმრავლეს იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ ქართული და ესპანური პოლინეგატიური ენებია, ხოლო ინგლისური ენა კი - მონონეგატიური.

ინგლისურ ენაში ორმაგი უარყოფით ზოგჯერ დადებითი აზრი გამოიხატება. ეს ძირითადად ხუმრობებში ხდება:

Nobody did nothing - რაც ნიშნავს: - Everybody did something

მიუხედავად იმისა, რომ ქართული და ესპანური პოლინეგატიური ენებია, გარკვეული განსხვავება შეიძინევა მათ შორის ორმაგი უარყოფის გამოხატვაში:

1). ქართულისაგან გასხვავებით, ესპანურ ენაში ორმაგი უარყოფის შემცველ წინადადებაში, როცა ერთ-ერთი უარყოფითი სიტყვა **no** ნაწილაკია, არ შეიძლება უშუალოდ მის შემდეგ ვიხმაროთ მეორე უარყოფითი სიტყვა, როგორც წესი, მათ შორის დგას შემასმენელი:

ვერაფერს ვერ ვხედავ.

No veo nada.

2) ესპანურ ენაში, ქართულისგან განსხვავებით, ორმაგი უარყოფითი კონსტრუქცია დაუშვებელია, თუ **no** ნაწილაკის ნაცვლად სხვა უარყოფითი სიტყვით იწყება წინადადება.

სახლში არ არის არავინ (ორმაგი უარყოფა).

არავინ არ არის სახლში (ორმაგი უარყოფა).

არავინ არის სახლში (ერთმაგი უარყოფა).

No está nadie en casa (ორმაგი უარყოფა).

Nadie está en casa (ერთმაგი უარყოფა).

3) ქართული ენისაგან განსხვავებით, ესპანურ ენაში ორმაგი უარყოფის ნაცვლად ზოგჯერ იხმარება ერთი უარყოფითი კონსტრუქცია და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, რაც იგივე შინაარსს გადმოგვცემს, რასაც ორმაგი უარყოფითი კონსტრუქციები. მაგალითად:

არავითარი უფლება არ მაქვს.

I don't have any right.

No tengo derecho alguno

No tengo derecho ninguno.

სამივე ენისათვის დამახასიათებელია ე. წ. ნაგულისხმევი უარყოფა. ასეთ შემთხვევაში კითხვაზე პასუხი მტკიცებითი წინადადებით გამოიხატება, მაგრამ უარყოფით შინაარსს გადმოგვცემს. მაგალითად:

ის ლამაზია? ლამაზი იყო.

Is she beautiful? Was beautiful.

Es bella? Fue bella.

ქართველმა და ესპანელმა ენათმეცნიერებმა ყურადღება გაამახვილეს (მაჩაბელი 1959, Nash 1973) ქართულ და ესპანურ ენებში ორმაგი უარყოფით მტკიცებითი მსჯელობის გამოხატვაზე, რომელიც ძირითადად გამოიყენება მტკიცებითი ფორმის განსაკუთრებული ემოციური ელფერის გადმოსაცემად. ანალოგიური წინადადებები ინგლისურ ენაში სტრუქტურულად გაუმართავია და არ იხმარება. მაგალითად:

არ შემიძლია, ის არ ვადიარო.

No puedo no admitirlo.

ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში უარყოფის გამომხატველი ბირთვულ და პერიფერიულ საშუალებებს წარმოადგენთ შემდეგი სქემის სახით (სქემა №24, გვ. 107).

ა) ნაწილაკები

№24 სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ინგლისურ **not**, **no** და ესპანურ **no** ნაწილაკებს ქართულ ენაში რაოდენობრივად მეტი ნაწილაკი შეესატყვისება.

ქართულ ენაში არ (არც, აღარ, აღარც) ნაწილაკები ძირითადად თხრობითი უარყოფის გამომხატველია:

პლასიდა ლინერო მართალი იყო: ეპისკოპოსი არც გადმოსულა გემიდან.
Placida Linero was right: the bishop didn't get off his ship.

Placida Linero tuvo razón: el obispo no se bajó del buque (GGM).

კრისტო ბედოია აღარ წავიდა დასაძინებლად მშობლებთან.

Cristo Bedoya hadn't gone to sleep at his parents.

Cristo Bedoya no había ido a dormir donde sus padres (ibid).

იმ დღით მას სულაც არ უგრძვნია ტრაგედიის მოახლოება

That morning, however, she didn't feel the throb of the tragedy.

Aquella mañana, sin embargo, no sintió el palpito de la tragedia (ibid).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, თხრობითი უარყოფის გამომხატვის შემთხვევაში არ(არც, აღარ, აღარც) ნაწილაკს ინგლისურში **not**, ესპანურში კი **no** ნაწილაკი შეესაბამება.

ქართულ ენაში არ ნაწილაკი ზოგჯერ აკრძალვას გამოხატავს, თუმცა ამ ფუნქციას ძირითადად ნუ (ნუღარ, ნუღარც) ნაწილაკები ასრულებს:

- ნუღარ გარბიხარ, ლუისა სანტიაგა, იგი უკვე მოკლეს!


“Don't bother yourself, Luisa Santiago. They've already killed him”.

“No se moleste, Luisa Santiago. Ya lo mataron” (ibid).

- სულელი ნუ ხარ, - უთხრა მას.

“Don't be silly”, he said to her.

“No seas pendeja” – le dijo (ibid).



- ტყუილად არ შეწუხდეთ - პედრო ვიკარიომ უთხრა მას.

“Don’t bother”, Pedro Vicario told him.

“No te molestes” – le dijo Pedro Vicario (GGM).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ქართულ ენაში აკრძალვითი უარყოფა გამოიხატება არ და ნუ ნაწილაკებით და მათი გავრცობილი ვარიანტებით (აღარ, ნუღარ), ინგლისურ ენაში ბრძანებითი კილოს უარყოფითი ფორმებით, ესპანურში კი ზმნიზღა no-ს და modo subjuntivo-ს (კავშირებითი კილო) მეშვეობით, ან ni + ინფინიტივით.

აკრძალვითი უარყოფა სამივე ენაში გამოიხატება უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნებითაც: აკრძალვა, უარყოფა, უარის თქმა, forbid, negate, refuse, prohibir, negar, rehusar და ა.შ.

ქართულ ენაში not ნაწილაკის შესატყვისად თხრობითი უარყოფის შემთხვევაში გამოიყენება არა მხოლოდ ნაწილაკი არ(ა), არამედ ც ნაწილაკდართული, გავრცობილი ფორმები: არც, აღარც, აღარ. აკრძალვითი უარყოფის შემთხვევაში კი არ, აღარ, ნუ, ნუღარ. ვნახოთ, როგორ გადმოიცემა ეს ნაწილაკები ინგლისურ და ესპანურ ენებში:

პოლკოვნიკი აპონტე მიხვდა, ცდა აღარ შეიძლებოდა.

Colonel Aponte understood then that they couldn’t wait any longer.

El coronel Aponte comprendió entonces que ya no era posible esperar (ibid).

ის ისე შეაწუხა ამ აკვიატებულმა ჰალუცინაციამ, რომ ვეღარ გაუძლო ტანჯვას და შიშველი გაიქცა ქუჩაში.

She felt so affected by the hallucination that she fell into penitential crisis, and unable to stand it any longer, she ran out naked into the street.

Se sintió tan afectada por la alucinación que cayó en una crisis de penitencia, y un día no pudo soportar más y se echó desnuda a las calles (ibid).

არავინ, ექიმიც კი არ შესულა ამ სახლში ასე დილაუთენია.

No one, not even a doctor, had entered that house at six forty-five in the morning.

Nadie, ni siquiera un médico, había entrado en esa casa a las 6:45 de la mañana (ibid).

არ და ვერ უარყოფითი ნაწილაკის გავრცობილ ფორმებს (აღარ, აღარც, ც-კო არ, ვეღარ, ვეღარც) ინგლისურ ენაში შეესაბამება ანალიტიკური გრამატიკული ფორმები: **no more, no longer, not + any more, not + any longer, not + even**; ესპანურ ენაში კი **ya no, ni siquiera, no - más**.

იმპოსიბილიტატური უარყოფის გამოსახატავად ქართულ ენაში არის სპეციალური უარყოფითი ნაწილაკი **ვერ და მისი გავრცობილი ფორმები (ვერა, ვეღარ, ვერც, ვეღარც)**:

იმ ადგილიდან, სადაც ის იდგა, მხოლოდ ისინი ჩანდნენ, თავის ვაჟს კი, რომელიც მოედნის მეორე მხრიდან მობზოდა კარებისაკენ, ის ვერ ხედავდა. From the place where she was standing she could see them but she couldn't see her son, who was running toward the door from a different angle.

Desde el lugar en que ella se encontraba podía ver los a ellos, pero no alcanzaba a ver a su hijo que corría desde el otro ángulo hacia la puerta (GGM.).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ინგლისურ ენაში შეუძლებლობის გამომხატველი სპეციალური ნაწილაკების უქონლობის გამო, იმპოსიბილიტატური უარყოფის გამოსახატავად გამოიყენება მოდალური ზმნები და **not** ნაწილაკი, ესპანურ ენაში კი იგივე ფუნქციას ასრულებს ზმნა **poder** (იშვიათად **saber, alcanzar, lograr**) და შეძლების გამომხატველი სხვა ზმნები უარყოფით ნაწილაკ **no**-სთან ერთად.

განხილული მაგალითების საფუძველზე სხვადასხვა უარყოფითი შინაარსის გამომხატველი საშუალებები შემდეგი სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ (სქემა №25, გვ. 110).

სხვადასხვა უარყოფითი შინაარსის გამოთხატვები
საუბრალებში ძნელად და მკაფიოდ უნდა

თხარობითი

ქართული	არ, არც, აღარ, აღარც	არა, არც, აღარ, აღარც	არა, არც, აღარ, აღარც	არა, არც, აღარ, აღარც	არა, არც, აღარ, აღარც
ინგლისური	not, no	not, no	not, no	not, no	not, no
ესპანური	no	no	no	no	no

Tom is not very clever.
ტომი არ არის ძალიან კეთილი.
Tom no es muy inteligente.

იმპოსიბილიტატი

ქართული	ვერს, ვერს, ვერა, ვერა, ვერა, ვერა	მოძალადე, ვერა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა	არა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა	არა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა	არა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა, ვერა
ინგლისური	cannot, can't	cannot, can't	cannot, can't	cannot, can't	cannot, can't
ესპანური	no + poder + saber	no + poder + saber	no + poder + saber	no + poder + saber	no + poder + saber

She cannot swim.
მას არ შეუძლია სვლა.
Ella no sabe nadar.

აპროპრიუმი

ქართული	ნუ, ნუც, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა	არა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა	არა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა	არა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა	არა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა, ნუცა
ინგლისური	no + imperative mood	no + imperative mood	no + imperative mood	no + imperative mood	no + imperative mood
ესპანური	no + subjuntivo	no + subjuntivo	no + subjuntivo	no + subjuntivo	no + subjuntivo

Do not move!
არ გაიძრე!
No se mueva!

ბ) ნაცვალსახელები

როგორც აღენიშნეთ, თანამედროვე ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში უარყოფის გამომხატველ ბირთვულ საშუალებებს მიეკუთვნება უარყოფითი ნაცვალსახელები. მხატვრული ტექსტების ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა ინგლისურ და ესპანურ ენებში ქართული უარყოფითი ნაცვალსახელების ეკვივალენტების დადგენისა.

ტყუბებზე ისე კარგი შეხედულებისა იყო ყველა, რომ მათი სიტყვებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

Their reputation as good people was so well-founded that no one paid any attention to them.

Tenían tan bien fundada su reputación de gente buena, que nadie les hizo caso (GGM).

სამაგიეროდ არავინ იცოდა, რა კარტით თამაშობდა ბაიარდო სან რომანი. But nobody yet knew what cards Bayardo san Roman was playing.

Nadie ha sabido todavía con qué cartas jugó Bayardo San Román (ibid).

აზრადაც არ მოგვსვლია, რომ იქ არავინ იქნებოდა

It didn't occur to us that there was no one.

No se nos ocurrió que no hubiera nadie (ibid).

არც ის უფიქრია არავის, რომ პლასიდა ლინეროს ოჯახიდან ვინმე იძიებდა შურს.

No one thought about reprisals from Plácida Linero's family

Nadie pensó en una represalia de la familia de Plácida Linero (ibid).

ძმები ვიკაროების გარდა საწამლავზე ფიქრი არც არავის გაკარებია.

Nobody, except the Vicario brothers, had thought of poison.

Nadie, salvo los hermanos Vicario, había pensado en el veneno (ibid).

ქართულ ენაში ნაცვალსახელთა უძრავლესობა ფორმაცვალებადია. ფერ-ზე დაბოლოებულნი ისე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი ფერო, ფინ-ზე დაბოლოებულნი კი – ფინ კითხვითი სიტყვის მსგავსად. ინგლისურ და ესპანურ ენებში კი ბრუნვათა სიმცირის გამო, იგივე

შინაარსი უარყოფითი ნაცვალსახელების წინ თანდებულების ხმარებით გამოიხატება (ინგლისურში **of, for, from, to**; ესპანურში **por, de, para, a**).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელის წინადადებაში გამოყენების დროს ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ურთიერთობა სტრუქტურულად დადებითიც რომ იყოს, წინადადება მაინც უარყოფით ხასიათს ღებულობს. მხატვრული ტექსტების ანალიზით გამოვლინდა, რომ ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი ინგლისურ და ესპანურ ენებშიც:

არავინ იცოდა, ვინ იყო ის.

Nobody knew who he was.

Nadie sabía quién era (GGM).

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ინგლისურ, ქართულ და ესპანურ ენებში დადებითი შემასმენლის შემთხვევაშიც კი წინადადება უარყოფით შინაარსს გადმოგვცემს, თუ ქვემდებარე უარყოფითი ნაცვალსახელითაა გამოხატული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, გრამატიკულად ინგლისურ ენაში ამ ტიპის წინადადებებში უარყოფითი ნაწილაკის ხმარება დაუშვებელია.

ქართული და ესპანური ენების ორმაგ უარყოფით კონსტრუქციებს ინგლისურ ენაში ერთმაგი უარყოფა შეესაბამება (მეორე უარყოფითი სიტყვის ნაცვლად განუსაზღვრელობითი ფორმები იხმარება). მაგალითად: მან უპასუხა, სანტიაგო ნასარი ყავის დასალევად რომ ჩამოვიდა სამზარეულოში, მე ჯერ არაფერი არ ვიცოდიო.

She answered, that she still hadn't known anything when he came down for coffee.

Ella contestó que todavía no sabía nada cuando él bajó a tomar el café (ibid).

ჩემი დაყოლიება უნდოდა: მარტოა წიდი, არავის მოკვლის თავი არა მაქვსო. He tried to tell me to go by myself because he was not in condition to kill anybody.

Trató de decir que me fuera yo solo porque él no estaba en condiciones de matar a nadie. (ibid).

როგორც უკვე აღვნიშნეთ (გვ. 105), გარკვეულ შემთხვევაში ესპანურ ენაში, ინგლისურის მსგავსად, ორმაგი უარყოფის ნაცვლად იხმარება ერთი უარყოფითი სიტყვა და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი.

ქართულ ენაში უარყოფით ნაცვალსახელთა ერთი ნაწილი: არავენ, არაფერა, არარა ნაწარმოებია უარყოფითი ნაწილაკისგან არ, ხოლო ვერავენ, ველარავენ, ვერაფერი კი - ვერ ნაწილაკისგან, ნურაფერი - ნუ ნაწილაკისგან. როგორც აღვნიშნეთ, ისინი ისე იბრუნვის, როგორც სათანადო ფუძის არსებითი სახელები, ხოლო სემანტიკურად იმ შინაარსს გადმოცემს, რომელი ნაწილაკისგანაც არის ნაწარმოები. სახელდობრ, არ ნაწილაკისგან ნაწარმოებ უარყოფით ნაცვალსახელებს თხრობითი შინაარსი აქვთ შემორჩენილი, ვერ-ისგან წარმოებულები ძირითადად შეუძლებლობის გამომხატველებია, ნუ-ნაწილაკისგან წარმოებულები კი აკრძალვის გამომხატველებია. ინგლისურ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელები **nobody, nothing, none** იწარმოება **no** ნაწილაკისგან. ესპანურ ენაში **ningun(o) - ni** კავშირისგან იწარმოება, ხოლო **nadie**-ს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გააჩნია სიტყვათმწარმოებლური ფუნქცია **nadie** (ნაცვალსახელი) - **naderia** (არსებითი სახელი).

მასალის ანალიზის საფუძველზე საშუალება მოგვეცა დაგვედგინა უარყოფითი ნაცვალსახელების შესატყვისები ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში. მაგალითად:

დაბეჯითებით ვერავენ იტყოდა, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში: ამინდს თუ სხვა რამეს.

No one was certain if he was referring to the state of the weather.

Nadie estaba seguro de si se refería al estado del tiempo (GGM).

შურისძიების სურვილი არც ერთს არ ეტყობოდა.

None harbored ideas of vengeance.

Ninguno abrigaba propósitos de venganza (ibid).

მან იცრუა, ის ყავის დასალევად რომ ჩამოვიდა, მე ჯერ არაფერი არ ვიცოდიო.

She lied, since she answered that she still hadn't known anything when he came down for coffee.

Ella le mintió a conciencia, pues contestó que todavía no sabía nada cuando él bajo a tomar el café. (ibid).

მან უამბო, არავინ რომ არ გაეღვიძებინა, კარი ისე გააღო, რომ შუქი არ აუნთია.


She told her that she'd opened the door without turning on the light so as not to awaken anybody.

Le contó que había abierto la puerta sin encender la luz para no despertar a nadie. (GGM).

ამრიგად, ინგლისურ ენაში ხშირად უარყოფითი ნაცვალსახელების ნაცვლად, ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, უარყოფით სიტყვასთან ერთად განუსაზღვრელობითი ფორმები (any, anything, anybody, anyone) იხმარება.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ და ესპანურ ენებში სულიერ და უსულო საგანთა აღსანიშნავად სპეციალური ნაცვალსახელები გამოიყენება. თუმცა, ინგლისურ და ესპანურ ენებში გამონაკლისი შემთხვევებიც გვხვდება. მაგალითად, ინგლისურში **none** და ესპანურში **ningun(o)** ნაცვალსახელები როგორც სულიერ, ისე უსულო საგანთა აღსანიშნავად გამოიყენება (სქემა №26).

სქემა №26



ესპანურ ენაში ნაცვალსახელი **ningun(o)** რამდენიმე განსაკუთრებულ თვისებას აკლენს:

1. აღნიშნავს როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებს: *ninguna carta, ninguna mujer*.
2. დამოუკიდებლად იშვიათად იხმარება წინადადებაში. წინ უძღვის უარსაყოფ სიტყვას ან **de** თანდებულის ნაცვალსახელს და უარყოფით შინაარსს აძლევს მათ: *ningún amigo, ninguno de ellos*.
3. მამრობითი სქესის მხოლოდობით რიცხვში მდგომი არსებითი სახელების წინ მოიკვეცს ბოლო ხმოვანს: *ningún hombre – ningunos hombres*.
4. აქვს როგორც მხოლოდობითის, ისე მრავლობითის ფორმა: *ningún libro, ningunos libros*.

განვიხილოთ ნაცვალსახელ **ningun(o)** –ს შესატყვისები ქართულ და ინგლისურ ენებში:

მოსამართლის გვარი არც ერთზე არ იყო მოხსენიებული.

The judge's name didn't appear on any of them.

El nombre del juez no apareció en ninguno. (GGM).

მან ძლივს დაარწმუნა მშობლები, არავითარი საბაბი არ მიმიცია ბაიარდო სან რომანისათვის, ასეთი საჩუქარი გამოვეზავნაო.

It was hard for her to convince her parents that she hadn't given Bayardo san Román any reason to send her a gift like that.

Le costó trabajo convencer a sus padres de que, no le había dado ningún motivo a Bayardo San Román para que le mandara semejante regalo (ibid).

აღსანიშნავია, რომ ქართულ და ესპანურ ენებში არაფინ და **nadie** უარყოფითი ნაცვალსახელების სინონიმური მნიშვნელობით იხმარება არსებითი სახელი კაცი (**hombre**) უარყოფით ნაწილაკთან (ესპანურში უარყოფით ნაცვალსახელთან) ერთად, მაგალითად:

არავის შეეძლო სიმართლის თქმა.

კაცი არ იყო სიმართლის მთქმელი.

Nadie pudo decir la verdad.

Ningun hombre pudo decir la verdad.

ინგლისურ ენაში იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება ანალოგიური სიტყვათშეთანხმებანი: no man, no woman.

განხილული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ ენაში უარყოფითი ნაცვალსახელები ფორმაცვალებადია. ინგლისურსა და ესპანურში კი - ფორმაუცვლელი (გამონაკლისია ნაცვალსახელი ningun(o)). ქართული და ესპანური ენები უარყოფით ნაცვალსახელების შემცველ წინადადებაში იყენებს ორმაგ უარყოფით კონსტრუქციებს, ინგლისურში კი მათ შეესატყვისება უარყოფითი სიტყვა განუსაზღვრელობით ფორმებთან ერთად. უარყოფითი ნაცვალსახელის ხმარებისას სამივე ენაში წართქმითი შემასმენლის შემთხვევაშიც კი წინადადება უარყოფითი შინაარსისაა.

გ) ზმნიზედები

ინგლისურ, ქართულ და ესპანურ ენებში უარყოფის გამოხატვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზმნიზედებს. უარყოფითი შინაარსის ზმნიზედები სრულ უარყოფით შინაარსს გადმოგვცემს, არაუარყოფითი შინაარსის კი – ნაგულისხმევ უარყოფას. განვიხილოთ უარყოფითი შინაარსის ზმნიზედების შესატყვისი ვარიანტები ინგლისურ და ესპანურ ენებში, ხოლო ნაგულისხმევი უარყოფის გამომხატველ ზმნიზედებს განვიხილავთ კონტექსტურ საშუალებებთან ერთად.

ვერაფრით გაეგო, რამ ჩამოიყვანა ის ამ მივარდნილ ქალაქში, ნუთუ მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ ცოლად ეთხოვა ქალი, რომელიც არასოდეს ენახა!

They have the slightest idea of what he had come to do in a mislaid town, with no other apparent aim than to marry a woman he had never seen.

